# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 18 დეკემბერი 2006 №292 (2914) ფასი 50 თეთრი




# ახალი წლიდან ახალი კურსით

## მწვრთნელთა კურსებს დარსაძის ნაცვლად მინგე უხელმძღვანელებს

## ...და ვინ გაწვრთნის საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს?

# 22 იქ ფაჩულია გაფრინდა 16



მძლავრად ჩაათამაშა ეს უქმეები „ატლანტას“ ქართველმა ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ — ორ მატჩში 38 ქულა მოიხვეჭა და თავის გუნდს მიჯრით ხუთი მარცხის შემდეგ ნავსის გატეხვაში დაეხმარა. პარასკევლამ „ჰოქსი“ „მემფის გრიზლიზს“ სტუმრობდა ელვის პრესლის მშობლიურ ქალაქში და პაუ გასოლის წინააღმდეგ თამაშში ზაზამ 22 ქულა გააკეთა და „ქორებს“ მემფისელი „დათვები“ დაამარცხებინა.

ფაჩულიამ მეორე მატჩიც სოლიდურად ჩაატარა — 24 საათის შემდეგ შინაურ ოვერტაიმიან რკენაში 16 ქულა უმარჯვა ბენ ვოლესის „ჩიკაგოს“, მაგრამ „ატლანტამ“ ეს მატჩი ველარ მოიგო.

ეს უქმეები ნბა-ში არაქართული კუთხითაც დატვირთული გამოდგა მოვლენებით: შაბათს „ნიუ იორკისა“ და „დენვერის“ ჯახი მართლაც ჯახი იყო, ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით. შეხვედრის ბოლოსწინა წუთზე გუნდებმა ხუთი ხუთზე დაუნანებლად დასცხეს ერთმანეთს და... მსაჯებს ათივე მოთამაშის გაგდება მოუხდათ.

## აი, აNBAში: დენვერმა და ნიუ იორკმა ერთმანეთს დააყარეს





AFP

## ვისთვის რამხელაა მსოფლიო

# ინტერნასიონალმა თავი დაიფასა

როგორ ვთქვათ, რომ კოპა ლიბერტადორესი უფრო მეტია, ვიდრე ჩემპიონთა ლიგა. ან ის როგორ ვთქვათ, რომ ბრაზილიური „ინტერნასიონალი“ ესპანურ „ბარსელონაზე“ დიდი, სახელიან-ტიტულიანი თუ ძლიერი კლუბია...

და მაინც: მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონი „ინტერნასიონალი“ გახდა თამაშის მიწურულს ადრიანუს გატანილი ერთადერთი გოლით.

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონი — ეს ტიტული მეტისმეტად კეთილხმოვნად კი ჟღერს, მაგრამ არც იმდენად, „ბარსელონას“ ლიგაზე თუ პრიმერაზე მეტად ულირდეს. ჰოდა, იმან მოიგო, ვისაც უფრო მეტად ულირდა.

# მინგე ლექტორად გადაჰყავთ


რალფ მინგე


გაიოზ დარსაძე

[illegible] ფოტოები

## ვინ გაწვრთნის ახალგაზრდულ ნაკრებს?

**თითქმის** გადაწყვეტილი ამბავია: საქართველოში მწვრთნელთა მომზადებას და ლიცენზირებას თუ აქამდე ჩვენი ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი გაიოზ დარსაძე ხელმძღვანელობდა, გაისად ამ საქმეს რალფ მინგე შეუდგება.

მინგე საქართველოს ეროვნულ ნაკრებში კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწეა და ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელიცაა. თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მინგე საქართველოში მწვრთნელთა მომზადების კურატორი გახდება და ახალგაზრდულ ნაკრებში აღარ იმუშავებს — ასეთია წინასწარი პროექტი და შესაბამისად ახალგაზრდულ ნაკრებში მთავარი მწვრთნელის ვაკანსია გაჩნდება.

ამ საქმეს ბეჭედი მაშინ დაესმება, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გერმანიიდან თბილისში დაბრუნდება.

**დავით თავართქილაძე**

# შალკემ ვერდერს ხელი გადახვია
## მუტუმ კალაძის ხელით იხეირა



**ქართველ** ლეგიონერებს გამორჩეული შაბათ-კვირა ჰქონდათო, ნაღდად ვერ ვიტყვით, თუმცა ვის როგორ — მაგალითად, ლევან კობიაშვილის „შალკემ“ წარმატებული ზოლიდან არ გადაუხვია და პირველი წრის ბოლო ტურში „არმინიას“ სტუმრად 1:0 სძლია. „კობი“ ძირითადში იყო, მე-80 წუთზე იგი ბოსნიელმა ზლატან ბაირამოვიჩმა შეცვალა, რომელმაც სამ წუთში გადამწყვეტი გოლი შეაგდო, „შალკე“ შემოდგომის თანაჩემპიონია „ვერდერთან“ ერთად.

მეორე ბუნდესლიგაში; ჩხირი კედელს და, „ფრაიბურგმა“ მოიგო: ალექსანდრე იაშვილისა და ოთარ ხიზანეიშვილის გუნდმა სტუმრად „კობლენცს“ 1:0 მოუგო. ოთარი განაცხადშიც არ იყო, „იაშკა“ კი 88-ე წუთზე შეცვალეს.

დღეს კი გერმანიაში ქართული დერბია და თანაც ძალიან საინტერესო: მათე ღვინიანიძის „მიუნხენ 1860“ ბოლო ექვსი თამაშის მიჯრით მომგებ დავით სირაძის აუე-ს მასპინძლობს...

კვლავ წაიფორხილა „მილანმა“, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა ქულასაც უნდა უმადლოდეს — „ფიორენტინასთან“ სტუმრად ბოლო წუთზე გაათანაბრა და 2:2 ითამაშა. კახა კალაძემ სრულად იბურთავა და ფლორენციელმა ადრიან მუტუმ სწორედ ჩვენიანის ხელით თამაშის გამო დანიშნული პენალტით იხეირა.

ინგლისური პრემიერლიგის ტურმა კვლავ ზურაბ ხიზანიშვილის გარეშე ჩაიარა. „ხიზანამ“ ტრავმის გამო გამოტოვა „რედინგთან“ თამაში, მისმა „ბლექბერნმა“ კი ამოისუნთქა და გასავარდნ ზონას ასცდა.

ალკმაარელი შოთა არველაძე ერთხელაც შეაწუხა ქრონიკულმა ტრავმამ და გუშინ ამის გამო არ იყო ძირითადში „გრანინგენთან“ მატჩში.

არველაძეს ლატერალური მენისკის გამო მარჯვენა მუხლი პირველად ორთვენახევრის წინ გაუსივდა და მას შემდეგ სვენებ-სვენებით თამაშობს — ხან სანაკრებო ამხანაგურ მატჩს გამოტოვებს, ხან ჰოლანდიის თასსა თუ ჩემპიონატს.

მოკლედ, „ალკმაარმა“ 2:0 მოიგო „გრონინგენთან“, შოთამ კი ბოლო 16 წუთი ითამაშა.

იუქმა მეორე „ჰოლანდიელმა“ ქართველმა — „ტვენტემ“ კვლავ მოიგო (4:1) — გოგა გახოკიძე ტრავმის გამო არ გამოჩენილა.

**ილია ნანობაშვილი**

# სპარტაკი გოგუას: თუ ვერ წახვალ, მოდი



**სად** გააგრძელებს კარიერას გოგიტა გოგუა? 2006 წლის პრემიერლიგის საუკეთესო ახალწვეულს ბევრი მსურველი ჰყავს და ამ საკითხებზე მისი აგენტი მამუკა ჯულელი მუშაობს. ითქვა თურქული „გალათასარაისა“ და „ტრაბზონსფორის“ ვარიანტებზე, მოსკოვის „ლოკომოტივსა“ და სანკტ პეტერბურგის „ზენიტზე“, თუმცა...

ნალჩიკის „სპარტაკის“ მწვრთნელი იური კრასნოჟანის დიდი იმედი აქვს, რომ გოგუას შეინარჩუნებს.

„გოგუასთან, მიჩკოვთან და კონცედალოვთან უკვე გვქონდა მოლაპარაკებები, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ფეხბურთელები პირნათლად იხდიან ვალს გუნდის წინაშე და მიმზიდველ წინადადებებს იღებენ. ამ მოთამაშეებს, რა თქმა უნდა, შეუძლიათ წინადადებები გამოიყენონ, მაგრამ თუ სხვაგან გადასვლა გაუჭირდებათ, ჩვენ მზად ვართ, უკან დავიბრუნოთ“.

მოკლედ, ყაბარდოელებს იმედი აქვთ, გოგიტა კი ამბობს, ნალჩიკში აღარ დავბრუნდებიო...

**ილია ნანობაშვილი**

გიო ახვლედიანის სვეტი

## ხვედელიძე, შოუ...

ერთ დროს, ფისკულტურის ხორცმეტი დოლაბერიძე დასძახებდა:

ხვედელიძე, გოლი!.. გოლი მინდა, ხვედელიძე...

ახლა, მგონი, ის დროა, რომ ჩვენ დავძახოთ:

შოუ... შოუ მინდა!

იმიტომ, რომ საქართველოს ჩემპიონატის თამაშების ტელევიზორში ყურება შეუძლებელია. თუკი რამეა იქ საფეხბურთო (და ამ ბოლო დროს არის), ტელეკამერა იმასაც სპობს. მარტო ტელეკამერა კი არა. საკუთრივ ტელეკამერას არაფერს ვერჩი. მთელი გარემო.

ანუ გარემო ფეხბურთის გარშემო (რომელიც უცებ კარგი გამოდგება ხოლმე) არის სრულიად ყველანაირი, ყოველგვარი ხასიათის და თამაშის ყურების მუღამ-ხალისის წამრთმევი.

მაგალითად, მთელი თამაში უყურებ, როგორ ამოდის კვამლი რაღაც ხუხულა შენობიდან. გასაგებია, რომ იქ ფეხბურთელებისთვის წყალი თბება, მაგრამ საათნახევარს რატომ უნდა უყურო? ანდა, რატომ უნდა ვითვალო რამდენი გრუზავიკი ჩაივლის პირით ხაზთან?

ქართულ სტადიონებზე რა ხალხიც დადის, ისიც არ ჩანს ტელევიზორში.

მე არ მიცქერია, მაგრამ ერთმა გამოცდილმა კაცმა თქვა, საქართველო — ურუგვაის ცქერა შეუძლებელი იყო, გამეორებები ლაივ სახიფათოებს ემთხვეოდაო. ადრე თასის ფინალს ვუყურე და ჩვენს პირობაზე კარგი იყო. ოღონდ ესეც არ არის მთავარი და სანერვიულო. ყრმა ქვეყანა ვართ ამ ამბავში.

მე მგონი, დღეს ასეა:

საქართველოში ფეხბურთი უკვე სჯობნის საფეხბურთო გარემოს, საფეხბურთო რეპორტაჟს, საფეხბურთო მინდორს, საფეხბურთო ქომაგს და ასე დაუსრულებლად.

ჰოდა, ცოდოა ეს ფეხბურთი. ძლივს რაღაცას ჯობნის, ჩვენ კიდევ...

არა, ტრაგიკული კი არაფერია, მაგრამ ტელევიზორში გოლებს რომ ვუყურებ, ხომ უნდა დავინახო ეს გოლი. მარა, ალბათ, უკან ტრიბუნა ვერ არის ისეთი სიმაღლის. ჰოდა, მაგას ვამბობ, გარემო არ არის-თქო.

ნეტა როდის იქნება. ფეხბურთი, კარგა ხანია, აღარ არის მხოლოდ ორი გუნდის თამაში. ათას რამეს მოიცავს, პლასტმასის ჭიქით დაწყებული, ეშმაკურად დაყენებული კამერით დასრულებული.



## წინამძღვრიშვილის კაიზერსლაუტერნი

**თბილისის** „ამერის“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი რატი წინამძღვრიშვილი გერმანიაშია და დღეს „კაიზერსლაუტერნთან“ ერთად პირველად ივარჯიშებს.

18 წლის ფორვარდმა ორი დღის წინ ჩააკითხა მეორებუნდესლიგელ „ლაუტერნს“ და თბილისში 21 დეკემბერს დაბრუნდება.

გერმანელები წინამძღვრიშვილით 19-წლამდელთა ნაკრებში თამაშისას დაინტერესდნენ — რატის ევროშესარჩევ ტურნირში და მალტაზე დააკვირდნენ და ამის შემდეგ „ამერს“ მისი რამდენიმე დღით გასინჯვის უფლება სთხოვეს. ფეხბურთელი კლუბის თანხმობით გაემგზავრა გერმანიაში, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, დროებით. როგორც უნდა დასრულდეს მისი გაცნობა „კაიზერსლაუტერნთან“, მაინც შინ დაბრუნდება და სეზონსაც აქ ჩაამთავრებს.

**ქახა შალამბერიძე**

## ნადირაშვილმა და ამერმა ხელი ხელს დაჰკრეს

**ჩემპიონატში** შესვენებაა და მთავარი ამბები ახლა კლუბების ოფისებში ხდება — ახალი ტრანსფერები და ძველ კონტრაქტთა განახლება.

თბილისის „ამერმა“, როგორც უკვე გვეწერა, საჩხერის „ჩიხურადან“ ნახევარმცველი მიხეილ მესხი გადაიბირა, მცველ გივი დიდავას კი, რომელსაც კონტრაქტის ვადა ამოეწურა, ახალი ხელშეკრულება გაუფორმა.

გუშინ კი ამერელებმა კიდევ ერთ მოთამაშეს გაუხანგრძლივეს ხელშეკრულება.

მეკარე ლადო ნადირაშვილის მოქმედ კონტრაქტს ყავლი თებერვალში გასდიოდა და რა გასაკვირია, კლუბი და მეკარე მოსალაპარაკებლად რომ დასხდნენ.

დასხდნენ და, ახალი კონტრაქტიც გამზადდა — ნადირაშვილი „ამერში“ 2009 წლის ზაფხულამდე რჩება.

ლადო ნადირაშვილი: „ახალი კონტრაქტის პირობებთან დაკავშირებით ჩემსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის თავიდან მცირე აზრთა სხვადასხვაობა იყო. მაგრამ არც კლუბს სურდა ჩემი გაშვება და არც თავად მინდოდა სხვაგან წასვლა. აქედან გამომდინარე, შეთანხმებას მივაღწიეთ და ყველანი კმაყოფილები ვართ. ახლა ჩემი მთავარი მიზანი ძირითად შემადგენლობაში ადგილის კვლავ დამკვიდრება და შენარჩუნებაა.“

**ქოტე ქექელია**



## ვიტ ჯორჯია მეორეშიც საპირველო იქნება

**უნდა** ველოდოთ თუ არა „ვიტ ჯორჯიას“ შემადგენლობაში დიდ ცვლილებებს? ალბათ არა.

საერთოდ, ვიტელები ხმაურიანი შენაძენებით არასოდეს იწონებდნენ თავს — წამყვან ფეხბურთელებს თუ უშვებენ, ახლები თავიანთივე ფარმ-კლუბიდან მოჰყავთ და მეტწილად, ეს პროცესი ამართლებს ხოლმე. კლუბი პოლიტიკის შეცვლას არც ამჯერად აპირებს.

„ჯერჯერობით გუნდი შვებულებაშია და სატრანსფერო ამბებზე სიახლე არაფერია. „ვიტ ჯორჯიასთვის“ არც ერთ კლუბს არ მოუმართავს ამა თუ იმ ფეხბურთელის შეძენის სურვილით, ისე კი, საუბრები ისმის. უცხოურ ვარიანტებზეც საუბრობენ, მაგრამ კონკრეტული წინადადებები არ ყოფილა“ — გვითხრა „ვიტ ჯორჯიას“ გენერალურმა მდივანმა მალხაზ კაკაურიძემ.



დავით დიღმელაშვილი არა მარტო ვიტელებში, მთლიანად ჩემპიონატში სატრანსფეროდ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფეხბურთელია. გეცოდინებათ, იგი „ზესტაფონს“ სურს, თუმცა შეწვდება კი რომელიმე ქართული კლუბი დიღმელაშვილში გადასახდელ თანხას?

„დიღმელაშვილი „ზესტაფონს“ სურს, „დინამოს“ თუ „სიონს“, ნებისმიერ კლუბს ჩვენთან მოუწევს საქმის დაჭერა, რადგან დავითს მოქმედი კონტრაქტი აქვს. ჯერჯერობით კი ამის თაობაზე არავინ შეგვხმიანებია“ — ამბობს კაკაურიძე.

და კიდევ, „ვიტ ჯორჯია“ 23 დეკემბერს შეიკრიბება, ახალი წლის დღეებში დაისვენებს და 4 იანვარს გააგრძელებს მზადებას. მეორე წრის განახლებამდე კი ვიტელები ანთალიაში გაივლიან 15-დღიან შეკრებას.

**ილია ნანოგაშვილი**

## დღეს ძოძუაშვილმა გუნდი უნდა ნახოს



**დღეს** რუსთავის „ოლიმპი“ შეიკრიბება და ეს არ იქნება უბრალო შეკრება. ახალი მწვრთნელი და ვინძლო, ახალი გუნდი — ასეთი უნდა იყოს „ოლიმპი“ გაისად.

რევაზ ძოძუაშვილის კვალიფიკაცია უკვე სოლიდური კოზირია ჩემპიონატის ლიდერი რუსთაველებისთვის, ეს კი არა, ჩვენთან საუბარში მწვრთნელმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლაც ახსენა.

„ოლიმპში“ ფეხბურთელთა გადინებ-მოდინება მალე დაიწყება და მსუყე ამბებს უნდა ველოდოთ. გარკვეული კონტურები, სავარაუდოდ, დღეს მოიხაზება და ალბათ დღესვე გაფორმდება კონტრაქტი ძოძუაშვილთან.

**ლუკა თალაკვაძე**

## ზესტაფონი ლეგიონზეც ფიქრობს

**წრეებს** შორის შესვენებისას „ზესტაფონში“ ცვლილებებია მოსალოდნელი. გუნდთან მოქმედი კონტრაქტი რამდენიმე ფეხბურთელს დაუმთავრდა და მათგან თანამშრომლობის გაგრძელება ჯერჯერობით მხოლოდ ზურაბ იონანიძემ გააფორმა ოფიციალურად.

როგორც შევიტყვეთ, ზესტაფონელები დანარჩენებთანაც ცდილობენ ახალი ხელშეკრულების დადებას და თან სხვა მოთამაშეების დამატებაზე ფიქრობენ.

გუშინ იმერული კლუბის პრესსამსახურის უფროს სერგო ფუტკარაძეს დავუკავშირდით...

„ჯერჯერობით ახალი არაფერია, თუმცა ცვლილებები ყოველდღე მოსალოდნელია. იონანიძის გარდა, კონტრაქტი არავის განუახლებია, თუმცა კლუბი დაინტერესებულია იმით, რომ ძირითადი ბირთვი არ დაიშალოს. კონტრაქტის ვადა ბევრ ფეხბურთელს ამოეწურა და შესაძლოა, მათგან გუნდში ყველა ვერ დარჩეს, მაგრამ საჭირო ფეხბურთელების შენარჩუნებას ვეცდებით — გვითხრა ფუტკარაძემ — ვიცით, რომ ჩვენი ყველა კონკურენტი ცდილობს, გაძლიერდეს. ჩვენც შეძლებისდაგვარად ვეცდებით, მეტოქე გუნდებს არ ჩამოვრჩეთ. ლაპარაკი ლეგიონერების დამატებაზეც მიდის“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ვინ შეუერთდება ზურაბ იონანიძეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გიორგი დემეტრაძე საუკეთესო უცხოელია

დონეცკის „მეტალურგის“ ათწლიან ისტორიაში გიორგი დემეტრაძე საუკეთესო ლეგიონერია — ასეთია უკრაინელი ჟურნალისტების აზრი, თუმც მათივე თქმით, მიმდინარე სეზონი ალბათ უარესია, რაც „დემეს“ „მეტალურგში“ ჩაუტარებია.

83 მატჩი, 34 გოლი, 15 საგოლე პასი უკრაინის უმაღლესი ლიგაში — გიორგი დემეტრაძის მონაგართან ვერც ერთი დონეცკელი ლეგიონერი ახლოსაც ვერ მივა. მის შემდეგ ყველაზე მეტი ბურთი პერუელ ანდრე მენდოსას გაუტანია — 15.

გიორგიმ წლეულს, უკრაინის ჩემპიონატის პირველ წრეში ორადორჯერ გამოიჩინა თავი — ალჩევსკის „სტალთან“ დუბლი შეასრულა, ბოლოს კი ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა უჭირდა, თუმცა ახლა „მეტალურგს“ მწვრთნელი შეეცვალა და უკრაინელ ჟურნალისტებს იმედი აქვთ, ამით პირველ რიგში სწორედ ქართველ თავდამსხმელს გაეშლება ფრთებიო.

აქვე გავიხსენოთ, რომ „მეტალურგში“ დემეტრაძის გარდა კიდევ სამ ქართველს უთამაშია — გოჩა ჯამარაულს, ლევან ცქიტიშვილს და გოგა გახოკიძეს.

**ბახა შალამბერიძე**

# შუშაკის საძმაკაცო ჯაბასთან



თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ ყოფილი მცველი ჯაბა მუჯირი უკვე მესამე სეზონს ატარებს სპარსულ ლიგაში. მუჯირი ისე იყო ტრავმირებული, რომ ნოემბრის ბოლომდე თამაში არ შეეძლო. ირანში მუჯირის გარდა კიდევ ერთი ჩვენებური, აქვსენტი გილაური თამაშობს და ჯაბას მისი ამბავიც გამოვკითხეთ...

— ისპაჰანის „სეპაჰანი“ ამ დროისთვის ისეთ დღეშია, რომ ჩემპიონობისთვის ალბათ ვერ იბრძოლებს...

— მთლად უიმედოდაც არ ვართ. მეშვიდე ადგილზე კი ვიმყოფებით, მაგრამ ლიდერ „ესტეგლალს“, რომელშიც გილაური თამაშობს, შვიდი ქულით ჩამოვრჩებით.

— ტრავმის შემდეგ რამდენი მატჩი ითამაშე?

— ბოლო სამი. გილაურს კი მსუბუქი ტრავმა ჰქონდა, რის გამოც ამდენივე მატჩი გამოტოვა.

— გილაურის „ესტეგლალი“ „სეპაჰანს“ ბევრად აღემატება?

— არა და იმასაც ვიტყვი; რომ „ესტეგლალი“ დიდად განსაკუთრებული გუნდი არ არის, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, უმართლებს.

— „სეპაჰანთან“ კონტრაქტი გააგრძელე?

— როცა ტრავმირებული ვიყავი, გაურკვეველი იყო, გუნდში დავრჩებოდი თუ არა, მაგრამ „სეპაჰანის“ ახალმა მწვრთნელმა კლუბის ხელმძღვანელობისგან ჩემი გუნდში დატოვება მოითხოვა. „სეპაჰანში“ სეზონს ჩავამთავრებ, მერე კი ვნახოთ...

— ირანში ცხოვრებას და თამაშს ალბათ კარგად შეეგუე...

— საქართველოში თამაშს ირანში ყოფნა ბევრად სჯობია. მშვიდად ვარ, აქ არავინ შეგაწუხებს და რაც მთავარია, შრომას გიფასებენ.

— „სეპაჰანის“ ახალი მწვრთნელი ვინ არის?

— ხორვატი ლუკა ბონაჩიჩი, ვინც ივო შუშაკს ახლოს იცნობს. სხვათა შორის, წინა სეზონში [illegible] მი თვით „სეპაჰანს“ ასევე ხორვატი სტანკო პოკლეპოვიჩი წვრთნიდა და მან მითხრა, შუშაკი ჩემი ძმაკაციაო.

— ირანში კიდევ რომელიმე ქართველი ფეხბურთელის ტრანსფერი ხომ არ არის მოსალოდნელი?

— ახლახან ჩამოვიდა გიორგი მანწკავა და პირველი ლიგის „თაბრიზში“ ჩაირიცხა სამი თვით. აგენტმა უთხრა, თუ საქმეს კარგად გაართმევ თავს, მომდევნო სეზონიდან უმაღლესი ლიგის რომელიმე გუნდში მოეწყობიო.

**დავით თავართქილაძე**

# ლიტვას იტალია კალათბურთმა გაუხუნა

## ნუკრი მანჩხავა: ნაკრებში ერთი შანსი რა გახდა?!

ლიტვის ჩემპიონატში არცთუ ბევრი ქართველი თამაშობს, მათგან გამორჩეული კი „კაუნასის“ ნუკრი მანჩხავაა. 24 წლის მარცხენაფლანგელი სისტემატურად ძირითად შემადგენლობაშია, მისმა გუნდმა კი, როგორც იცით, ლამის ცალი ფეხით მოიგო ჩემპიონობა.

მანჩხავა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში არასოდეს გამოუძახებიათ, თუმცა ბევრის აზრით, იგი ერთ შანსს მაინც იმსახურებს. ცხადია, ნუკრის ამაზეც შევეკითხეთ, მანამდე კი კაუნასური ამბებით დავიწყეთ...



ნუკრი მანჩხავა (მარჯვნივ) და კაუნასელები ჩემპიონობით ხარობენ

— ლიტვის ჩემპიონატი დიდი უპირატესობით კი მოვიგეთ, მაგრამ ლამის ყველა თამაშში ბრძოლა გვქონდა. უბრალოდ, სტარტზე ავკრიბეთ ტემპი, პირველი წრის შემდეგ უკვე სოლიდურად ვუსწრებდით მეტოქეებს.

— ამ სეზონში შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?

— ვფიქრობ, ნორმალურ დონეზე ვითამაშე. საერთოდ, ყველა პროფესიონალი ფეხბურთელი მიღწეულით არ უნდა კმაყოფილდებოდეს და მეც ასე ვარ. სულ უფრო მეტი მინდა.

— ისევ მარცხენა მცველად თამაშობდი?

— თავიდან რომ ჩავედი კაუნასში, მაშინ მარცხენა მცველად ვიყავი, ამ სეზონში კი ნახევარდაცვაში ამწიეს. საგოლე პასები უხვად გავაკეთე, გოლი კი მხოლოდ ერთხელ შევაგდე — უეფას თასზე „პორტდაუნთან“.

— შარშანდელ სეზონში „კაუნასი“ მეორეზე გავიდა, წლეულს კი ჩემპიონი გახდა. ეს სხვა გუნდების დასუსტების ხარჯზე მოხდა თუ?

— არა, პირიქით, წინა სეზონთან შედარებით არც ერთი გუნდი არ დასუსტებულა, ზოგიერთები გაძლიერდნენ კიდეც, მაგრამ „კაუნასი“ ლიტვაში მაინც გამორჩეულია — ჩვენთან ხშირად მოჰყავთ ახალ-ახალი ფეხბურთელები, თანაც ნორმალური დონისანი. „კაუნასის“ მიზნები ლიტვის ფარგლებს სცდება: ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლაც არ არის არარეალური.

— ლიტვის ჩემპიონატის დონე საქართველოსაზე მაღალია?

— ორივეგან მითამაშია და შედარება არ გამიჭირდება: ლიტვაში უკეთესი დონეა. ტემპი მაღალია, ბრძოლა მეტია, თანაც სტადიონებიც ხარისხიანია და ესეც თამაშობს თავის როლს. ინფრასტრუქტურულად ყველა კლუბი აწყობილია...

— „კაუნასის“ მეპატრონე ვლადიმირ რომანოვია და კლუბის ფინანსურ სიძლიერეზე ლაპარაკიც ზედმეტია. სხვა ლიტვურ კლუბებს თუ ჰყავთ ძლიერი მეპატრონეები?

— ლიტვაში კლუბს ფინანსურად უჭირდეს და გაკოტრების პირას იყოს, ასეთი რამ არ ხდება.

— რომანოვი შოტლანდიური „ჰართსის“ მეპატრონეცაა და არაერთი ფეხბურთელი წაიყვანა „კაუნასიდან“ შოტლანდიაში. შენ კი ნაკრებში უთამაშებლობის გამო ამის შანსი არ გაქვს...

— წელიწადნახევარში რომანოვმა ხუთი ფეხბურთელი წაიყვანა „ჰართსში“. მე კი... ნაკრებში თამაში ბავშვობიდან ოცნებად მაქვს, მაგრამ რას ვიზამ, ვერა და ვერ ავიხდინე. სამწუხაროდ, ნაკრების ხელმძღვანელობიდან არავინ დასწრებია ჩემს თამაშს, არადა, ჩემი აზრით, შანსი უნდა მომცემოდა — „კაუნასი“ არ არის ისეთი დაბალი დონის გუნდი, ძირითადში მოთამაშე ფეხბურთელი რომ არ ვარგოდეს. რომანოვმა მითხრა, „ჰართსში“ მოხვედრის კანდიდატი შენც იქნებოდი, მაგრამ ნაკრებში ვერ ხვდებიო.

— ლიტვა საქართველოს თანაჯგუფელია ევროშესარჩევ ციკლში. რას ამბობენ იქაურები ჩვენს ნაკრებზე, რა წარმოდგენა აქვთ?

— პატივისცემას ყოველთვის გამოხატავენ. ქართველებს ძალიან აფასებენ ლიტვაში და მეტიც, ჩვენი ნაკრებისა ეშინიათ კიდეც. საერთოდ, ლიტვაში ცივი გონებით სჯიან — საქართველოში რომ იციან, ლიტვა ვინაარ, იქ პირიქით, ქედმაღლურად არ იყურებიან.

— იტალიასთან სტუმრად 1:1 რომ ითამაშეს, დიდი ზეიმი ჰქონდათ?

— განსაკუთრებული არაფერი. ლიტვაში კალათბურთი გაცილებით პოპულარულია — იქაურები ჩვენ ვერც შეგვედრებიან ფეხბურთის სიყვარულში.

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოს ჩემპიონატი

## თბილისი. ვერის ბაღი. 17-18 დეკემბერი

# კმაყოფილება მეორე განყოფილებამდე

გუშინ ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზი ხალხით გადაიჭედა და ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატი დაიწყო. სეზონის დამაგვირგვინებელი ორდღიანი ტურნირის პირველ დღეს ტატამზე საწყისი სამი წონის მოჭიდავეები გავიდნენ და სალამოსთვის ჩემპიონ-პრიზიორებიც გამოვლინდნენ. მეორე დღე, ანუ დღევანდელი კი დანარჩენ ოთხ წონას დაეთმობა. ძიუდოში ჩახედულნი განსაკუთრებით დაძაბულ ბრძოლებს სწორედ დღეს ელიან, რადგან 81, 90, 100 და +100 კილოგრამ წონით კატეგორიებში თითქმის ყველა უძლიერესი ქართველი ძიუდოისტი იჭიდავებს. თან ამ წონებში ნაკრებში ბევრი რამაა გასარკვევი. 60, 66 და 73 კილოგრამიანთა რკენამ კი პირველი ნომრების გარეშე ჩაიარა



**60 კგ**
1 დავით ასუმბანი
2 ვახტანგ ხოსიტაშვილი
3 ამირან პაპინაშვილი
3 ბეთქილ შუკვანი



**66 კგ**
1 სერგო ციხელაშვილი
2 სანდრო იაკობაშვილი
3 უჩა ხუციშვილი
3 გიორგი ფერსაშვილი



**73 კგ**
1 ბექა ბაიდაური
2 დავით ბოდაველი
3 დავით კობერიძე
3 გიგა წიკლაური

**შოთა ხაბარელის** გუნდს 2007 წელს უმძიმესი სეზონი ელის. პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირებსა და მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობები აქედანვე უნდა გამოიკვეთოს. ეს დატვირთვა საქართველოს ჩემპიონატს ელფერს, მასში მონაწილეებს კი სტიმულს მატებს. წინასატურნირო პრესკონფერენციაზე ნაკრების თავკაცმა პირდაპირ გამოაცხადა, რომ 2007 წელს აქცენტს საქართველოს ჩემპიონატის ჩემპიონ-პრიზიორებზე გააკეთებს. ხოლო სამეულს მიღმა დარჩენილთათვის ნაკრების კარი სულ ცოტა, ერთი წლით დაიხურება.

სალიცენზიო შანსი ყველაზე ადრე დავით სვიმონიშვილმა (60კგ) დაკარგა. ორგანიზატორების მიერ მესამე ნომრად განთესილი ნაკრების კანდიდატი უმსუბუქესი წონის ერთ-ერთ ფავორიტად იყო მიჩნეული. მისგან სულ მცირე, ნახევარფინალში გასვლას ველოდით, მაგრამ მოულოდნელად პირველსავე წრეში წააგო. მერე კი მოვლენები ისე განვითარდა, დამამშვიდებელ ეტაპზე გადართვაც ველარ მოახერხა. სხვა განთესილებმა ნახევარფინალსაც უწიეს და კვარცხლბეკზეც ავიდნენ. დავით ასუმბანმა, ვახტანგ ხოსიტაშვილმა, ბეთქილ შუკვანმა და გაუნთესავმა რობერტ მშვიდობაძემ იპონ-იპონ ჩამოიცილეს მეტოქეები. ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში ასუმბანმა მშვიდობაძეს აჯობა, ხოსიტაშვილმა — შუკვანს. ოქროს ბრძოლა კი მართლაც საუკეთესო გამოვიდა. ბევრისთვის მოულოდნელად, ჩემპიონი ასუმბანი გახდა. დავითმა ბოლო წამებზე, ვაზანკზე წასული მეტოქე იპონზე დასცა.

აქვე 60 კილოგრამის ერთ სიურპრიზზეც ვქთვათ. 16 წლის აჭარელი ამირან პაპინაშვილი ჯერ იყო და მეოთხედფინალამდე მივიდა, მერე კი რეპეშაჟში გადაერთო და იმდენი ქნა, ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. მეორე ბრინჯაო შუკვანმა ირგუნა, სვიმონიშვილის მომგები ილია მჭედლიშვილის ძლევით. თავისი წონის ჭიდაობას ტრიბუნიდან მიადევნა თვალი ნაკრების ლიდერმა ნესტორ ხერგიანმა. იგი კიმონოს თბილისის ტურნირზე მოირგებს. ისევე, როგორც ასუმბანი და ხოსიტაშვილი. მეოთხე ადგილზე კი ხაბარელი ალბათ შუკვანსა და პაპინაშვილს შორის გააკეთებს არჩევანს.

ტრავმირებული ევროპის ჩემპიონის ზაზა კედელაშვილის არყოფნაში 66 კილოგრამში სერგო ციხელაშვილმა იჩემპიონა. გადამწყვეტი ბრძოლა მან გუშინდელი დღის ერთ-ერთ აღმოჩენას, სანდრო იაკობაშვილს წმინდად მოუგო. ხოლო იქამდე გიორგი გუჯეჯიანი, ვანო დავითაშვილი და ონისე ბოლოთაშვილი ჩამოიცილა. ბრინჯაოს მედლებს უჩა ხუციშვილი და გიორგი ფერსაშვილი დაეუფლნენ. ოქროს გზა ორივეს 17 წლის იაკობაშვილმა გადაუკეტა.

73 კილოგრამიანთა შეხვედრები ისე გაიწელა, წინასწარ ეტაპსა და ფინალურ ორთაბრძოლებს შორის გათვალისწინებული შესვენება მთლიანად ამოავსო. ამ წონის ფავორიტებზე წინასწარ ვერავინ საუბრობდა. დავით ქევხიშვილსაც კი გაუჭირდა პროგნოზის გაკეთება.

მართლაც, ოთხი განთესილიდან ორი პირველ-მეორე წრეში ჩარჩა და ვერც რეპეშაჟში იყოჩაღა. ჩემპიონობის მთავარი კანდიდატი მაინც მალევე გამოიკვეთა. ბექა ბაიდაურმა ისე იჭიდავა, მთელი ტურნირის თუ არა, პირველი დღის ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის კანდიდატობაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. ოქროს წერტილი მან სულ რაღაც ერთ წუთში დასვა, დავით ბოდაველთან. ფინალამდე ეს უკანასკნელიც ლამაზი გდებებით მივიდა, თუმცა ნახევარფინალში გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდა. დავით კობერიძეს დამატებით დროში აღებული ქულით აჯობა. ბრინჯაოს მედლები კობერიძემ და ბაიდაურისგან ნახევარფინალში შეჩერებულმა გიგა წიკლაურმა მოიპოვეს.

„დღევანდელი დღით ძალიან კმაყოფილი დარჩი — გვითხრა ფინალების შემდეგ შოთა ხაბარელმა — გამოჩნდა რამდენიმე ახალი სახე, რომლებიც უკვე ნაკრების კანდიდატები არიან. პირველ რიგში პაპინაშვილს, ბაიდაურსა და იაკობაშვილს ვგულისხმობ. დანარჩენი მედალოსნებისგან წარმატებას თავიდანვე ველოდი. ყველას ვულოცავ. ხვალინდელი შეხვედრები კი დარწმუნებული ვარ, გაცილებით სანახაობრივი იქნება".

ფინალებს შორის საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ და მისმა გენერალურმა სპონსორმა „კოკა-კოლამ" 2006 წლის საუკეთესოები დაასახელეს. ფასიანი საჩუქრები ჭაბუკთა, ახალგაზრდული და ძირითადი ნაკრებების მწვრთნელებს, ჯემალ ნათელაშვილს, ბორის ფირცხელიანს და შოთა ხაბარელს გადასცეს. წლის სპორტსმენად კი ევროპის ჩემპიონი ზაზა კედელაშვილი აღიარეს.

ბოლო ოთხი წონის წინასწარი შეხვედრები დღეს დილის თერთმეტი საათიდან დაიწყება. საღამოს ექვსი საათისთვის კი ტატამს მედლებისთვის მებრძოლი ექვსეულები შერჩებიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**





## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# 38: ზაზა ფაჩულიამ ფრთები გაშალა




ზაზა ფაჩულიამ პაუ გასოლს ბურთი გააგდებინა

გასოლმა სადებიუტო მატჩში მხოლოდ 4 ქულა რომ გააკეთა და საკუთარი თავის ჩათვლით ყველა კალათბურთის მოყვარული მემფისელი გააწბილა, ეს ძირითადად ზაზა ფაჩულიას დამსახურებაა. „ატლანტას" ქართველმა ცენტრმა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა, 22 ქულით ამ რეგულარულში პირადი რეკორდი გაიმეორა — თამაშში 12 ტყორცნიდან 7 ჩააგდო და 11 საჯარიმოდან 8 გამოიყენა. დაცვაში კი ფაჩულია სწორედ გასოლს მეურვეობდა და საიმედოდაც.

„ვიცოდით, რომ მასპინძელ გუნდს ტრიბუნებიდან დიდი მხარდაჭერა ექნებოდა, რადგან ეს პაუს პირველი თამაში იყო — ამბობდა ჩვენებური ნამატჩევს — რაც შეეხება თავად პაუს, დღეს ის ნაღდად ვერ ჩანდა მწყობრში.. თუ არ ვცდები, მას 9 თვეა, ნბა-ში მატჩი არ ჩაუტარებია და ეს იგრძნობოდა როგორც შეტევაში, ასე დაცვაში. მე მასთან უპირატესობა მქონდა და გამოვიყენე კიდეც."

მიმდინარე სეზონში პირველად, ფაჩულია თავისიანთა შორის საუკეთესო იყო. მასთან ერთად რიგიანად ითამაშეს ჯოშ სმიტმა და სპიდი კლაქსტონმა და ჯო ჯონსონის არყოფნაში „ჰოქსს" პირველი თამაში მოაგებინეს, „მემფისი" კი მიჯრით მეხუთე მარცხით დაზურგეს. კლაქსტონმა „ატლანტაში" თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და სეზონის რეკორდები დაამყარა ქულებშიც და პასებშიც.

16 დეკემბერი

**ატლანტა 104:106 ჩიკაგო**

ძირითადი დრო 93:93

**ატლანტა:** კლაქსტონი (10 ქულა, 11 პასი), ჯონსონი (23), მ. უილიამსი (23), სმიტი (14 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), **ფაჩულია** (27 წუთი, 16 ქულა, 6 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი); სტუდემაიერი (7), აივი (5), რაიტი (4), შ. უილიამსი (2)

**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (24), გრიფინი, ნოჩიონი (24), დენგი (19), ვოლესი (6 ქულა, 15 მოხსნა, 8 პასი, 3 ჩაჭრა, 3 დაფარება); გორდონი (23), ალენი (8), ბარეტი (2)

მემფისში გამარჯვების შემდეგ ატლანტელი „ქორები" შინ ჩაფრინდნენ და მეორე საღამოს ჩიკაგოელ „ხარებს" დაუხვდნენ, რომლებიც ბოლო ხანებში საოცარ ჯანზე არიან, თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიან და „ატლანტას" წინამორბედი 11 მეტოქიდან 10 ბეჭზე გააკრეს. „ქორებიც" ყოჩაღად დაუხვდნენ, მით უფრო, რომ 5 თამაშის გამოტოვების შემდეგ ლიდერი ჯო ჯონსონი დაუბრუნდათ და მისგან 23-ქულიანი მხარდაჭერა მიიღეს.

თამაში დაძაბული და ამასთან ამაოდ საცქერი გამოვიდა. „ატლანტამ" 4 ქულით მოიგო პირველი ორი მეოთხედი, მესამე კი ექვსით წააგო. მოკლედ, ეს იყო თანაბარი მატჩი, რომელიც „ატლანტას" უნდა მოეგო, რომ არა „ჩიკაგოს" დინოზავრა ცენტრი ბენ ვოლესი. „ბიგ ბენი" უხეირო მსროლელი რომაა, ნბა-ში კი არა, საქართველოშიც იცით (თამაშიდან 7 ტყორცნიდან მხოლოდ ერთი ჩააგდო). არც საჯარიმოებს ისვრის დიდი სიზუსტით, მხოლოდ 45 პროცენტს იყენებს, ანუ ნახევარსაც ვერა. ახლაც ექვსი ცდიდან მხოლოდ ორი ჰქონდა ჩაგდებული და მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე ნახევარი წუთით ადრე საჯარიმოს ხაზზე რომ დადგა, ატლანტელებს გული საგულეს ჩაუდგათ — ისინი ხომ 2 ქულით იგებდნენ. მაგრამ ვოლესმა აიღო და ორივე სროლა ჩააკოკლოზინა, 93:93 გაათანაბრა და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა.

„ატლანტა" დამატებით დროშიც ყოჩაღობდა, მაგრამ ბოლო წამებზე კვლავ „ჩიკაგოს" გაუმართლა. საფინალო სირენამდე 13 წამით ადრე ანდრეს ნოჩიონიმ წყვილი საჯარიმოთი 105:104 დააწინაურა „ჩიკაგო", ხოლო შემდეგ შეტევაში ჯო ჯონსმა ორიანი ააცილა და ანგარიშს წერტილი ჩიკაგოელმა კირკ ჰაინრიხმა ცალი საჯარიმოთი დაუსვა.

კვლავ რიგიანად ითამაშა ზაზა ფაჩულიამ, რომელმაც ბენ ვოლესთან ჯაჯგურში 16 ქულა გაახერხა — 8 ორიანიდან 6 ჩააგდო, 5 საჯარიმოდან კი 4 და ჰარასკევშაბათს ჯამში გვარიანი 38 ქულა შეაგროვა.

**კოტე ყორშია**

15 დეკემბერი

**მემფისი 88:97 ატლანტა**

**მემფისი:** სტუდემაიერი (4), ჯონსი (5), მილერი (11), უორიკი (16), გასოლი (4); ეტკინსი (18), ჯონსონი (15), გრეი (13), ჯონსი (2)

**ატლანტა:** კლაქსტონი (19 ქულა, 11 პასი), აივი (8), მ. უილიამსი (13), სმიტი (16 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება), **ფაჩულია** (41 წუთი, 22 ქულა, 7 მოხსნა, 2 დაფარება, 1 პასი, 1 ჩაჭრა); ლუ (13), შ. უილიამსი (4), სტუდემაიერი (2)

**მემფისელები** ძალიან დიდხანს ელოდნენ ამ დღეს, მაგრამ თავიანთი საუკეთესო მოთამაშის, ესპანელი პაუ გასოლის დაბრუნება მთლად საზეიმო ვერ გამოდგა ელვის პრესლის მშობელი ქალაქის გუნდისთვის. გასოლმა 1 სექტემბერს მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში არგენტინასთან სასტიკი ჯახის დროს მოიტეხა მარცხენა ტერფი და „მემფისის" პირველი 22 თამაში გამოტოვა. „დათვებმა" ამ 22-დან 17 წააგეს, პარასკევს და შაბათს კი გასოლთან ერთად კიდევ ორი მარცხი ჩაიწერეს პასივში. მოკლედ, ვერ გამოდგა პაუს დაბრუნება იღბლიანი.

15 დეკემბერი

**ლეიკერსი 112:101 ჰიუსტონი**

ძირითადი დრო 99:99

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (53 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), პარკერი (17)

**ჰიუსტონი:** მინი (35 ქულა, 15 მოხსნა, 8 დაფარება), ალსტონი (19 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა)

**ვაშინგტონი 106:95 მაიამი**

**ვაშინგტონი:** ბატლერი (30), არენასი (27), ჯემისონი (22 ქულა, 10 მოხსნა)

**მაიამი:** პოუზი (27), მურნინგი (17)

**ინდიანა 112:96 ნიუ იორკი**

**ინდიანა:** გრეინჯერი (25), ჯექსონი (19), ჰარინგტონი (17)

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (29)

**ტორონტო 90:78 ნიუ ჯერსი**

**ტორონტო:** ფორდი (17)

**ნიუ ჯერსი:** ადამსი (13)

**ბოსტონი 119:114 დენვერი**

**ბოსტონი:** პირსი (38 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), ალენი (30), ჯეფერსონი (28 ქულა, 10 მოხსნა)

**დენვერი:** ენტონი (42), მილერი (18), სმიტი (15), ბოიკინსი (14)

**დალასი 93:79 ფილადელფია**

**დალასი:** ტერი (18), ჰოვარდი (15)

**ფილადელფია:** იგუდალა (17), დალემბერტი (16), გრინი (16)

**ჩიკაგო 117:111 მილუოკი**

**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (21), დუჰონი (19), გორდონი (18), ვოლესი (10 ქულა, 27 ქულა, 6 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 3 დაფარება)

**მილუოკი:** რედი (32), პატერსონი (21 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი), უილიამსი (18)

**ფინიქსი 105:101 გოლდენ სტეიტი**

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (25 ქულა, 10 მოხსნა), დიაუ (21 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი), ნეში (16)

**გოლდენ სტეიტი:** ელისი (21), დევისი (19)

**იუტა 97:98 საკრამენტო**

**იუტა:** ოქური (17), უილიამსი (15), ბუზერი (14 ქულა, 11 მოხსნა)

**საკრამენტო:** აბდურ-რახიმი (21), ბიბი (19)

**პორტლენდი 109:99 კლიპერსი**

**პორტლენდი:** რენდოლფი (26)

**კლიპერსი:** ბრენდი (23), მაგეტი (18), ლივინგსტონი (16 ქულა, 10 პასი)

**კლივლენდი 106:84 სიეტლი**

**კლივლენდი:** ჰიუზი (25), ჯეიმსი (22 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), ილგაუსკასი (17)

**სიეტლი:** უილკოქსი (20), გელაბალე (16)

16 დეკემბერი

**შარლოტი 100:106 ბოსტონი**

**შარლოტი:** ვოლესი (31), ოკაფორი (12 ქულა, 19 მოხსნა, 8 დაფარება)

**ბოსტონი:** პირსი (35 ქულა, 10 მოხსნა), ჯეფერსონი (22 ქულა, 10 მოხსნა)

**ორლანდო 81:74 კლივლენდი**

**ორლანდო:** ჰილი (21), ჰოვარდი (14 ქულა, 16 მოხსნა, 5 დაფარება)

**კლივლენდი:** ჯეიმსი (29)

**მაიამი 98:90 მემფისი**

**მაიამი:** ვეიდი (41)

**მემფისი:** მილერი (20), უორიკი (20)

**ნიუ იორკი 100:123 დენვერი**

**ნიუ იორკი:** მარბერი (31), კარი (19), რობინსონი (17)

**დენვერი:** ენტონი (34), კემბი (24 ქულა, 9 მოხსნა, 7 დაფარება), სმიტი (13)

**ნიუ ჯერსი 82:90 დეტროიტი**

**ნიუ ჯერსი:** კრსტიჩი (27), კიდი (13 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი)

**დეტროიტი:** ბილაფსი (27 ქულა, 11 პასი, 5 ჩაჭრა), ჰამილტონი (21)

**ნიუ ორლეანი 79:90 დალასი**

**ნიუ ორლეანი:** პოლი (30 ქულა, 12 მოხსნა, 9 პასი), ბატლერი (19)

**დალასი:** ჰოვარდი (23), ნოვიცკი (20 ქულა 10 მოხსნა)

**სან ანტონი 103:98 ფილადელფია**

**სან ანტონიო:** პარკერი (24), დანკანი (21), ჯინობილი (17)

**ფილადელფია:** იგუდალა (27), ოლი (19)

**მილუოკი 108:104 მინესოტა**

**მილუოკი:** რედი (28), უილიამსი (28), ბოგუტი (16 ქალა, 10 მოხსნა), ბელი (16)

**მინესოტა:** გარნეტი (26), ბრაუნი (16 ქულა, 10 მოხსნა), დევისი (15)

**საკრამენტო 98:105 ფინიქსი**

**საკრამენტო:** მარტინი (23), სალმონსი (20)

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (20), ბარბოსა (18), ნეში (16 ქულა, 12 პასი)

# გუნდი გუნდზე, კაცო?!

**რა არ უნახავს** ნიუ იორკის მშვენებას და უცნობილეს დარბაზ „მედისონ სკვერ გარდენს" და ახლა გუნდი გუნდზე ჩხუბიც იხილა. ერთ რიგით შეხვედრაში „ნიუ იორკ ნიქსსა" და „დენვერ ნაგიტსს" შორის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე ისეთი დაკა-დაკა ატყდა, ნბა-ს 2004 წლის „დეტროიტ" — „ინდიანას" ომის შემდეგ რომ არ ახსოვს.

სტუმარი „დენვერი" იოლად უგებდა მასპინძელ „ნიუ იორკს", თავმოყვარეობაშელახულმა ნიუორკელებმა კი უხეშობის გარდა ვერაფერი დაუპირისპირეს დენვერელებს. ერთ ეპიზოდში გარღვევაზე წასულ დენვერელ ჯეიარ სმიტს ნიუორკელთა ღრმა სათადარიგო მოთამაშემ მარდი კოლინზმა ხელებში ისეთი ჩასცხო, რომ ხმამ ქანდარაზე მჯდომთა ყურებამდეც კი მიაღწია. მერე მოედანზე ისეთი თავპირისლეწვა ატყდა, ძნელი გასაგებია, ვინ ვის ურტყამდა. განსაკუთრებით აქტიურობდა დენვერელთა ლიდერი და ნბა-ს პირველი ბომბარდირი კარმელო ენტონი, რომელიც ჯეიარ სმიტის ნაცვლად გაუსწორდა მარდი კოლინზს. ნიუორკელთა მხრიდან კი ზედახორის ეპიცენტრში იყო „ნიქსის" ჯუჯა გამთამაშებელი, სულ რაღაც 165-სანტიმეტრიანი ნეიტ რობინსონი, რომელმაც უმუშტოდ ლამის ორი თავით მაღალი „მტრები" არ დატოვა.

ერთადერთი დადებითი, რაც ამ ჩხუბისას მოხდა, ის იყო, რომ სათადარიგოები არ ჩარეულან. მსაჯებმა იმ მომენტში მოედანზე მოჩხუბარი ათივე მოთამაშე გააგდეს და ის დარჩენილი წუთნახევარი სხვებმა ჩაამთავრეს.



ნბა გაცილებით უმნიშვნელო დავა-კამათებს არ ტოვებს სანქციების გარეშე და არც ამ ჩხუბის მონაწილეებს დაინდობს. არაა გამორიცხული, რომელიმე მოჩხუბარი 20-30 თამაშიანი ან სულაც მთლიანად სეზონიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯოს.

**კოტე ყორშია**

# 16 საქართველოს ჩემპიონატი

16 დეკემბერი
ვერის ბაღი

**თსუ 137:86 მაკაბი**

*37:10 34:16 28:29 38:31*

**თსუ:** ვეფხვაძე (6), ბ. ბერიშვილი (9), ფანჩულიძე (14), მ. ბერიშვილი (17). მათიაშვილი (8); ლეჟავა (33), არწივიძე (12), შანიძე (14), სანიკიძე (5), ხეცურიანი 13), ტყეშელაშვილი (6)
**მაკაბი:** ნინუა (2), კორკოტაძე (4), ვაშაკიძე (15), ს. შერმადინი (21), გ.შერმადინი 32); დოლიძე (8), ცერცვაძე (4), პირველაშვილი
*მსაჯები:* დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა
*კომისარი:* თენგიზ ქიქოძე

**დინამო 84:74 სტუ**

*22:16 18:22 17:19 27:17*

**დინამო:** ბადრიძე (7), გულისაბედაშვილი (3), სიგუა, კეშელავა (5), კოლუაშვილი (11); ლაფანაშვილი (24), გვიმრაძე (14), ფაიქრიძე (9), მურჯიკნელი (5), ნ. ნოზაძე (6)
**სტუ:** კოხრეიძე (11), ბერაია (29), ბარბაქაძე (8), მაისურაძე (6), ახალკაცი (14); ლ. ნოზაძე (2), დევიძე, სეფისკვერაძე (4), ეძგვერაძე, ბაბუნაშვილი
*მსაჯები:* მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე
*კომისარი:* როლანდ ხომერიკი

## გინდათ რეკორდები? ეთამაშეთ მაკაბის

### დინამომ სტუ-ს ანგარიში გაუსწორა

**ირაკლი პერტაია**

**ᲒᲐᲡᲣᲚᲘ** ტურის მთავარი ჯახი რუსთავში იყო — ლიდერმა „აზოტმა" მდევარი „ავიამშენის" ძლევით კიდევ უფრო გაიმყარა ცხრილის სათავეში ადგილი, ხოლო დედაქალაქს ორი უსახური მატჩი შერჩა.

მართალია, „დინამო" და სტუ დაახლოებით ერთი კალიბრისანი არიან, მაგრამ ამ გუნდებს შედარებით დაბალი კლასი აქვთ და ბლომად მაყურებელს ვერის ბაღში ვერ მიიზიდავდნენ. ასეც მოხდა — შაბათის მატჩზე ჩვეული ხალხმრავლობა ვერ ვიხილეთ.

დღის პირველ თამაშში თსუ უსუსტეს „მაკაბის" ხვდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ თამაშის შედეგი წინასწარ იყო ცნობილი, მაყურებელმა მაინც საკმარისად იხალისა. ამის მიზეზი არ იყო დაძაბული ორთაბრძოლა და ლამაზი კომბინაციები — უბრალოდ, თსუ იმდენად ჯაბნიდა „მაკაბის", რომ ქომაგმა საამსეზონოდ სარეკორდოდ ბევრი ჩაგდებული ბურთი იხილა.

137 ქულა ამ სუპერლიგაში არავის ჩაუგდია, თსუ-მ კი ზუსტად ამდენი დაასეტყვა მაკაბელებს. სხვათა შორის, აქამდელი რეკორდიც, 127 ქულა, სწორედ ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდს ჩაუგდეს — წინა ტურში „მაკაბი" „აზოტმა" არ დაინდო. რუსთავში მაკაბელებს აკლდათ გუნდის უთუმცაო ლიდერი გიორგი შერმადინი, რომელიც შაბათს დაუბრუნდა მოედანს, მაგრამ თავისიანებს მორიგი ანტირეკორდი მაინც ვერ ააცილა.

შესაშური შედეგიანობა გამოიჩინა სტუდენტების უკანახაზელმა ბესიკ ლეჟავამ. მას გამორჩეულად ბევრი არ ჩაუგდია, 32 ქულა მოიმკა, მაგრამ ეს მხოლოდ 22 წუთში მოახერხა, რაც ამ სეზონის თავისებური რეკორდია. აქამდელი რეკორდიც მას ეკუთვნოდა — ბესომ 2 კვირის წინ 9 წუთში 19 ქულა ჩაუგდო სტუ-ს და ტურის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

უკვე პირველი ტაიმის შემდეგ შეეძლოთ სტუდენტებს დაარხეინება — თსუ 71:26 აცამტვერებდა ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდს. შესაბამისად მოეშვნენ კიდეც უნივერსიტეტელები, რაც მხოლოდ დაცვის მოდუნებაში გამოიხატა, თორემ თსუ შეტევაში ძველებური იმტით თამაშობდა. მეორე ნახევარში ნუგზარ ჭეიშვილის გუნდმა მეტოქეს შედარებით მოკრძალებული სხვაობით დამარცხება აკმარა: 66:60.

„დინამოსა" და სტუ-ს მატჩი გაცილებით საინტერესო გამოვიდა. ეს გუნდები დღეს აშკარად ჯობიან „მაკაბის" და პლეი ოფის მეოთხე საგზურისთვისაც ისინი იბრძოლებენ. საერთოდ, ეს სუპერლიგა ორადაა გაყოფილი — მოლიდერე და ქვედა სამეულს შორის იმხელა განსხვავებაა, როგორც ცასა და დედამიწას შორის. ამიტომაც, „მაკაბის", სტუ-ს და „დინამოს" ჩემპიონატში თამაში სატურნირო თვალსაზრით წმინდა ფორმალობაა და მეტი არაფერი. ამათთვის აზრი მაშინ აქვს თამაშს, როცა ერთმანეთს ხვდებიან, ხოლო ძლიერებთან მატჩებს გამოცდილების მისაღებადღა იყენებდნენ.

ხოდა, „დინამოსა" და სტუ-სთვის შაბათს საკმაოდ პრინციპული მატჩი გაიმართა. პირველ წრეში სტუ-მ უადვილესად იმარჯვა ამათ დუელში და „დინამოს" რევანშის სურვილი კლავდა, რომელიც დაიკმაყოფილა.

დინამოელები ნიადაგ კი ლიდერობდნენ, მაგრამ თამაშს მაინც თანაბარი ეთქმოდა. ტექნიკოსები კუდზე ასხდნენ ზაზა ცაგარეიშვილის გუნდს და შეხვედრას ბოლომდე შეუნარჩუნდა ინტრიგა. სტუ-მ პირველ ტაიმში 11-ქულიანი უპირატესობა გაუბათილა „დინამოს" და ამაში ლომის წილი ნოდარ ბერაიას ედო, რომელმაც საბოლოოდ 29 ქულა მოაგროვა.

მეორე ტაიმიდან ბერაიას ფრთები შეუკვეცეს დინამოელებმა. მოედანზე გამოსული დავით ფაიქრიძე ლანდივით აეკრა სტუ-ს ლიდერს და შეტევაშიც გამოიჩინა თავი — ბოლო მეოთხედში სამიდან სამი სამქულიანი ჩააგდო და ტექნიკოსებიც ძირითადად ამან გატეხა. საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე "დინამოს" უპირატესობამ 10 ქულას მიაღწია და ნიკო ჩერქეზიშვილის გუნდიც წასაგებად გაიწირა.

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 9 | 9 | 0 | +258 | 18 |
| ავიამშენი | 9 | 7 | 2 | +164 | 16 |
| თსუ | 9 | 6 | 3 | +174 | 15 |
| დინამო | 9 | 2 | 7 | -150 | 11 |
| სტუ | 9 | 2 | 7 | -165 | 11 |
| მაკაბი | 9 | 1 | 8 | -261 | 10 |



დინამოელ ვიქტორ კოლუაშვილს (№20) სტუ-ელი დავით მაისურაძე ბურთს ეცილება





ნორვეგია ევროპის ჩემპიონია

# ევროპის VII ჩემპიონატი

## ქალები. შვედეთი. 7-17 დეკემბერი

## როგორც ძველ დროში

### რუსი ქალები ვიკინგებმა გადათელეს

**ნახევარფინალი**

**რუსეთი 33:29 (16:13) გერმანია**
**ნორვეგია 28:24 (15:12) საფრანგეთი**

**ფინალი**

**ნორვეგია 27:24 (16:12) რუსეთი**

**ნორვეგია:** კატ. ლუნე, გრიმსბუ; ე.ჰ. იუჰანსენი (3), ომონტა (3), ლიუბეკი (1), ბრეივანგი, კრ. ლუნე (4), ჰამერსენგი, კ.მ. იუჰანსენი (9), ფრაფორდი, რიეგელჰუტი (3), როკნე (4).
**რუსეთი:** სუსლინა, სიდოროვა; პოლტოროცკაია (6), რომენსკაია, პოსტნოვა, კარეევა (4), ბოდნიევა (2), ანდრიუშინა (2), პოლენოვა (5), ტურეი (1), შიპოლოვა, მარენნიკოვა (1), იაკოვლევა, ბლიზნოვა (3)

**მესამე ადგილისთვის**

**საფრანგეთი 29:25 (14:11) გერმანია**

**ᲗᲘᲗᲥᲝᲡ** პირი შეკრესო, ფავორიტებმა ორივე ნახევარფინალური შეხვედრა ერთნაირი, ოთხბურთიანი სხვაობით მოიგეს და ასე რომ, რუსებმაც და ნორვეგიელებმაც უპრობლემოდ გაიკვლიეს გზა ფინალისკენ.

თავიდან ფრანგები იყვნენ წინ — 3:1, მერე კი თამაში გათანაბრდა, მას შემდეგ, რაც სკანდინავიელთა ლიდერები ამუშავდნენ, განსაკუთრებით აქტიურობდა ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე გრო ჰამერსენგი, რომელმაც ამჯერადაც ყველაზე მეტი, რვა გოლი გაიტანა.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში რუსებს არ გასჭირვებიათ უტიტულო გერმანელთა ძლევა. პრობლემა სლავ ქალებს არ შეუქმნიათ, ისინი თავიდან ბოლომდე ლიდერობდნენ და დამსახურებული საფინალო საგზურიც მოიპოვეს.

ფინალამდე, მესამე ადგილისთვის მატჩში, ფრანგებმა კვლავაც ოთხბურთიანი სხვაობით მოუგეს გერმანელებს და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს და გადამწყვეტ შეხვედრაში კი ოთხბურთიანი ბალანსი პირველი ტაიმის შემდეგ დაირღვა — შესვენებისთვის ნორვეგიელები 16:12 ამარცხებდნენ რუსებს და მეორე ნახევარში ამ ჩვენმა ძვირფასმა ჩრდილოელმა ქალებმა რაც მოახერხეს, ისღა იყო, რომ ჩამორჩენა ერთი ბურთით შეამცირეს და თამაში 24:27 წააგეს.

# მსოფლიოს თასი



## სუპერგიოტჩლი

ალპებში, როგორც იქნა, თოვლი მოვიდა და სხვადასხვა სახის სათხილამურო სპორტის უსტაბაშებმაც შვებით ამოისუნთქეს. ამ სხვადასხვათა შორის ყველაზე დიდი ლოდი მთის მოთხილამურეებს მოეხსნათ გულიდან, რადგანაც მათი მსოფლიო თასის მიმდინარეობა სითბომა და უთოვლობამ ყველაზე მეტად არია.

ხოდა, შაბათს იტალიურ ვალ გარდენასა და ავსტრიულ რაიტერალმში მთელი ძალით გაჩაღდა და გახურდა შეჯიბრი და ავსტრიისა რა მოგახსენოთ და იტალიაში გვარიანი სენსაცია გამოცხვა — კაცთა სწრაფდაშვება 24 წლის ამერიკელმა სტივ ნიუმანმა მოიგო, ვისაც აქამდე, მსოფლიოს თასის ეტაპებზე, გამარჯვებებზე ალარ არის ლაპარაკი და ერთადერთხელ დაეკავებინა მესამე ადგილი

იმის გათვალისწინებით, რომ წინ დღეს ვალ გარდენას ფერდობებზე სუპერგიგანტი ბოდე მილერმა მოიგო, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიოს თასი ამერიკულად განახლდა. მილერს შაბათსაც შეეძლო გამარჯვება, მშვენიერი სტარტი ჰქონდა, მაგრამ ტრასის მეორე ნახევარში შეცდომა მოუვიდა და მე-14 ადგილით დაკმაყოფილდა.

პირველი ადგილის ბედი კი წამის მეასედებმა გადაწყვიტა — ნიუმანმა შვეიცარიელ დიდიე კუშეს ოდენ ორი მეასედი წამით აჯობა და ამათ უკან, მესამე და მეხუთე ადგილებს შორის სხვაობა სამი მეასედი იყო.

რაიტერალმში კი, სადაც ქალები სუპერგიგანტში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, მასპინძლებმა პირველ რვეულში ერთბაშად შვიდი წარმომადგენელი გაიყვანეს. ერთადერთმა, შვეიცარიელმა მარტინა შილდმა შეძლო ავსტრიელისთვის რალაც კონკურენციის გაწევა და მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო სხვებმა ვერაფრით გამოიჩინეს თავი და თვით სახელოვანი შვედი ანია პერსონი ოდენ მე-12 იყო.

გამარჯვებით კი ვეტერანმა რენატე გიოტჩლმა გაიმარჯვა და მიმდინარე სეზონში უკვე მეორე სუპერგიგანტი მოიგო. 31 წლის რენატემ მეორე ადგილზე გასული თანამემამულე, საერთო ჩათვლის ლიდერი ნიკოლ ჰოსპი 0,71 წამით ჩამოიტოვა და თავად საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე აინაცვლა.

16 დეკემბერი

### კაცები. ვალ გარდენა (იტალია)

| | |
|---|---|
| **სუპერგიგანტი** | |
| 1. სტივ ნიუმანი (აშშ) | 1წთ.56,52წმ. |
| 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 1.56,54 |
| 3. ფრიც შტრობლი (ავსტრია) | 1.56,95 |
| 4. მარკო სალივანი (აშშ) | 1.56,96 |
| 5. მანუელ ოსბორნ-პარადისი (კანადა) | 1.56,98 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 360 ქულა |
| 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 334 |
| 3. ბოდე მილერი (აშშ) | 260 |
| 4. პეტერ ფილი (იტალია) | 258 |
| 5. სტივენ ნიუმანი (აშშ) | 250 |

### ქალები. რაიტერალმი (ავსტრია)

| | |
|---|---|
| **სუპერგიგანტი. რაიტერალმი (ავსტრია)** | |
| 1. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 1წთ.17,91წმ. |
| 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 1.18,62 |
| 3. მარტინა შილდი (შვეიცარია) | 1.18,71 |
| 4. ალექსანდრა მაისნიტცერი (ავსტრია) | 1.18,79 |
| 5. კატრინ ზეტელი (ავსტრია) | 1.18,94 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 421 ქულა |
| 2. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 377 |
| 3. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 311 |
| 4. კატრინ ზეტელი (ავსტრია) | 310 |
| 5. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 275 |



# მსოფლიოს თასი. მესამე ეტაპი

### ჰოხფილცენი (ავსტრია). 13 – 17 დეკემბერი

## ის, ძველი მუსიე პუარე

ნორვეგიელმა ოლე ეინარ ბიორნდალენმა დროებით შაშხანა გვერდზე გადადო და გასულ უქმეებზე, ყოველგვარი სროლის გარეშე, ფრანგულ ლა კრუზეში გამართულ ბარის მოთხილამურეთა მსოფლიოს თასის გათამაშების ეტაპზე იასპარეზა. ოლეს არყოფნა სხვებისთვის შვება და შანსი იყო და ავსტრიულ ჰოხფილცენში, სადაც ბიატლონისტთა მსოფლიოს თასის ზედიზედ მეორე ეტაპი გაიმართა, დიდი ომი გაჩაღდა პირველობისთვის — აბა, ოლე რომ დაბრუნდება სხვები მეორეობისთვის თუ იბრძოლებენ და ამ შანსს გამოყენება უნდოდა.

ჰოხფილცენში მიყოლებით ორი 10-კილომეტრიანი სპრინტი გაიმართა და, თუ პირველი სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, გერმანელმა მიხაელ გრაისმა მოიგო, მეორე ჯერზე ბიორნდალენის არყოფნით სახელოვანმა ფრანგმა, მსოფლიოს თასის არაერთგზის მფლობელმა რაფაელ პუარემ ისარგებლა და კარგა ხნის დავიწყებული გამარჯვების გემო გაიხსენა.

ბრძოლა მძაფრი იყო და გამოცდილების, ძველი, ტიტულოვანი ვეტერანების გამარჯვებით დასრულდა. ამათ, ანუ მრავალნაცადებმა, უშეცდომოდ ისროლეს და ყველაფერი წამის მეათედებმა გადაწყვიტა — პუარემ 0,9 წამით აჯობა გერმანელ მიხაელ რიოშს, ხოლო მესამე ადგილზე კიდევ ერთი გერმანელი სვენ ფიშერი გავიდა, ვისაც, პუარესი არ იყოს, თავის დროზე არაერთის მსოფლიოს თასი მოუგია.



ბიორნდალენის არყოფნაში ყველაზე მეტად, მაინც გრაისმა იხეირა. ერთი სპრინტი ხომ მოიგო, მეორეში მე-8 ადგილი დაიკავა და საერთო ჩათვლაში 8 ქულით გადაასწრო დაუმარცხებელ ნორვეგიელს. ნაახალწლევს, მე-4 ეტაპი რომ დაიწყება, ლიდერის ყვითელ მაისურში სწორედ გრაისი იქნება, მაგრამ იმ დროისთვის ოლე ეინარიც დაბრუნდება და გერმანელს პირველობის შენარჩუნება, ო, როგორ გაუჭირდება.

### კაცები

| | |
|---|---|
| **სპრინტი. 10კმ. (2 სასროლეთი)** | |
| 1. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) | 24წთ.34,0წმ. (0 აცდენა) |
| 2. მიხაელ რიოში (გერმანია) | +0,9წმ. (0) |
| 3. სვენ ფიშერი (გერმანია) | +5,5წმ. (0) |
| 4. კარლ იოჰან ბერგმანი (შვედეთი) | +19,8წმ. (0) |
| 5. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვეგია) | +25,9წმ. (0) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 258 ქულა |
| 2. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 250 |
| 3. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | 206 |
| 4. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | 194 |
| 5. სვენ ფიშერი (გერმანია) | 194 |



# მსოფლიოს თასი

### ლა კლუზე (საფრანგეთი). 16 – 17 დეკემბერი

## კლასიკური ვირპი თავისუფალშიც ვიპია

ვირპი კუიტუნენი ვიპ-ადგილის დათმობას არ აპირებს და მსოფლიოს თასის გათამაშების ქალთა ნახევარს უზარმაზარი უპირატესობით ლიდერობს. ფრანგულ ლა კლუზეში, სადაც ბარის მოთხილამურეთა მორიგი ეტაპი გაიმართა, ვირპიმ საკუთარ თავს აჯობა და აქამდე კლასიკური სტილის სპეციალისტად ცნობილმა 15 კილომეტრზე თავისუფალი სტილით მასსტარტი, ანუ ერთობლივი სტარტით რბოლა მოიგო.

კუიტუნენმა ფინიშზე წამის სამი მეათედით აჯობა მეორე ფინელს, უცნობ რიიტა ლიზა როპონენს და ამ გამარჯვებით საერთო ჩათვლაში მთელი 108 ქულით გაასწრო მსოფლიოს თასის ამჟამინდელ მფლობელს, ნორვეგიელ მარატ ბიორგენს.

კაცებში კი, ანალოგიურ, ოლონდაც 30 კილომეტრიან რბოლაში ყველას გერმანელმა ტობიას ანგერერმა აჯობა. ამჯერად ვერ ივარგეს საერთო ჩათვლის მოწინავე პოზიციებზე მყოფმა ნორვეგიელებმა, რომელთა შორისაც ბიატლონის მეფე ოლე ეინარ ბიორნდალენიც იყო, ვინაც წელს უკვე მოახერხა ერთი სათხილამურო ეტაპის მოგება, თუმცა ამჯერად მხოლოდ მე-16 იყო გამარჯვებულთან 40-წამიანი ჩამორჩენით.

### კაცები

| | |
|---|---|
| **30კმ. მასსტარტი. თავისუფალი** | |
| 1. ტობიას ანგერერი (გერმანია) | 1სთ.17წთ.11,8წმ. |
| 2. ალექსანდრ ლეგკოვი (რუსეთი) | 1:17.12,4 |
| 3. ევგენი დემენტიევი (რუსნეთი) | 1:17.12,6 |
| 4. ანდერს სიოდერგრენი (შვედეთი) | 1:17.18,2 |
| 5. აქსელ ტაიხმანი (გერმანია) | 1:17.20,3 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ეიდარ რიონინგი (ნორვეგია) | 332 ქულა |
| 2. ტორ-არნე ეტლანდი (ნორვეგია) | 252 |
| 3. ტობიას ანგერერი (გერმანია) | 222 |
| 4. ანდერს სიოდერგრენი (შვედეთი) | 155 |
| 5. ოდ-ბიორნ ჰელმესეტი (ნორვეგია) | 154 |

### ქალები

| | |
|---|---|
| **15კმ. მასსტარტი. თავისუფალი** | |
| 1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | 42წთ.08,8წმ. |
| 2. რიიტა ლიზა როპონენი (ფინეთი) | 42.09,1 |
| 3. არიანა ფოლისი (იტალია) | 42.09,5 |
| 4. კატერინა ნოიმანოვა (ჩეხეთი) | 42.10,1 |
| 5. კრისტინ სტორმერ სტეირა (ნორვეგია) | 42.10,7 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | 422 ქულა |
| 2. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია) | 314 |
| 3. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია) | 306 |
| 4. კატერინა ნოიმანოვა (ჩეხეთი) | 252 |
| 5. აინო კაისა საარინენი (ფინეთი) | 188 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს თასი

ენგელბერგი (შვეიცარია). 16 – 17 დეკემბერი




## ბიჭი, რომელიც დაფრინავს

**ისეთი** პირი უჩანს, უახლოეს წლებში თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა ერთი კაცის სოლო კონცერტად იქცევა. კაცისო ვამბობთ, მაგრამ 16 წლის ბიჭს ვგულისხმობთ — ნორჩი ავსტრიელი გრეგორ შლირენცაუერი, მართლაც რომ მეტეორივით შემოიჭრა დიდ სპორტში და 2006-07 წლების ზამთრის სეზონის უმთავრეს აღმოჩენად იქცა.

16 წლის ვუნდერკინდმა უკვე მეორე ეტაპი მოიგო ტრამპლინიდან მხტომელთა მსოფლიოს თასზე და ის დრო, ანუ გასული საუკუნის 80-იანი წლები გაგვახსენა, როდესაც ყველა ტრამპლინზე ფინელი მატი ნიუკიანენი ბატონობდა, ვისი ფანტასტიკური კარიერაც ასევე 16 წლის ასაკში დაიწყო.

შლირენცაუერმა ამჯერად შვეიცარიული ენგელბერგის დიდ ტრამპლინზე იმარჯვა და მეტად შთამბეჭდავადაც — ასაკის კვალობაზე საოცარი ფსიქოლოგიური სიმტკიცე გამოავლინა და პირველი, შედარებით სუსტი, „ოდენ“ 131-მეტრიანი ნახტომის შემდეგ, მეორეზე 140,5 მეტრზე გაფრინდა და მანამდე პირველ ადგილზე მყოფი ნორვეგიელი ანდერს იაკობსენი შორს ჩამოიტოვა.

გენერალურ კლასიფიკაციაში შლირენცაუერი უკვე მეორეა, 30 ქულით ჩამორჩება სოლტ ლეიკ სიტის 2002 წლის ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონ შვეიცარიელ სიმონ ამანს და შორს ჰყავს მოტოვებული ბოლო წლების ლიდერები — პოლონელი ადამ მალიში, ფინელი იანე აჰონენი და თანამემამულეები — ტომას მორგენშტერნი და მარტინ ჰალვარტი.

### კაცები

| დიდი ტრამპლინი (K-120) | |
|---|---|
| 1. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 269,2 ქულა (131,0მ.+140,5მ.) |
| 2. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 263,3 (137,0+129,0) |
| 3. ადამ მალიში (პოლონეთი) | 253,6 (128,0+1343,0) |
| 4. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 253,2 (135,5+126,0) |
| 5. ანდრიეს კუეტელი (შვეიცარია) | 249,6 (129,5+130,0) |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 280 ქულა |
| 2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 250 |
| 3. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 246 |
| 4. ანდრეას კუეტელი (შვეიცარია) | 170 |
| 5. არტუ ლაპი (ფინეთი) | 144 |



# მსოფლიოს თასი

რამზაუ (ავსტრია). 16 – 17 დეკემბერი

| 10 კმ. თხილამურებით რბოლა + ორი ნახტომი | |
|---|---|
| 1. კრისტოფ ბილერი (ავსტრია) | 265,0 ქულა |
| 2. ანსი კოივურანტა (ფინეთი) | 263,5 |
| 3. მაქსიმ ლაერტი (საფრანგეთი) | 253,0 |
| 4. რონი აკერმანი (გერმანია) | 249,6 |
| 5. ბიორნ კირხშეიზენი (გერმანია) | 247,0 |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. კრისტოფ ბილერი (ავსტრია) | 276 ქულა |
| 2. ანსი კოივურანტა (ფინეთი) | 229 |
| 3. მაგნუს ჰანს მოენი (ნორვეგია) | 229 |
| 4. ჰანუ მანინენი (ფინეთი) | 209 |
| 5. ჟეზონ ლამი შაპუი (საფრანგეთი) | 195 |



## რეგულარული ჩემპიონატი

**15 დეკემბერი**

**ატლანტა 2:3 ვაშინგტონი**
*0:1 1:0 1:1 0:1 (ოვერტაიმი)*
0:1 ოვეჩკინი (9), 1:1 სიმი (32), 2:1 ვიჟე (55), 2:2 ოვეჩკინი (60), 2:3 ოვეჩკინი (61)

**კაროლინა 3:4 ტორონტო**
*1:1 0:2 2:1*
1:0 კოული (16), 1:1 სუნდინი (19), 1:2 სუნდინი (32), 1:3 მაკკეიბი (38), 2:3 უილიამსი (47), 3:3 კომოდორი (51), 3:4 სტინი (54)

**პიტსბურგი 7:4 აილენდერსი**
*3:1 2:0 2:3*
1:0 მელოუნი (8), 1:1 შატანი (13), 2:1 კროსბი (13), 3:1 რეკი (17), 4:1 სტაალი (26), 5:1 ტელბოტი (27), 6:1 მულონი (49), 6:2 პოტი (51), 6:3 ბლეიკი (53), 6:4 იორკი (54), 7:4 მელოუნი (56)

**კოლორადო 4:1 ედმონტონი**
*1:1 2:0 1:0*
0:1 პულიო (16), 1:1 ჰეიდუკი (18), 2:1 ლაილზი (23), 3:1 ვოლსკი (31), 4:1 არნასონი (44)

**16 დეკემბერი**

**აილენდერსი 6:0 ატლანტა**
*1:0 3:0 2:0*
1:0 შატანი (9), 2:0 იაშინი (31), 3:0 ჰილბერტი (32), 4:0 ბეიტსი (37), 5:0 კოზლოვი (51), 6:0 სირინჯერი (56)

**ბუფალო 1:3 ოტავა**
*0:2 1:0 0:1*
0:1 ჰითლი (6), 0:2 სპეცა (18), 1:2 ჰეხტი (35), 1:3 სპეცა (43)

**ბოსტონი 3:6 ფლორიდა**
*1:1 2:2 0:3*
1:0 შტურმი (4), 1:1 შტუმპელი (11), 2:1 მიურეი (22), 2:2 პელტონენი (24), 3:2 მიურეი (33), 3:3 ოლეზში (33), 3:4 შტუმპელი (45), 3:5 იოკინენი (54), 3:6 რობერტსი (59)

**ვაშინგტონი 4:1 ფილადელფია**
*1:1 2:0 1:0*
0:1 კნულგი (4), 1:1 ზუბრუსი (20), 2:1 სიომინი (26), 3:1 სიომინი (29), 4:1 ოვეჩკინი (44)

**კოლუმბუსი 4:6 ჩიკაგო**
*1:5 3:0 0:1*
0:1 ჰამილტონი (2), 0:2 ჰავლატი (9), 0:3 არხიპოვი (12), 0:4 რუუტუ (14), 1:4 ნეში (17), 1:5 სმოლინსკი (20), 2:5 ვიბორნი (22), 3:5 მოდინი (30), 4:5 სვიტოვი (32), 4:6 კუკონენი (53)

**მონრეალი 6:3 პიტსბურგი**
*1:2 4:0 1:1*
0:1 მალკინი (13), 1:1 რაიდერი (19), 1:2 ნასრედინი (20), 2:2 კოვალიოვი (30), 3:2 კოივუ (36), 4:2 სურეი (38), 5:2 კოივუ (40), 5:3 კრისტენსენი (55), 6:3 ლაპერი (60)

**ტორონტო 9:2 რეინჯერსი**
*5:1 3:0 1:1*
1:0 კოლაიჩოვო (6), 2:0 პონიკაროვსკი (6), 2:1 კასპარაიტისი (12), 3:1 ველვუდი (15), 4:1 ველვუდი (17), 5:1 პოლი (17), 6:1 ველვუდი (26), 7:1 ტაკერი (30), 8:1 პონიკაროვსკი (34), 8:2 სტრაკა (44), 9:2 ონილი (60)

**ტამპა 2:3 კაროლინა**
*0:0 1:1 1:2*
1:0 კრეიგი (28), 1:1 უიტნი (34), 1:2 სტაალი (53), 1:3 უიტნი (59), 2:3 სენ ლუი (60)

**ნეშვილი 3:2 სენტ ლუისი**
*0:2 2:0 0:0 0:0 (1:0 ბულიტები)*
0:1 ტკაჩუკი (1), 0:2 ვაიტი (11), 1:2 კარია (31), 2:2 ნიკოლი (40)

**ლოს ანჯელესი 3:4 დალასი**
*0:2 1:0 2:1 0:0 (0:1 ბულიტები)*
0:1 ბუშე (1), 0:2 ბარნსი (15), 1:2 ბრაუნი (27), 2:2 ევერი (43), 3:2 ბლეიკი (44), 3:3 მორროუ (56)

**ფინიქსი 3:6 კალგარი**
*0:1 2:2 1:3*
0:1 იგინლა (19), 0:2 ტანგეი (22), 1:2 ნაგი (25), 2:2 კომრი (29), 2:3 ლენგკოუ (31), 2:4 იგინლა (48), 3:4 როშე (55), 3:5 რიჩი (56), 3:6 ამონტი (60)

**სან ხოსე 4:3 ანაჰაიმი**
*0:1 2:1 2:1*
0:1 გეტცლაფი (18), 0:2 პერი (24), 1:2 მარლო (27), 2:2 სმითი (30), 2:3 პენერი (53), 3:3 ჩიჩუ (53), 4:3 ტორნტონი (58)

**ნიუ ჯერსი 1:2 დეტროიტი**
*0:0 1:0 0:2*
1:0 გომესი (31), 1:1 დაციუკი (49), 1:2 ლებდა (51)

**ვანკუვერი 2:1 მინესოტა**
*1:0 0:1 1:0*
1:0 ლინდერი (16), 1:1 (დემიტრა 23), 2:1 ოლუნდი (50)

# ეშმაკს ეშმაკისა


AFP ის ფოტო

დომინიკ ჰაშეკმა და მისმა „დეტროიტმა“ ასეთ ბრძოლაში იმარჯვეს

**გასული** კვირა წინა წლის საუკეთესო ახალბედების დუელად იქცა — მოგეხსენებათ, ხუთშაბათს სიდნი კროსბიმ „ფილადელფიასთან“ ერთბაშად ექვსი ქულა მოიხვეჭა. შაბათს კი კანადელმა ვუნდერკინდმა ამას კიდევ ერთი ბენეფისი მიუმატა, ამჯერად „ნიუ იორკ აილენდერსთან“, როცა ერთ გოლს სამი შედეგიანი გადაცემა დაურთო.

ალექსანდრ ოვეჩკინმა კროსბის ამ ფეერიულ თამაშს საკადრისი პასუხი მოუძებნა და ამ უქმეებზე ლამის იფრინა. ჯერ იყო და რუსმა სნაიპერმა ჰეთ თრიქი შეასრულა და „ვაშინგტონს“ ატლანტაში მოაგებინა — ბოლო წუთზე უძლიერესად გაისროლა და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა, იქ კი 6 წამი იმყოფინა, იმისათვის, რომ დედაქალაქელებისთვის გამარჯვება მოეტანა.

გუშინდელ შეხვედრებში კი ოვეჩკინმა უფრო იყოჩაღა და „ვაშინგტონს“ ამჯერად ცხრილის ფსკერზე მყოფი „ფილადელფია“ წააქცევინა. ალექსანდრე „დიდმა“ თავის უშუალო მოვალეობის ღირსეულად შესრულების გარდა (1 გოლი + ორი პასი) სხვა მხრივაც გამოიჩინა თავი — რამდენიმეკვირიანი შესვენების შემდეგ ყინულზე დაბრუნებულ „ფილადელფიის“ კაპიტან პეტერ ფორსბერგს ისეთი ძალისმიერი ილეთი ჩაუტარა, რომ შვედმა თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო. ასეთი „მოსაკლიანი“ მატჩების შემდეგ ოვეჩკინი ბომბარდირთა დავაში მესამე საფეხურზე დამკვიდრდა.

კროსბი კი გუშინ „მონრეალში“ დააშოშმინეს და თითქმის პირწმინდად ამოკეტეს — „პიტსბურგის“ ლიდერმა მხოლოდ ერთი შედეგიანი გადაცემა გააკეთა. შედეგად „პინგვინებმა“ კანადაში უშანსოდ წააგეს.

რიცხვ 13-ს ეშმაკისას კი ეძახიან, მაგრამ „დეტროიტისთვის“ სწორედაც რომ იგი აღმოჩნდა იღბლიანი, თან სად — პირდაპირ ნაძლეული „ეშმაკების“ სამფლობელოში „წითელმა ფრთებმა“ გუშინ ნავსი გატეხეს და 13-წლიანი შესვენების შემდეგ „ნიუ ჯერსი“ მისსავე მოედანზე პირველად დასცეს.

არადა, ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ „ეშმაკები“ თავიანთ სერიას კიდევ უფრო გააგრძელებდნენ — მეორე პერიოდში „დეტროიტის“ კარის დარაჯი დომინიკ ჰაშეკი მსაჯის ერთ-ერთმა გადაწყვეტილებამ ისე გააცოფა, რომ ჯოხი შუაზე გადაამტვრია. შედეგად „დომინატორს“ არასპორტული საქციელისთვის ოთხწუთიანი ჯარიმა უბოძეს, რომელიც „ნიუ ჯერსიმ“ სკოტ გომესის დახმარებით გოლად აქცია. თუმაცა მესამე პერიოდში პაველ დაციუკმა და ბრეტ ლებდამ მანამდე დიდებულად მოთამაშე მარტინ ბროდერ ორჯერ დაამწუხრეს და „დეტროიტი“ დააწინაურეს. ჰაშეკმა კი თავისი დანაშაული ბოლო წუთებზე გამოისყიდა, როცა რამდენიმე უძნელესი შაიბა მოიგერია და „ეშმაკისეულ“ წყევლასაც ბოლო მოეღო.

ფორსბერგისგან განსხვავებით, წარმატებით დაბრუნდა ალექსეი იაშინი. კაპიტნის ყინულზე დანახვამ „ნიუ იორკ აილენდერსის“ ჰოკეისტები იმდენად გაახარა, რომ „ატლანტა“ ექვსი შაიბით „დაასაჩუქრეს“. უშეცდომო იყო „კუნძულელთა“ მეკარე რიკ დიპიეტრო, რომელმაც ჯორჯიელთა ზემძლავრი შეტევა მშრალზე დატოვა და სეზონში მეორე მშრალი თამაში გამოაცხო.

**კახა ლომაშვილი**

ავტორბოლა

# კლეი რეგაცონის უკანასკნელი გზა



**ჩრდილოეთ** იტალიაში, პარმის მახლობლად, ავტოკატასტროფაში დაიღუპა ლეგენდარული ავტომრბოლელი კლეი რეგაცონი.

კლეი რეგაცონი, შეიძლება, ტიტულებით ვერ დაიტრაბახებდა და ფორმულა 1-ის დიადების გვერდით ვერ დადგებოდა, მაგრამ ამ შვეიცარიელმა მრბოლმა სულ სხვა ლეგენდა შექმნა — 1980 წელს, „აშშ-ს დიდი პრიზის“ გათამაშებისას მის ბოლიდს მუხრუჭის სატერფული გაუტყდა და საშინელი ავარიის შემდეგ რეგაცონი ინვალიდის სავარძელს იქნა მიჯაჭვული. ამის მიუხედავად, სულით ძლიერმა კაცმა მაინც შეძლო მანქანის საჭესთან დაჯდომა და აგერ, ნახევარი საუკუნეა, არა ფორმულა 1-ის ტრეკებზე, მაგრამ მაინც აკეთებდა საყვარელ საქმეს.

სამწუხაროდ, ახალი ავარია საბედისწერო აღმოჩნდა 67 წლის კლეისთვის, ვისი საპირველფორმულო კარიერაც 1970 წელს დაიწყო და იმავე სეზონში მონცაში, „იტალიის დიდი პრიზის“ მოგებით აღინიშნა. მონცაში რეგაცონიმ 1975 წელსაც იმარჯვა, ხოლო წინა წელს „გერმანიის დიდი პრიზი“ მოიგო.

კლეი რეგაცონის სარბოლო კარიერის პიკი 1979 წელს იყო. „უილიამსის“ პილოტმა სალვერსტოუნზე „დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი“ მოიგო და გერმანიასა და მონტე კარლოში მეორე ადგილები დაიკავა.

მერე იყო ლონგ ბიჩის ავარია. მერე 26 წელი გავიდა და ყველაფერი ჩრდილოეთ იტალიაში დასრულა.

ჭადრაკი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელთათმანი ნასროლია

## ტოპალოვი კვლავაც ტოპობაზე ფიქრობს

**მსოფლიოს** ექსჩემპიონმა ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა პლანეტის მე-14 ჩემპიონი რუსი ვლადიმირ კრამნიკი მატჩ-რევანშში გამოიწვია. შეგახსენებთ, რომ კრამნიკმა ტოპალოვს ორი თვის წინ დაძაბულ ბრძოლაში აჯობა და მას მერე ბულგარელი რევანშს ელის.

მომავალი შეხვედრა, სავარაუდოდ, მომავალი წლის 12-30 აპრილს სოფიაში გაიმართება და მატჩს თვით ბულგარეთის პრეზიდენტი გეორგიო პირვანოვი უპატრონებს. საპრიზო ფონდი 1,8 მილიონი დოლარი იქნება. აქედან 1 მილიონს მოგებული მიიღებს, 500 ათასს — დამარცხებული, ხოლო 300 ათასი ფიდეს ანგარიშზე ჩაირიცხება.

მოხსენება ფიდეში უკვე გავაგზავნე — განაცხადა ტოპალოვის მენეჯერმა სილვიო დანილოვმა — ფიდეს რეგლამენტით, კრამნიკს უარის თქმა არ შეუძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ტიტული ჩამოერთმევა.“

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 1 | ფულემი-მიდლსბრო | 2.00 | 3.20 | 3.75 | 1.23 | 1.30 | 1.72 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 54 | კემბრიჯი-სტ.რეინჯერსი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 439 | ისტ.სტირლინგი-ბერიკი | 4.80 | 3.70 | 1.55 | 2.08 | 1.17 | 1.09 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:15 | 76 | მიუნხენი 1860-აუე | 1.95 | 3.10 | 3.50 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| | | **იტალია. სერია C1/B** | | | | | | |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 131 | რავენა-ტერამო | 1.75 | 2.60 | 5.85 | 1.04 | 1.34 | 1.79 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 209 | ბრაგა-ბოავიშტა | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 212 | ბოხუმი-შტუტგარტი | 3.30 | 3.10 | 2.05 | 1.59 | 1.26 | 1.23 |
| 22:30 | 213 | ოსნაბრიუკი-ჰერტა | 4.40 | 3.20 | 1.75 | 1.85 | 1.25 | 1.13 |
| 22:30 | 214 | აინტრახტი-კიოლნი | 1.80 | 3.20 | 4.10 | 1.15 | 1.25 | 1.79 |
| 22:30 | 215 | ნიურნბერგი-უნტერჰახინგი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| | | **20 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 216 | ოფენბახი-ბურგჰაუზენი | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| 22:00 | 217 | ფიურტი-ვოლფსბურგი | 2.65 | 3.00 | 2.45 | 1.40 | 1.27 | 1.34 |
| 22:00 | 218 | ჰანოვერი-დუისბურგი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 23:30 | 219 | ალემანია-ბაიერნი | 5.00 | 3.40 | 1.60 | 2.02 | 1.21 | 1.08 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 220 | ჩარლტონი-უიკომბი | 1.38 | 4.00 | 7.00 | 1.02 | 1.15 | 2.54 |
| 23:45 | 221 | ლივერპული-არსენალი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 23:45 | 222 | ნიუკასლი-ჩელსი | 6.50 | 3.50 | 1.50 | 2.27 | 1.21 | 1.04 |
| 23:45 | 223 | ტოტენჰემი-საუთენდი | 1.22 | 5.00 | 12.00 | 1.00 | 1.10 | 3.52 |

### I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ფულემი-მიდლსბრო | 2.50 | 2.00 | 3.95 | 1.11 | 1.53 | 1.32 |

### I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ფულემი-მიდლსბრო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | ფულემი-მიდლსბრო | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ფულემი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ფულემი-მიდლსბრო | 1.70 | 2.20 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ფულემი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ფულემი-მიდლსბრო | 1.45 | 2.30 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ფულემი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ინგლისი
## პრემიერლიგა
## XVIII ტური

### რედინგი 1:2 ბლექბერნი

1:0 ჰარპერი (41), 1:1 მაკკარტი (64), 1:2 ბენტლი (84)
რედინგი: ჰანემანი, მარტი, სონკო, ინგიმარსონი, შორი, ლიტლი (ოსტერი 83), სიდუელი, ჰარპერი, ჰანტი (ლონგი 88), დოილი, სეოლი (ლიტა 75)
მწვრთნელი: სტივ კოპელი
ბლექბერნი: ფრიდელი, ნილი, ტოდი, ოიერი, გრეი, ბენტლი, თუგაი, სევიჯი, პედერსენი, მაკიველი (ნონდა 46), მაკკარტი (დერბიშირი 90)
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: მარტი, მაკიველი, მაკკარტი
მსაჯი: პოლი
23 074 მაყურებელი

### ვესტ ჰემი 1:0 მანჩესტერი

1:0 რეო-კოკერი (75)
ვესტ ჰემი: გრინი, სპექტორი, ფერდინანდი, კოლინზი, კონჩესკი, ბოიერი, რეო-კოკერი, მულინზი (ბენაიუნი 71), ეზერინგტონი (მაკარტნი 77), ჰარვუდი, ზამორა (შერინგემი 59)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ჰაინცე (პარკი 88), რონალდუ, კარიკი (ოში 84), სქოულზი, გიგზი (სოლსკიაერი 73), რუნი, საა
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: რეო-კოკერი, შერინგემი, ფერდინანდი, ჰაინცე, ვიდიჩი
მსაჯი: დოუდი
34 966 მაყურებელი

### ევერტონი 2:3 ჩელსი

1:0 არტეტა (38პ), 1:1 ჰოვარდი (49ს.კ.), 2:1 იობო (64), 2:2 ლამპარდი (81), 2:3 დროგბა (87)
ევერტონი: ჰოვარდი, ნევილი, იობო, სტაბსი, ლესკოტი, ოსმანი, კარსლი (ბიტი 90), დევისი, არტეტა, ჯონსონი, ანიჩებე (მაკფადენი 90)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ჩელსი: ილარიო, ჯერემი (კალუ 46), ბულარუზი (ბრიჯი 73), დ. კარვალიუ, ე. კოული, ესიენი, მაკელელე, ბალაკი, ლამპარდი, დროგბა, რობენი, შევჩენკო
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: ნევილი, კარვალიუ
მსაჯი: ჰალსი
33 970 მაყურებელი

### ჩარლტონი 0:3 ლივერპული

0:1 ხაბი ალონსო (33), 0:2 ბელამი (82), 0:3 ჯერარდი (88)
ჩარლტონი: მირე, იანგი (დიავარა 68), ელ კარკური, ჰრეიდარსონი, ტრაორე, რომედალი, ფეიე (ჰიუზი 58), ჰოლანდი, რიდი (ამბროზი 46), ჰასელბაინკი, დ. ბენტი
მწვრთნელი: ლეს რიდი
ლივერპული: ხ. რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, პენანტი (კრაუჩი 83), ჯერარდი, ხაბი ალონსო, მარკ გონსალესი (ლუის გარსია 67), ბელამი, კუიტი (ფ. აურელიო 77)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ტრაორე, ლუის გარსია
მსაჯი: ვები
27 111 მაყურებელი

### არსენალი 2:2 პორტსმუთი

0:1 პამარო (45), 0:2 ტეილორი (47), 1:2 ადებაიორი (58), 2:2 ჟილბერტო სილვა (60)
არსენალი: ლემანი, ებუ (ფლამინი 78), კ. ტურე, ჯურუ, კლიჩი, ლიუნგბერგი (უოლკოტი 6), ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი, გლები, ალიადირი (ადებაიორი 55), ვან პერსი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
პორტსმუთი: ჯეიმსი, გ. ჯონსონი, პრიმუსი, ს. კემპბელი, პამარო, ონილი, ტომპსონი (კრანჩარი 71), დევისი, პ. მენდეში, ტეილორი, კანუ (ჰიუზი 85)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: ჯონსონი, ონილი
მსაჯი: ბენეტი
60 037 მაყურებელი

### ასტონ ვილა 0:1 ბოლტონი

0:1 სპიდი (75პ)
ასტონ ვილა: კირალი, მელბერგი, კეჰილი, რიდგუელი, ბერი, მაკკანი (ე. გარდნერი 46), პეტროვი, დევისი, აგბონლაჰორი, ბაროში (ანხელი 71), სატონი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, მეიტე (ბენ ჰაიმი 67), ფეიე, კამპო, ნოლანი, სპიდი, ანელკა, პედერსენი, დევისი, იანაკოპულოსი (ტალი 29; რ. გარდნერი 57)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი

# ვენგერი სკამიდან სკამზე გადასვეს


AFP ლონდონიდან
არსენალი — პორტსმუთი. ჟილბერტო სილვამ გაათანაბრა და იღრიალა

გაფრთხილება: ფეიე, დევისი, პედერსენი, რ. გარდნერი
მსაჯი: კლატენბურგი
27 450 მაყურებელი

### სიტი 1:2 ტოტენჰემი

0:1 დევენპორტი (16), 0:2 ჰადლსტოუნი (24), 1:2 ბარტონი (64)
სიტი: ვივერი, რიჩარდსი (აირლანდი 30), დანი, დისტინი, ჯორდანი, ტრაბელსი, ბარტონი, რეინა (დაბო 69), ვასელი, დიკოვი, სამარასი (ონუოჰა 46)
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
ტოტენჰემი: რობინსონი, ჩიმბონდა, დევენპორტი, კინგი, ლი, გალი, ჰადლსტოუნი, მალბრანკი, ტაინიო, ბერბატოვი, დეფო (მიდო 83)
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: დანი
მსაჯი: სტაილსი
39 825 მაყურებელი

### ნიუკასლი 2:1 უოტფორდი

1:0 მარტინსი (49), 1:1 ბუაზა (57), 2:1 მარტინსი (85)
ნიუკასლი: გივენი, ჰანტინგტონი, ტეილორი, რიმეიჯი, ბაბაიარო, დაიერი, ბათი (პარკერი 76), ემრე (დაფი 68), მილნერი, სიბიერსკი, მარტინსი
მწვრთნელი: გლენ რიოდერი
უოტფორდი: ლი, ჩემბერსი (მარიაპა 63), დე მერიტი, შიტუ, სტიუარტი, სმიტი (ფრენსისი 78), ბანგურა, მაჰონი, ბუაზა, იანგი, ჰენდერსონი
მწვრთნელი: ადრიან ბოთროიდი
მსაჯი: ატკინსონი
49 231 მაყურებელი

### უიგანი 0:1 შეფილდი

0:1 ჰალსი (45)
უიგანი: კირკლანდი, ბოისი (რაიტი 65), დე ზეუვი, ჰალი, ბაინსი, კილბეინი (ტოდოროვი 79), ლანძაატი, სკოკო, მაკკალოხი, კამარა (კოტერილი 46), ჰესკი
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
შეფილდი: კენი, კოზლუკი, დევისი, მორგანი, გირი, გილესპი, ტონგე (მონტგომერი 70), იაგიელკა, ს. ქუინი (არმსტრონგი 70), ჰალსი, ვებერი (ბრომბი 88)
მწვრთნელი: ნილ უორნოკი
გაფრთხილება: მორგანი, დევისი
მსაჯი: უოლტონი
16 322 მაყურებელი

### ფულემი — მიდლსბრო
*დღეს გაიმართება*

**შაბათს** პრემიერლიგაში მესამე ადგილისთვის ისეთი ბრძოლა გახურდა, რომ ცხადი შეიქნა: მოახლოებულ საშობაო ტურებში გუნდები ერთმანეთს შეჭამენ და ვინც ამ ომებს ნაკლები მსხვერპლით დაუძვრება, ხეირსაც ის ნახავს. „ლივერპულმა" შუადღიდანვე განაგრძო თავისი მშრალი, მკვლელი სერია და „ჩარლტონს" 3 გოლით კიდევ უფრო წაუხდინა საქმე. საერთოდ, „ველი გრაუნდზე" ერთი გუნდი ბატონობდა, ალან კერბიშლის მიერ ასე შენახული და ნალოლიავები „ჩარლტონი" კი აშკარად მიექანება დაბალი ლიგისკენ.

მასპინძელთა წახდენა ხაბი ალონსოს პენალტით დაიწყო: ძველმა ლივერპულელმა ტრაორემ უაზრო, გიჟური ვარდნით მოცელა ჯერმენ პენანტი. მერე კრეიგ ბელამიმ ჩააჭედა, ბოლოს კი სტივ ჯერარდმა შეასრულა. ჩარლტონელებს 22-ე წუთზე გათანაბრება შეეძლოთ, თუმცა, ჰასელბაინკმა სადღაც დაარტყა.

რაფა ბენიტესმა თქვა: „კარგი თამაში იყო, მაგრამ შეცდომებიც დავუშვით. სამუშაო ბევრია".

ამ მოგებით „ლივერპული" მესამე ადგილზე დადგა და „არსენალი" — „პორტსმუთის" შედეგს ელოდებოდა: მოგებული „ლივერპულს" გადაუსწრებდა, ფრე კი მესამეზე დატოვებდა. „აშბარტონ გროუვზე" კი გმირი გამოვიდა ემანუელ ადებაიორი, ვინც ტიერი ანრის არყოფნაში, ანრიც შეიქნა „მეთოფეთათვის" და ნვანკო კანუც. ნამდვილი კანუ ამ ჯერზე „პორტსმუთში" თამაშობდა და ძალიან კარგადაც: მეორე ტაიმი დაიწყო და ზღვისპირელები ორი ბურთით იგებდნენ. სწორედ ამ დროს შემოიყვანა არსენ ვენგერმა ტოგოელი აყლაყუდა, რომელმაც სამწუთიან მონაკვეთში ჯერ თავად გაიტანა, მერე კი ჟილბერტო სილვას გამათანაბრებელშიც გაერია.

თავად ვენგერი მსაჯ სტივ ბენეტთან დავისთვის შესვენებაზე მინდვრის კიდიდან ტრიბუნაზე გააძევეს. მიზეზი ტაიმის მიწურულს დანიშნული უბრალო ჯარიმა იყო.

„მე ვუთხარი, რომ ჯარიმა არ ყოფილა" — თქვა ფრანგმა, რომელიც ამ კვირაში უკვე დააჯარიმეს „ვესტ ჰემის" ყოფილ ბოს, ალა პერდიუსთან მინდვრის პირზე ჩხუბისთვის.

ამ ფრემ „არსენალი" მეოთხე ადგილზე დასვა, „პორტსმუთი" კი მეექვსეზე ჩააგდო, რადგან „ბოლტონმა" მორიგი დიდი ბრძოლა გადაიხადა და „ვილა პარკზე" მოიგო. „ასტონ ვილა" მთელი თამაშის განმავლობაში უტევდა, მაგრამ ბრწყინვალე ფორმაში მყოფი იასკელაინენი მტკიცედ იდგა. თამაშის მიწურულს კი სტილიან პეტროვმა ყველასთვის მოულოდნელად საჯარიმოში წააქცია ნიკოლას ანელკა და უბერებელმა გარი სპიდმა გამარჯვების პენალტი გაუტანა გაბორ კირალის, რომელიც მთელი თამაში ტყუილად იდგა კარში.

გახარებულმა სემ ალარდაისმა კი თქვა: „დღეს იღბალიც მოგვიდგა. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ იუსი ქვეყნის სამ საუკეთესო მეკარეს შორისაა".

ჯორდებს კი ახალი გმირი ჰყავთ: ობაფემი მარტინსმა დუბლი შეასრულა და პირდაპირ გამოგლიჯა სამი ქულა საბრალო „უოტფორდს". ჰამურ ბუაზას ერთი გამათანაბრებელი ამაოდ დარჩა. ასევე, ძლივს მოიგო რედინგში „ბლექბერნმა", რომ ჰალსიმ კი შეფილდელებს უიგანში გაამარჯვებინა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| დროგბა (ჩელსი) | 10 |
| კანუ (პორტსმუთი) | 9 |
| ქ. დოილი (რედინგი) | 8 |
| რუნი (მანჩესტერი) | 8 |
| ლუი საა (მანჩესტერი) | 8 |


AFP ლონდონიდან
ვესტ ჰემი — მანჩესტერი. რეო-კოკერის (მარჯვნივ) გოლმა „მანჩესტერი" დააღონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 18 | 14 | 2 | 2 | 38:10 | 44 |
| ჩელსი | 18 | 13 | 3 | 2 | 30:11 | 42 |
| ლივერპული | 18 | 9 | 4 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| არსენალი | 18 | 8 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| ბოლტონი | 18 | 9 | 3 | 6 | 20:15 | 30 |
| პორტსმუთი | 18 | 8 | 5 | 5 | 25:16 | 29 |
| ტოტენჰემი | 18 | 8 | 4 | 6 | 22:22 | 28 |
| რედინგი | 18 | 8 | 2 | 8 | 20:23 | 26 |
| ასტონ ვილა | 18 | 5 | 10 | 3 | 21:18 | 25 |
| ევერტონი | 18 | 6 | 6 | 6 | 22:20 | 24 |
| უიგანი | 18 | 6 | 4 | 8 | 20:23 | 22 |
| ნიუკასლი | 18 | 6 | 4 | 8 | 17:20 | 22 |
| სიტი | 18 | 5 | 5 | 8 | 15:22 | 20 |
| შეფილდი | 18 | 5 | 5 | 8 | 14:22 | 20 |
| ფულემი | 17 | 5 | 5 | 7 | 16:27 | 20 |
| ბლექბერნი | 17 | 5 | 4 | 8 | 16:22 | 19 |
| მიდლსბრო | 17 | 4 | 5 | 8 | 14:22 | 17 |
| ვესტ ჰემი | 18 | 5 | 2 | 11 | 11:24 | 17 |
| ჩარლტონი | 18 | 3 | 3 | 12 | 13:31 | 12 |
| უოტფორდი | 17 | 1 | 8 | 8 | 11:22 | 11 |

**XIX ტური**
**23-24 დეკემბერი**

| | | |
|---|---|---|
| მიდლსბრო | : | ჩარლტონი |
| ნიუკასლი | : | ტოტენჰემი |
| პორტსმუთი | : | შეფილდი |
| რედინგი | : | ევერტონი |
| უიგანი | : | ჩელსი |
| არსენალი | : | ბლექბერნი |
| ასტონ ვილა | : | მანჩესტერი |
| ფულემი | : | ვესტ ჰემი |
| ლივერპული | : | უოტფორდი |
| სიტი | : | ბოლტონი |

### ჩემპიონატი. XXIII ტური

ლუთონი — საუთენდი 0:0; ბარნლი — სანდერლენდი 2:2; კოლჩესტერი — სტოკი 3:0; დერბი — კრ. პალასი 1:0; ჰალი — კარდიფი 4:1; იფსვიჩი — ლიდსი 1:0; ლესტერი — ბარნსლი 2:0; პრესტონი — პლიმუთი 3:0; ქუინზ პარკი — ვულვზი 0:1; უენსდი — ბირმინგემი 0:3; საუთჰემპტონი — ნორვიჩი 2:1; ვესტ ბრომვიჩი — ქოვენთრი 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბირმინგემი | 23 | 14 | 4 | 5 | 38:22 | 46 |
| დერბი | 23 | 13 | 4 | 6 | 33:25 | 43 |
| პრესტონი | 23 | 11 | 8 | 4 | 35:22 | 41 |
| საუთჰემპტონი | 23 | 11 | 6 | 6 | 37:27 | 39 |
| კოლჩესტერი | 23 | 11 | 4 | 8 | 39:26 | 37 |
| სტოკი | 23 | 10 | 7 | 6 | 30:18 | 37 |
| კარდიფი | 23 | 10 | 7 | 6 | 33:26 | 37 |
| ვესტ ბრომვიჩი | 23 | 10 | 6 | 7 | 39:24 | 36 |
| ბარნლი | 23 | 10 | 6 | 7 | 32:25 | 36 |
| ვულვზი | 23 | 10 | 5 | 8 | 21:25 | 35 |
| სანდერლენდი | 23 | 10 | 4 | 9 | 32:30 | 34 |
| პლიმუთი | 23 | 8 | 9 | 6 | 28:28 | 33 |
| უენსდი | 23 | 9 | 6 | 8 | 29:31 | 33 |
| ქოვენთრი | 23 | 10 | 3 | 10 | 21:23 | 33 |
| იფსვიჩი | 23 | 8 | 5 | 10 | 34:33 | 29 |
| ნორვიჩი | 23 | 8 | 5 | 10 | 30:37 | 29 |
| ლესტერი | 23 | 7 | 7 | 9 | 24:28 | 28 |
| კრ. პალასი | 23 | 7 | 5 | 11 | 26:30 | 26 |
| ლუთონი | 23 | 7 | 5 | 11 | 29:38 | 26 |
| ქუინზ პარკი | 23 | 6 | 6 | 11 | 31:38 | 24 |
| ბარნსლი | 23 | 6 | 5 | 12 | 28:41 | 23 |
| ლიდსი | 23 | 6 | 3 | 14 | 24:42 | 21 |
| ჰალი | 23 | 5 | 5 | 13 | 22:35 | 20 |
| საუთენდი | 23 | 3 | 7 | 13 | 18:39 | 16 |

### პირველი ლიგა. XXIII ტური

ლუთონი — საუთენდი 0:0; ბარნლი — სანდერლენდი 2:2; კოლჩესტერი — სტოკი 3:0; დერბი — კრ. პალასი 1:0; ჰალი — კარდიფი 4:1; იფსვიჩი — ლიდსი 1:0; ლესტერი — ბარნსლი 2:0; ბრესტონი — პლიმუთი 3:0; ქუინზ პარკი — ვულვზი 0:1; უენსდი — ბირმინგემი 0:3; საუთჰემპტონი — ნორვიჩი 2:1; ვესტ ბრომვიჩი — ქოვენთრი 5:0

### მეორე ლიგა. XXII ტური

სკანთორპი — ბლეკპული 1:3; ბრისტოლი — მილუოლი 1:0; ბრედფორდი — ჩესტერფილდი 1:0; ჩელტენემი — როტერჰემი 2:0; ჯილინგემი — ბორნმუთი 1:1; ჰადერსფილდი — ნორთჰემპტონი 1:1; ნოტინგემი — ლეიტონი 1:3; ოლდემი — ბრაიტონი 1:1; პორტ ვეილი — ბრენტფორდი 1:0; სუონსი — კარლაილი 5:0. ტრანმერი — ქრიუ და დონკასტერი — იოვილი გადაიდო

### კონფერენსლიგა. XXII ტური

ჰარტლპული — როჩდეილი 1:0; შრიუსბერი — ჰერეფორდი 3:0; ლინკოლნი — გრიმსბი 2:0; ბარნეტი — მენსფილდი 2:1; ბერი — სტოკპორტი 2:0; დარლინგტონი — ნოტსი 0:1; მაკლსფილდი — აკრინგტონი 3:3; დონსი — უიკომბი 3:1; პიტერბრო — ჩესტერი 0:2; სუინდონი — როვერსი 2:1; ტორკი — ბოსტონი 0:1; რექსემი — უოლსოლი 1:1

# მუსიკალური ზამთარი

## გერმანია
## ბუნდესლიგა XVII ტური

### არმინია 0:1 შალკე

0:1 ბაირამოვიჩი (82)
არმინია: ჰაინი, კორზინეცი (ვატა 84), ბოლმანი, ვესტერმანი, შულერი (გაბრიელი 79), კაუფი, კუჩერა, მ. ნჯენგი, ბიომე (მასმანიდისი 73), ზუმა, ვიშნიარეკი
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, გ. ვარელა (ჰამიტ ალტინტოპი 57), ფ. ერნსტი, კობიაშვილი (ბაირამოვიჩი 80), ჰალილ ალტინტოპი (იოზილი 67), ლოვენკრანდსი, კურანი
მწვრთნელი: მირკო სლომკა
გაფრთხილება: შულერი, კობიაშვილი
მსაჯი: ვანგერი
26 602 მაყურებელი

### მაინცი 0:4 ბაიერნი

0:1 სალიჰამიჯიჩი (31), 0:2 მაკაი (45), 0:3 პიზარო (64), 0:4 შვაინშტაიგერი (66)
მაინცი: ვეტკლო, დემირტასი, მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, როზე, აზაუაგი (რუმანი 70), ბაბაცი (ამრი 46), დ. ვრანჩიჩი, ფიულნერი (ფ. გერბერი 63), საბიჩი, იოვანოვიჩი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
ბაიერნი: კანი, სანიოლი (ლელი 74), ლუსიუ, ვან ბუიტენი, ლამი, ოტლი, ვან ბომელი, სალიჰამიჯიჩი, შვაინშტაიგერი (სანტა კრუზი 69), მაკაი (პოდოლსკი 69), კ. პიზარო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
მსაჯი: კირხერი
20 300 მაყურებელი

### ვერდერი 2:1 ვოლფსბურგი

1:0 იენსენი (1,), 1:1 ბოაკიე (41), 2:1 ნალდო (86)
*დიეგომ ვერ გაიტანა პენალტი (ააცილა)*
ვერდერი: ვიზე, პასანენი (ოვომოიელა 66), მერტესაკერი, ნალდო, შულცი, ფრინგსი, იენსენი, ბოროვსკი, დიეგო, კლოზე, კლასნიჩი (ალმეიდა 66)
მწვრთნელი: თომას შააფი
ვოლფსბურგი: იენჩი, მიორლე, მადლუნგი, ჰოფლანდი, ვან დერ ჰეიდენი, ვან დერ ლეეგტე (შარპეი 62), სანტანა, მაკიადი (ლამბრეხტი 75), კრჟინოვეკი (მენსეგეში 70), ბოაკიე, კლიმოვიჩი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალენი
გაფრთხილება: ჰოფლანდი, ვან დერ ლეეგტე, კრჟინოვეკი, იენჩი, შარპეი
მსაჯი: სტარკი
39 584 მაყურებელი

### კოტბუსი 0:0 შტუტგარტი

კოტბუსი: პიპლიცა, შელესი, მაკკენა, ი. მიტრესკი, ციბიგი, და სილვა, კუკიელკა, ბაუმგარტი (შაო 69), ბანდროვსკი, მუნტიანუ (კიოიო 70), რადუ
მწვრთნელი: პეტრიკ სანდერი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ოსორიო, ტასკი, დელპიერი, მანინი, პარდო, ფ. მეირა, ჰიცლშპერგერი (ხედირა 90), ბოკა (ჰილბერტი 68), კაკაუ (შტრელერი 79), გომესი
მწვრთნელი: არმინ ფეე
გაფრთხილება: კუკიელკა, მანინი, მეირა, კაკაუ, გომესი
მსაჯი: ბრიხი
13 650 მაყურებელი

### ჰერტა 1:0 აინტრახტი

1:0 ხიმენესი (63)
ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, ა. შმიდტი, შიმუნიჩი, ჟილბერტო (კაირო 83), დარდაი, დეჯაგა (ფატი 77), კ. ბოატენგი, ედე (ნოინდორფი 60), კ. ხიმენესი, პანტელიჩი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
აინტრახტი: ციმერმანი, რემერი, კირიაკოსი, ვასოსკი, ჩაფტარი, ჰუგელი, ა. მეიერი, პ. ოხსი, ვაისენბერგერი (კრისი 81), კიოლერი, ტაკაჰარა (ტურკი 62)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: შიმუნიჩი, დარდაი, ფატი
მსაჯი: სეემანი
42 549 მაყურებელი

### დორტმუნდი 1:2 ლევერკუზენი

0:1 ვორონინი (24), 0:2 კისლინგი (74), 1:2 ამედიკი (85)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, დეგენი, ამედიკი, ვიორნსი, დედე, კრუშკა, კრინგე, საჰინი (ტირალა 46), პიენაარი, შმოლარეკი, ამოა (მეცელდერი 81)
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
ლევერკუზენი: ბუტი, კასტრო, ჰაგი, ჟუანი, ბაბიჩი, შნაიდერი (კალსენ-ბრაკერი 90), როლფსი, ფრაიერი, ათირსონი (ბარნეტა 57), ვორონინი (კისლინგი 69), ბარბარესი
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
მსაჯი: მერკი
66 155 მაყურებელი



ვერდერი — ვოლფსბურგი. ბრაზილიელ დიეგოს ამ ჩაწოდებულს გოლი მოჰყვა

### ნიურნბერგი 3:1 ჰანოვერი

0:1 ბრდარიჩი (5), 1:1 ბანოვიჩი (32), 2:1 შროტი (56), 3:1 მნარი (90პ)
ნიურნბერგი: რ. შეფერი (კლევერი 30), დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი (ნიკლი 75), ბუჩამპი, პინოლა, მნარი, გალაშეკი, ბანოვიჩი (თ. პაულუსი 84), ვიტეკი, შროტი, საენკო
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ვინისიუსი, ზურავი, ტარნატი, ბალიტჩი, იანკოვი (შრიოტერი 67), შტაინერი (ფარენჰორსტი 82), ბრუგინკი (ჰაშემიანი 69), როზენტალი, ბრდარიჩი
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
გაფრთხილება: მნარი, ბალიტჩი, ნიკლი, ტარნატი, კლევერი, ბრუგინკი
გაძევება: ჩერუნდოლო (90)
მსაჯი: გაგელმანი
28 683 მაყურებელი

### ბოხუმი 2:0 მიონხენგლადბახი

1:0 გეკასი (45), 2:0 კაპე (85ს.კ.)
ბოხუმი: სკოვ-იენსენი, ბ. ლენსე, მალტრიცი, დრშეკი, პ. ბიონიგი, ცდებელი, დაბროვსკი, ო. შრიოდერი, ტროიანი (ბეკმანი 83), მისიმოვიჩი (მაიხელბეკი 88), გეკასი (აუერი 90)
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
მიონხენგლადბახი: კელერი, ჰელვეგი (კაპე 84), ლეველსი, ზე ანტონიო, ბოგელუნდი, ტიისი, კირხი (დ. დეგენი 66), პოლანსკი, ინსუა, დელურა (ნოივილი 56), სონკი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: სონკი
მსაჯი: პერლი
30 500 მაყურებელი

### ალემანია 3:3 ჰამბურგი

0:1 ბერიშა (33), 1:1 რეგეკამპფი (63პ), 1:2 ბენჯამინი (67), 1:3 ლიუბოია (76), 2:3 ფაილი (78), 3:3 რაინჰარდტი (90ს.კ.)
ალემანია: შტრაუბი, შტელე (იბიშევიჩი 65), კლიცპერა, ნ. ჰერციგი, ლეივაკაბესი (კრონტირისი 87), მ. ლემანი (ს. პინტო 65), ჰაიდრიხი, რეგეკამპფი, ფაილი, შლაუდრაფი, ებერსი
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
ჰამბურგი: ვეხტერი, ვ. შმიდტი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ბენჯამინი, ლაასი, იაროლიმი, მაჰდავიკია (კლინგბილი 89), ტროხოვსკი (კარლი 84), სანოგო, ბერიშა (ლიუბოია 69)
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: კლიცპერა, ლაასი, ლეივაკაბესი, იაროლიმი, იბიშევიჩი
მსაჯი: გრეფე
20 800 მაყურებელი

**მიუნხენის** „ბაიერნმა“ სტუმრად მეოთხე გამარჯვება იოლად მოიპოვა და პირველი წრე მესამე ადგილზე დაასრულა. აუტსაიდერი „მაინცი“ ნახევარი საათი უძალიანდებოდა მეტოქეს, სანამ სალიჰამიჯიჩი კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს შეაგდებდა კარში. ტაიმის მიწურულს ანდრეას ოტლის პასით როი მაკაიმ გაიტანა, რომელმაც ახლო ძელთან მიიღო, უცბად შემობრუნდა და მეკარე ველტკო უშანსოდ დატოვა. აღსანიშნავია, რომ როი მაკაის მაინცში ბოლო ორი სტუმრობისას ხუთი გოლი ჰქონდა გატანილი და ზედიზედ მესამე ვიზიტიც ხეირიანი გამოუვიდა.



„შალკე“ ზამთრის ჩემპიონი ერთი დღით იყო

მეორე ტაიმში კლაუდიო პიზარომ მარჯვენა ფეხით ჩააწვია ბურთი მარჯვენა ძელთან, ხოლო მეოთხე ბასტიან შვაინშტაიგერმა შეაგდო უკვე საფირმოდ ქცეული დარტყმით.

„პირველი გოლის შემდეგ უფრო თავდაჯერებულები გავხდით და მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობა გვქონდა — განაცხადა ფელიქს მაგათმა — ჩემი ფეხბურთელები გაცილებით უფრო ყურადღებიანი და ენერგიულები იყვნენ, ვიდრე წინა რამდენიმე შეხვედრაში“.

დაბეჩავებული „ჰამბურგი“ ახლოს იყო სეზონში მეორე გამარჯვებასთან, მაგრამ ბასტიან რაინჰარდტის ავტოგოლის გამო „ალემანიასთან“ ქულასლა დასჯერდა. თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათის თავზე სტუმრები ალბანელმა ბესტარ ბერიშამ დააწინაურა, როცა ნაკუთხურალი ბურთი შეაგდო მასპინძელთა კარში. მეორე ტაიმის თხუთმეტწუთიანი მონაკვეთი უხვგოლიანი გამოდგა. კლიპცერას წაქცევისთვის „ჰამბურგის“ კარში პენალტი დაინიშნა და რეგეკამპმა თერთმეტი მეტრიდან გაათანაბრა. ხუთ წუთში სტუმრები კვლავ წინ გავიდნენ კოლინ ბენჟამინის გოლით, რომელმაც მაჰდავიკიას ჩაწოდებულს დაუხვედრა თავი, ხოლო ამას დანიელ ლიუბოიას მესამე მოჰყვა. მატჩის დასრულებამდე 14 წუთით ადრე ჰამბურგელები ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ და თითქოს სამი ქულაც ჯიბეში ეგულებოდათ, მაგრამ „ალემანიამ“ მაინც გაათანაბრა. პინტოს პასით ფეილმა სხვაობა ერთამდე შეამცირა, ხოლო ბოლოს მასპინძლებმა შტურმისმაგვარი მოაწყვეს. ჰამბურგელ ბასტიან რაინჰარდტს აშკარად არ გაუმართლა, როცა შლაუდრაფის ჩაწოდებული ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

ყველაზე უხვფრიანმა (11) და ნაკლებმარცხიანმა (2) გუნდმა „ნიურნბერგმა“ „ჰანოვერისგან“ მალევე გაუშვა გოლი, თუმც მერე სამით უპასუხა. ივიცა ბანოვიჩი რობერტ ენკესთან პირისპირ გავიდა და ანგარიში გაათანაბრა, მეორე ტაიმში კი მარკუს შორტმა მასპინძლები დააწინაურა 14 მეტრიდან დაბალ კუთხეში დარტყმით. მატჩის ბოლო წუთზე ჰანოვერელმა ჩერუნდოლომ ხელით ითამაშა და მნარიმ პენალტით მესამე გაიტანა.

ბერლინის „ჰერტამ“ კრისტიან ხიმენესის გოლით მოუგო „აინტრახტს“ და ახალ წელს მეხუთე ადგილზე შეხვდება. უინტერესო პირველი ტაიმის შემდეგ გუნდები მეორეში უფრო გამოცოცხლდნენ და „აინტრახტმა“ გაიტანა კიდეც, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე აღნიშნა. სამაგიეროდ ჩათვალა კრისტიან ხიმენესის გოლი, რომელსაც ოთხი მეტრიდან გატანა არ გასჭირვებია.

ბრემენის „ვერდერმა“ ნალდოს გოლით „ვოლფსბურგი“ დაამარცხა და „ზამთრის ჩემპიონი“ გახდა. ბრემენელებს „შალკეს“ მსგავსად 36 ქულა აქვთ, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებენ. „შალკემ“ გუშინწინ სტუმრად „არმინიას“ აჯობა ბაირამოვიჩის გოლით და „ვერდერის“ თამაშს ელოდებოდა. სტატისტიკით „ზამთრის ჩემპიონი“ უმეტეს შემთხვევაში საბოლოოდ ბუნდესლიგის ჩემპიონი ხდება და „ვერდერს“ მეორე წრეში მოუწევს იმის დამტკიცება, რომ შემთხვევით არაა ცხრილის თავში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 17 | 11 | 3 | 3 | 47:22 | 36 |
| შალკე | 17 | 11 | 3 | 3 | 29:17 | 36 |
| ბაიერნი | 17 | 10 | 3 | 4 | 30:19 | 33 |
| შტუტგარტი | 17 | 9 | 5 | 3 | 28:19 | 32 |
| ჰერტა | 17 | 7 | 6 | 4 | 28:24 | 27 |
| ლევერკუზენი | 17 | 7 | 4 | 6 | 28:24 | 25 |
| ნიურნბერგი | 17 | 4 | 11 | 2 | 21:16 | 23 |
| არმინია | 17 | 5 | 7 | 5 | 23:19 | 22 |
| დორტმუნდი | 17 | 5 | 7 | 5 | 21:21 | 22 |
| აინტრახტი | 17 | 4 | 8 | 5 | 22:28 | 20 |
| ჰანოვერი | 17 | 5 | 5 | 7 | 16:26 | 20 |
| ვოლფსბურგი | 17 | 4 | 7 | 6 | 12:16 | 19 |
| ალემანია | 17 | 5 | 4 | 8 | 28:33 | 19 |
| ბოხუმი | 17 | 5 | 3 | 9 | 22:30 | 18 |
| კოტბუსი | 17 | 4 | 5 | 8 | 18:24 | 17 |
| გლადბახი | 17 | 4 | 3 | 10 | 13:23 | 15 |
| ჰამბურგი | 17 | 1 | 10 | 6 | 16:22 | 13 |
| მაინცი | 17 | 1 | 8 | 8 | 11:30 | 11 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კლოზე (ვერდერი) | 10 |
| პანტელიჩი (ჰერტა) | 10 |
| მაკაი (ბაიერნი) | 9 |
| გომესი (შტუტგარტი) | 8 |
| დიეგო (ვერდერი) | 8 |

### XVIII ტური

27-28 იანვარი, 2007

| | | |
|---|---|---|
| ალემანია | : | ლევერკუზენი |
| ნიურნბერგი | : | შტუტგარტი |
| კოტბუსი | : | გლადბახი |
| ბოხუმი | : | მაინცი |
| ვერდერი | : | ჰანოვერი |
| ჰერტა | : | ვოლფსბურგი |
| დორტმუნდი | : | ბაიერნი |
| არმინია | : | ჰამბურგი |
| აინტრახტი | : | შალკე |

### მეორე ბუნდესლიგა
### XVII ტური

კარლ ცაისი — აუგსბურგი 0:2; უნტერჰახინგი — ჰანზა 0:0; კიოლნი — ლაუტერნი 2:2; ბრაუნშვაიგი — ოფენბახი 1:2; კარლსრუე — ფიურტი 2:0; კობლენცი — ფრაიბურგი 0:1; პადერბორნი — ბურგჰაუზენი 1:1; ესენი — დუისბურგი 1:2. *მიუნხენი — აუე დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 17 | 11 | 5 | 1 | 41:17 | 38 |
| ჰანზა | 17 | 10 | 7 | 0 | 30:11 | 37 |
| დუისბურგი | 17 | 8 | 8 | 1 | 32:17 | 32 |
| ლაუტერნი | 17 | 8 | 6 | 3 | 25:16 | 30 |
| აუე | 16 | 9 | 2 | 5 | 25:20 | 29 |
| მიუნხენი | 16 | 7 | 4 | 5 | 19:20 | 25 |
| აუგსბურგი | 17 | 6 | 6 | 5 | 17:15 | 24 |
| ოფენბახი | 17 | 6 | 4 | 7 | 21:24 | 22 |
| ფიურტი | 17 | 5 | 5 | 7 | 24:23 | 20 |
| კიოლნი | 17 | 5 | 5 | 7 | 24:24 | 20 |
| პადერბორნი | 17 | 4 | 7 | 6 | 14:18 | 19 |
| კობლენცი | 17 | 5 | 4 | 8 | 19:25 | 19 |
| ფრაიბურგი | 17 | 4 | 7 | 6 | 17:24 | 19 |
| უნტერჰახინგი | 17 | 4 | 6 | 7 | 15:16 | 18 |
| ბურგჰაუზენი | 17 | 4 | 5 | 8 | 17:30 | 17 |
| კარლ ცაისი | 17 | 3 | 7 | 7 | 18:33 | 16 |
| ესენი | 17 | 3 | 4 | 10 | 15:22 | 13 |
| ბრაუნშვაიგი | 17 | 1 | 6 | 10 | 10:28 | 9 |

# ბერგონციმ წვიმას დაუსტვინა

## იტალია
## სერია A
## XVI ტური

### ფიორენტინა 2:2 მილანი

0:1 ჯილარდინო (4), 1:1, 2:1 მუტუ (20პ, 31), 2:2 ჯილარდინო (90)
ფიორენტინა: ფრეი, უიფალუში, დაინელი, კროლდრუპი, პასკუალი, დონადელი, ლიბერანი, გობი, მონტოლივო (იორგენსენი 62), ტონი, მუტუ (პაცინი 79)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
მილანი: კალაჩი, კაფუ, შიმიჩი, კალაძე, იანკულოვსკი, ბროკი (ინძაგი 79), გატუზო, პირლო, ზეედორფი (გურკუფი 85), კაკა, ჯილარდინო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: კროლდრუპი, პირლო, შიმიჩი, დაინელი, გატუზო, კაფუ
მსაჯი: მასიმილიანო საკანი
40 000 მაყურებელი

### უდინეზე 3:1 კალიარი

1:0 პინცი (17), 2:0 იაკინტა (27), 3:0 ობოდო (52), 3:1 კოჩო (82)
უდინეზე: დე სანქტისი, ძენონი, ნატალი, ზაპატა, დოსენა, ობოდო, მუნტარი, პინცი, ბარეტო (ერიომენკო 87), იაკინტა, დი ნატალე (დე მარტინო 80)
მწვრთნელი: ჯოვანი გალეონე
კალიარი: ფორტინი, პისანო, ლოპესი, ბიანკო, დელ გროსო, ბიონდინი (დაგოსტინი 36; კოჩო 69), კონტი, ბუდელი, კაპონე (ესპოზიტო 46), პეპე, სუაზო
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
გაფრთხილება: ძაპატა, ნატალი, მუნტარი, ბუდელი, პინცი
გაძევება: მუნტარი (47)
მსაჯი: როლანდ ჰერბერგი
13 000 მაყურებელი

### პარმა 2:2 კიევო

0:1 ძანკეტა (23), 1:1 ბუდანი (25), 2:1 დესენა (57), 2:2 დანა (67)
პარმა: ბუჩი, ფერონეტი, კოუტუ, კონტინი, კასტელინი, გრელა, ჩიგარინი, დესენა, მუსლიმოვიჩი (პაპონი 56), ბუდანი, გასბარონი (დედიჩი 85)
მწვრთნელი: სტეფანო პიოლი
კიევო: სიჩინიანო, მალაგო, მანტოვანი, დანა, მარჩეზე (ლანა 81), კოსოვსკი (მარჩეზეტე 62), ძანკეტა, სამარაჩო, სემიოლი, ტირიბოკი (ბრუნო 72), პელისიერი
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: მარჩეზე, ტირიბოკი, კონტინი, მალაგო, ფერონეტი, კოუტუ, მანტოვანი
მსაჯი: ემიდიო მორგანტი
14 000 მაყურებელი

### სიენა 1:1 ატალანტა

0:1 მიგლიაჩო (36), 1:1 ფრიკი (85)
სიენა: მანინგერი, ნეგრო (დაველსა 75), პორტანოვა, რინაუდო, როსი, ანტონინი, კოდრეა, ვერგასოლა, კანდელა (ლოკატელი 46), ფრიკი, ბოგდანი (კიეზა 46)
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
ატალანტა: კალდერონი, რივალტა, ლორია (ადრიანო 37), კაროძიერი, ბელინი, ფერეირა პინტო (დეფენდი 67), მიგლიაჩო, დონატი, არიატი, დონი, ძამპანა (ვენტოლა 84)
მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო
გაფრთხილება: რინაუდო, ძამპანა, კაროძიერი, პანტანოვა, დეფენდი
გაძევება: პონტანოვა (90)
მსაჯი: დანიელე ორსატო
6 500 მაყურებელი

### ინტერი 2:0 მესინა

1:0 მატერაცი (49), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (59)
ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, მატერაცი, სამუელი (ბურდისო 14), მაქსველი, ვიეირა (სტანკოვიჩი 71), კამბიასო, ძანეტი, ფიგუ, იბრაჰიმოვიჩი, რეკობა (ადრიანო 64)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
მესინა: სტორარი, ზორო, რეა, იულიანო, ძანკი (მორელო 46), პარიზი, დე ვეძე (პროვენცანო 77), ოგასავარა (ლავეკია 63), კორდოვა, ფლოკარი, დი ნაპოლი
მწვრთნელი: ბრუნო ჯორდანო
გაფრთხილება: დე ვეძე, მატერაცი, ზორო, მაქსველი
მსაჯი: ნიკოლა სტეფანინი
45 000 მაყურებელი

### ლივორნო 1:1 ლაციო

0:1 პანდევი (25), 1:1 ლუკარელი (65)
ლივორნო: ამელია, კნეჟევიჩი, რეზაეი, გალანტე, ბალერი (პფერცელი 37), მორონე, პასონი, ფილიპინი, პასკუალე (ვიდიგალი 80), ვინიალი (ბაკაიოკო 71), ლუკარელი
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
ლაციო: პერუცი, ოდო, სივილია, გრიბარი, ძაური, მუდინგაი, ლედესმა, მუტარელი, მაური, პანდევი (მაკინვა 74), როკი
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: ლუკარელი, მორონე, პასკუალე, ლედესმა, მუტარელი, გრიბარი, მუდინგაი
გაძევება: როკი (63)
მსაჯი: ობერდან პანტანა
16 000 მაყურებელი

### ასკოლი 0:2 ტორინო

0:1, 0:2 როსინა (59, 90)
ასკოლი: პალიუკა, კუდინი (პაოლუჩი 81), პეკორარი, ნასტასე, მინიერი, ბუდიანსკი, ფინი, ძანეტი, გალოპა (პერული 65), გუბერტი (ვასტოლა 70), ბიელანოვიჩი
მწვრთნელი: ნედო სონეტი
ტორინო: აბიატი, დი ლორეტო, ჩიოფი, ფრანჩესკინი, კომოტო, დე აშენტისი (გალო 52), არდიტო, ბალესტრი, ლაზეტიჩი (ფიორე 76), როსინა, სტელონე (მუცი 82)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ფინი, ჩიოფი, კომოტო
გაძევება: მინიერი (67), დი ლორეტო (90)
მსაჯი: მატეო ტრეფოლონი
7 000 მაყურებელი

### რეჯინა 0:1 სამპდორია

0:1 კალიარელა (68)
რეჯინა: პელიცოლი, ლანძარო (მისიროლი 84), ლუკარელი, ჯიოზა, მესტო, ამერინი (ტონოძი 59), ტედესკო, არონიკა, ლეონი, ამორუზო, ბიანკი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
სამპდორია: ბერტი, მაჯიო, ბასტრინი, აკარდი, ძენონი, კალიარელა, ვოლპი, დელვეკიო, ფრანჩესკინი, ბაცანი (ბონაცოლი 66), ფლაკი (ბონანი 82)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: არონიკა, ლუკარელი, ბერტი, ლეონი, ბიანკი, მაჯიო
მსაჯი: კრისტიან ბრიგი
15 000 მაყურებელი

### რომა 4:0 პალერმო

1:0 მანსინი (44), 2:0 ტოტი (56პ), 3:0 მანსინი (83), 4:0 ბიავა (90ს.კ.)
რომა: დონი, პანუჩი, მექსეში, კივუ (როზი 88), ტონეტო, დე როსი, პიზარო (ვირგა 90), ტადეი, პეროტა (კასეტი 46), მანსინი, ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
პალერმო: ფონტანა, ძაკარდო, ბარძალი, ბიავა, პიზანო, კორინი (ბრიენცა 74), გუანა, კარაჩოლო (დი მიკელე 74), სიმპლისიო, ბრეშანო, ამაური (პარავიჩინი 90)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ამაური, პანუჩი, მანსინი, სიმპლისიო, ბრეშანო, სიმპლისიო
გაძევება: სიმპლისიო (88)
მსაჯი: რიცოლი
40 000 მაყურებელი

### კატანია — ემპოლი

გადაიდო




ამანტინო მანსინიმ „პალერმოსთან“ მატჩში გაიბრწყინა

მე-16 ტურში კარლო ანჩელოტიმ „მილანი“ გამარჯვების გზას ვერ დაუბრუნა, მაგრამ ფლორენციის „არტემიო ფრანკიზე“ შავ-წითლებმა ბოლოდროინდელზე გაცილებით უკეთესი ფეხბურთი აჩვენეს.

მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ თქვა: „კარგად ვითამაშეთ, თუმც შეცდომებიც დავუშვით და ამ შეცდომათა გამო 1:2 ჩამოვრჩით. საბედნიეროდ, ჩამორჩენაზე გუნდს სწორი რეაქცია ჰქონდა, რის შედეგადაც ანგარიში დამსახურებულად გავათანაბრეთ და შინ დამსახურებული ქულით დავბრუნდით“.

ანგარიში „მილანმა“ მე-4 წუთზე გახსნა: ყოფილი ფლორენციელის კრისტიან ბროკის ჩინებული პასი ალბერტო ჯილარდინომ ჩინებულ გოლად გარდასახა, მაგრამ მე-20 წუთზე კახა კალაძემ ლუკა ტონისთან დავისას ბურთს ხელი გაკრასავით და მსაჯმა პენალტი დანიშნა. პენალტი ადრიან მუტუმ გაიტანა. კალაძე კიდევ ერთ ეპიზოდში გამოირჩა, როდესაც იმავ ტონის დარტყმულს ჩაუწვა და ბურთს კარისკენ გზა გადაუღობა.

76-ე წუთზე შეცვლაზე შესული მარტინ იორგენსენის პასი უმეთვალყურეოდ დაჩენილმა მუტუმ მიიღო და მასპინძლები დააწინაურა — ეს სწრაფი კონტრშეტევის შედეგი გახლდათ, 89-ზე კი მარეკ იანკულოვსკის პასით ჯილარდინომ თავური შეაგდო.

ასე და ამგვარად, „არტემიო ფრანკიზე“ დუბლების დღე გამოვიდა: ადრიან მუტუს ორ გოლი ალბერტო ჯილარდინოს ორი გოლის წილ.

ანჩელოტი: „ბიჭები თამაშს სწორად მიუდგნენ. კაცმა რომ თქვას, სერიოზული შეცდომა მხოლოდ ერთხელ მოგვივიდა. ეს მაშინ, როდესაც მუტუს კონტრშეტევა გაგვეპარა და „ფიორენტინამ“ მეორე გოლი გაგვიტანა. მოკლედ, ჩვენ აშკარად ალმავლობის გზაზე შევდექით და ეს მოსაწონია“.

ალბერტო ჯილარდინო: „კარგად დავიწყეთ, შემდეგ ჩამოვრჩით, მაგრამ საბედნიეროდ გათანაბრება მაინც მოვახერხეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ „მილანი“ კვლავ ცოცხალია. ჩვენ მართლა ძალიან გვინდა მდგომარეობის გამოსწორება და დღევანდელი თამაში ნებისყოფისა და თავდადების ნიმუშად შეიძლება ჩავთვალოთ“.

„კატანია“ — „ემპოლი“ გადაიდო. მიზეზი: სიცილიის ქალაქ კატანიას რამდენიმე საათის განმავლობაში ისე აწვიმდა, რომ მსაჯმა მაურო ბერგონციმ თამაშის ჩატარება უაზრობად მიიჩნია — მოედანზე ბურთი ვერ დაგორავდა.

უდინეში „კალიარიმ“ 1:3 წააგო, რაც სარდინიელების მწვრთნელს მარკო ჯამპაოლოს თანამდებობის დაკარგვად დაუჯდა. შეგახსენებთ სტატისტიკას: 16 ტურში ჯამპაოლოს „კალიარიმ“ 10 თამაში ფრედ ითამაშა და აქედან ხუთი 0:0 იყო. მოკლედ, მწვრთნელს ამ ფრეების გამო ჰქონდა წყალი შეყენებული და 1:3 წაგებამ ხომ ყველაფერი ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა.

„ინტერმა“ კი სერია A-ში ისტორიული, ზედიზედ მეცხრე გამარჯვება იზეიმა, რასაც საფუძველი მარკო მატერაცის მიერ „მესინას“ კარში გატანილმა მაკრატელა გოლმა ჩაუყარა. მილანელთა მეორე გოლი ზლატან იბრაჰიმოვიჩმა შეაგდო. იბრაჰიმოვიჩს პარტნიორობა ჩინებული ფლანგური გარღვევით მაიკონმა გაუწია.

„ლივორნოსა“ და „ლაციოს“ თამაში კი ტრადიციისამებრ კარგი და ცუდი გაგებით დაძაბული გამოდგა. ანგარიში რომაელმა გორან პანდევმა გახსნა, შემდეგ კი კრისტიანო ლუკარელიმ გაათანაბრა, თუმცა წესითა და რიგით საქმე ამ საეჭვო გოლამდე არც უნდა მისულიყო, ლუკარელი მანამდე იყო გასაგდები.

პანდევმა, რომელიც „ლაციოს“ მაისურით მე-100 თამაშს ატარებდა ულამაზესი გოლი გაიტანა — ჩამოწოდებული ბურთი აიგდო და ხუთი-შვიდი მეტრიდან ეფექტურად გაისროლა. შემდეგ, იმავე პანდევს ფაბიო გალანტემ იდაყვით სისხლი ადინა. „ლაციოს“ მეკარემ ანჯელო პერუციმ ლუკარელის საოცარი ბურთი აუღო. მერე, იმავე ლუკარელის მასიმო ოდომ ზურგსუკნიდან უბიძგა, რამაც „ლივორნოს“ ფორვარდი გაახელა.

მეორე ტაიმში კაცი სტუმრებს გაუგდეს — ტომაზო როკის „პადკატი“ დაუგვიანდა და ზურგსუკნიდან პირდაპირ ანტონიო ფილიპინის ფეხებს ეძგერა. ბოლოს კი ლუკარელიმ გაათანაბრა.

ტურის ცენტრალურ მატჩში „რომამ“ ცოტა მოულოდნელად, ძალიან იოლად მოუგო „პალერმოს“. მასპინძელთა რიგებში საუკეთესონი კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი და დუბლის ავტორი ამანტინო მანსინი იყვნენ.

**პაპუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 16 | 13 | 3 | 0 | 34:14 | 42 |
| რომა | 16 | 11 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| პალერმო | 16 | 10 | [illegible] | 5 | [illegible] | [illegible] |
| ლაციო | 16 | 7 | 4 | 5 | 26:14 | 25 |
| კატანია | 15 | 6 | 5 | 4 | 21:26 | 23 |
| ატალანტა | 16 | 5 | 6 | 5 | 25:25 | 21 |
| ლივორნო | 16 | 5 | 6 | 5 | 16:19 | 21 |
| ტორინო | 16 | 5 | 6 | 5 | 12:17 | 21 |
| სამპდორია | 16 | 5 | 5 | 6 | 22:21 | 20 |
| უდინეზე | 16 | 5 | 5 | 6 | 17:17 | 20 |
| ემპოლი | 15 | 4 | 7 | 4 | 12:13 | 19 |
| სიენა | 16 | 4 | 8 | 4 | 14:17 | 19 |
| კალიარი | 16 | 2 | 10 | 4 | 14:17 | 16 |
| მილანი | 16 | 5 | 7 | 4 | 16:16 | 14 |
| მესინა | 16 | 3 | 5 | 8 | 18:27 | 14 |
| ფიორენტინა | 16 | 8 | 3 | 5 | 24:17 | 12 |
| კიევო | 16 | 2 | 5 | 9 | 15:22 | 11 |
| პარმა | 16 | 2 | 5 | 9 | 14:29 | 11 |
| რეჯინა | 16 | 5 | 5 | 6 | 17:21 | 9 |
| ასკოლი | 16 | 0 | 6 | 10 | 10:25 | 6 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 11 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტოტი (რომა) | 11 |
| რიგანო (მესინა) | 9 |
| მუტუ (ფიორენტინა) | 9 |
| სპინეზი (კატანია) | 8 |
| ბიანკი (რეჯინა) | 8 |
| ამაური (პალერმო) | 8 |
| იაკინტა (უდინეზე) | 8 |

### XVII ტური
20 დეკემბერი

ატალანტა : უდინეზე
კიევო : რეჯინა
კალიარი : ფიორენტინა
ემპოლი : სიენა
მესინა : პარმა
ლაციო : ინტერი
პალერმო : ასკოლი
მილანი : კატანია
სამპდორია : ლივორნო
ტორინო : რომა

## სერია B
### XVI ტური

კროტონე — პესკარა 2:2; ალბინოლეფე — ტრევიზო 3:1; ბრეშა — სპეცია 1:1; ჯენოა — ფროზინონე 3:2; მოდენა — ვიჩენცა 1:1; ნაპოლი — მანტოვა 0:0; რიმინი — პიაჩენცა 2:0; ტრიესტინა — ბოლონია 1:3; ვერონა — არეცო 0:1; ლეჩე — ბარი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლონია | 16 | 10 | 1 | 5 | 23:15 | 31 |
| რიმინი | 16 | 8 | 5 | 3 | 27:12 | 29 |
| იუვენტუსი | 15 | 11 | 4 | 0 | 27:6 | 28 |
| ჯენოა | 16 | 8 | 4 | 4 | 29:23 | 28 |
| ნაპოლი | 16 | 7 | 7 | 2 | 16:10 | 28 |
| პიაჩენცა | 16 | 8 | 3 | 5 | 15:16 | 27 |
| ბარი | 16 | 7 | 4 | 5 | 16:10 | 25 |
| ჩეზენა | 15 | 6 | 6 | 3 | 26:21 | 24 |
| მანტოვა | 16 | 5 | 9 | 2 | 16:12 | 24 |
| ალბინოლეფე | 16 | 4 | 11 | 1 | 17:14 | 23 |
| ტრიესტინა | 16 | 6 | 6 | 4 | 13:14 | 23 |
| ფროზინონე | 16 | 6 | 4 | 6 | 19:18 | 22 |
| ბრეშა | 16 | 5 | 6 | 5 | 15:16 | 21 |
| სპეცია | 16 | 4 | 7 | 5 | 16:18 | 19 |
| მოდენა | 16 | 5 | 3 | 8 | 11:17 | 18 |
| ლეჩე | 16 | 5 | 2 | 9 | 21:28 | 17 |
| ტრევიზო | 16 | 3 | 6 | 7 | 17:23 | 15 |
| კროტონე | 16 | 3 | 6 | 7 | 15:24 | 15 |
| ვიჩენცა | 16 | 2 | 6 | 8 | 14:18 | 12 |
| ვერონა | 16 | 2 | 5 | 9 | 5:14 | 11 |
| არეცო | 16 | 2 | 5 | 9 | 7:17 | 5 |
| პესკარა | 16 | 0 | 6 | 10 | 12:31 | 5 |

*ტრიესტინას დაკლებული აქვს 1 ქულა, პესკარას 1 ქულა, არეცოს 6 ქულა, იუვენტუსს 9 ქულა*

## სერია C1/A
### XVI ტური

კრემონეზე — გროსეტო 1:1; ივრეა — პიციგეტონე 3:0; მონცა — მასეზე 2:5; პადოვა — ნოვარა 1:2; პავია — პიზა 0:1; პისტოეზე — სასუოლო 1:1; პრომპატრია — პრო სესტო 2:0; სანჯოვანეზე — ჩიტადელა 2:2; ვენეცია — ლუკეზე 3:1

## სერია C1/B
### XVI ტური

კავეზე — პერუჯა 3:2; ჯულიანოვა — იუვე სტადია 1:2; ლანჩანო — აველინო 0:1; მანფრედონია — სალერნიტანო 0:1; სამბენედეტეზე — ანკონა 4:0; სან მარინო — გალიპოლი 1:2; ტარანტო — ფოჯა 2:0; ტერნანა — მარტინა 1:1; რავენა — ტერამო დღეს გაიმართება

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. XVII ტური

**პსვ 3:0 ჰერაკლესი**
1:0 სიმონსი (25პ), 2:0 კოკუ (51), 3:0 კლუივერტი (64)

**დენ ჰააგი 2:1 ტილბურგი**
1:0 ელია (8), 2:0 კოლკი (20), 2:1 კარგბო (53)

**როდა 2:4 ვიტესი**
1:0 ს. სისე (26), 2:0 ოპერი (29), 2:1 ლაზოვიჩი (38), 2:2 პრიორი (49), 2:3 ლაზოვიჩი (74), 2:4 ბენსონი (90)

**სპარტა 0:3 ბრედა**
0:1 პინასი (9), 0:2 მტილიგა (28), 0:3 რიგტერსი (45)

**ექსელსიორი 1:3 აიაქსი**
0:1, 0:2, 0:3 ჰუნტელაარი (24, 48, 74), 1:3 პიკე (90)

**უტრეხტი 2:1 ფეიენოორდი**
1:0 ვან დიიკი (9პ), 2:0 ნელისე (17), 2:1 ვლაარი (90)

**ვალვაიკი 0:1 ნაიმეგენი**
0:1 დენებოომი (37)

**ალკმაარი 2:0 გრონინგენი**
1:0 ლურინკი (26), კოვერმანსი (43პ)

**ტვენტე 5:1 ჰერენვენი**
1:0 ნკუფო (7), 1:1 ალვეში (23), 2:1 ტუმა (41), 3:1 ჰეუბახი (57), ნკუფო (74), ბაქირჯიოღლუ (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 17 | 15 | 1 | 1 | 46:6 | 46 |
| ალკმაარი | 17 | 12 | 3 | 2 | 52:16 | 39 |
| აიაქსი | 17 | 12 | 2 | 3 | 41:15 | 38 |
| ტვენტე | 17 | 10 | 5 | 2 | 40:18 | 35 |
| ფეიენოორდი | 17 | 10 | 2 | 5 | 34:32 | 32 |
| ჰერენვენი | 17 | 8 | 2 | 7 | 30:25 | 26 |
| ნაიმეგენი | 17 | 7 | 3 | 7 | 19:21 | 24 |
| გრონინგენი | 17 | 7 | 3 | 7 | 27:35 | 24 |
| უტრეხტი | 17 | 7 | 2 | 8 | 25:29 | 23 |
| როდა | 17 | 6 | 4 | 7 | 19:24 | 22 |
| ბრედა | 17 | 6 | 4 | 7 | 18:26 | 22 |
| ვიტესი | 16 | 6 | 1 | 9 | 26:28 | 19 |
| ექსელსიორი | 17 | 4 | 4 | 9 | 25:34 | 16 |
| სპარტა | 17 | 5 | 1 | 11 | 18:36 | 16 |
| ჰერაკლესი | 17 | 4 | 3 | 10 | 15:34 | 15 |
| ტილბურგი | 17 | 4 | 1 | 12 | 18:41 | 13 |
| დენ ჰააგი | 16 | 3 | 2 | 11 | 18:29 | 11 |
| ვალვაიკი | 17 | 2 | 5 | 10 | 14:36 | 11 |

### II დივიზიონი. XXI ტური

კამბური — როზენდალი 2:1; დენ ბოსხი — ვენლო 0:1; დორდრეხტი — ემენი 2:0; ალმერე — ეინდჰოვენი 1:1; ზვოლე — ოსი 2:2; ჰელმონდი — ჰაარლემი 1:0; მაასტრიხტი — ვოლენდამი 1:0; ტელსტარი — სიტარდი 0:3; ვეენდამი — გრააფსხაპი 1:4; პელდორნი — იგლსი 1:2

## საბერძნეთი

### ეროვნული ლიგა. XV ტური

ატრომიტოსი — არისი 1:1; ირაკლისი — ქსანთი 1:0; ოლიმპიაკოსი — იონიკოსი 3:0; ეგალეო — ერგოტელისი 2:0; ლარისა — კალამარია 0:1; კერკერა — პანათინაიკოსი 3:1; ოფი — პაოკ 1:0; აეკ — პანიონიოსი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 15 | 13 | 0 | 2 | 32:8 | 39 |
| აეკ | 15 | 10 | 4 | 1 | 31:8 | 34 |
| პანათინაიკოსი | 15 | 10 | 1 | 4 | 24:15 | 31 |
| პაოკ | 15 | 6 | 4 | 5 | 15:13 | 22 |
| ოფი | 15 | 5 | 5 | 5 | 15:16 | 20 |
| ატრომიტოსი | 15 | 4 | 7 | 4 | 18:17 | 19 |
| ქსანთი | 15 | 5 | 4 | 6 | 11:10 | 19 |
| კერკერა | 15 | 5 | 4 | 6 | 13:15 | 19 |
| ეგალეო | 15 | 5 | 4 | 6 | 15:18 | 19 |
| არისი | 15 | 3 | 9 | 3 | 13:14 | 18 |
| ირაკლისი | 15 | 4 | 4 | 7 | 14:20 | 16 |
| პანიონიოსი | 15 | 3 | 7 | 5 | 10:18 | 16 |
| ლარისა | 15 | 4 | 4 | 7 | 12:22 | 16 |
| ერგოტელისი | 15 | 4 | 3 | 8 | 12:17 | 15 |
| კალამარია | 15 | 3 | 6 | 6 | 12:18 | 15 |
| იონიკოსი | 15 | 2 | 2 | 11 | 9:27 | 8 |

## თურქეთი

### თასის ჯგუფური ეტაპი
### მეორე ტური

**A ჯგუფი**
ბურსა 2:1 ძარშიაძა
გალათასარაი 1:0 ძაისერი

**B ჯგუფი**
ანკარა 0:0 ტრაბზონი
ესძიშეჰირი 4:3 ძონია

**C ჯგუფი**
ინეგოლი 3:1 სივა
ბუიუძშეჰირი 0:1 გაზიანთეფი

**D ჯგუფი**
ბუძა 0:2 გენჩლერი
ბეშიძთაში 3:1 რიზე

## ბელგია

### იუპილერლიგა. XVII ტური

**სტანდარდი 2:0 მუსკრონი**
1:0, 2:0 მ. იოვანოვიჩი (65, 81)

**გენტი 2:0 ვესტერლო**
1:0 ფოლეი (59), 2:0 ბ. გონსალესი (75)

**ანდერლეხტი 4:1 მონსი**
1:0 ტშიტე (14), 1:1 დალმა (28), 2:1 ფრუტოსი (59), 3:1 ტშიტე (84), 4:1 ჰასანი (90)

**ბევერენი 1:2 სენტ ტრუიდენი**
0:1 სიმაესი (8), 0:2 დელორგი (10), 1:2 დისა (73)

**ლიერსი 1:0 ლოკერენი**
1:0 სნელდერსი (90)

**გენკი 3:1 ბრიუსელი**
1:0 ვანდენბერგი (11), 1:1 ტეჰუე (57), 2:1 ვრანკენი (67), 3:1 ბაილი (90)

**რუზელარე 1:1 ბეერსხოტი**
0:1 სტერჩელე (57), 1:1 ვლიშაუვერი (58)

**სერკლი 1:0 ბრიუგე**
1:0 ბოი (63)

**ზულტე-ვარეგემი 1:0 შარლერუა**
1:0 ტ. მატისი (23)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 17 | 12 | 4 | 1 | 38:16 | 40 |
| ანდერლეხტი | 17 | 11 | 4 | 2 | 33:17 | 37 |
| გენტი | 17 | 10 | 3 | 4 | 29:22 | 33 |
| ბრიუგე | 17 | 9 | 4 | 4 | 35:19 | 31 |
| სტანდარდი | 17 | 9 | 4 | 4 | 32:20 | 31 |
| შარლერუა | 17 | 8 | 5 | 4 | 23:17 | 29 |
| ვესტერლო | 17 | 7 | 4 | 6 | 22:22 | 25 |
| ბეერსხოტი | 17 | 6 | 5 | 6 | 20:24 | 23 |
| რუზელარე | 17 | 5 | 6 | 6 | 27:29 | 21 |
| ზულტე-ვარეგემი | 17 | 5 | 6 | 6 | 20:23 | 21 |
| სენტ ტრუიდენი | 17 | 6 | 2 | 9 | 23:26 | 20 |
| მუსკრონი | 17 | 4 | 7 | 6 | 23:29 | 19 |
| სერკლი | 17 | 5 | 3 | 9 | 14:18 | 18 |
| ბრიუსელი | 17 | 3 | 7 | 7 | 16:22 | 16 |
| ლოკერენი | 17 | 3 | 7 | 7 | 12:20 | 16 |
| ბევერენი | 17 | 4 | 4 | 9 | 15:25 | 16 |
| მონსი | 17 | 4 | 4 | 9 | 14:24 | 16 |
| ლიერსი | 17 | 1 | 3 | 13 | 10:33 | 6 |

### II კლასი. XVII ტური

ოსტენდე — დაინცე 2:0; ტინენი — სენტ ჟილი 0:1; კორტრაიკი — ჰევერლე 4:1; რონსე — ვარეგემი 2:0; ექსელსიოლი — ლომელი 0:0; დესელი — ვაასლანდი 1:2; მეხელენი — ჰამე 1:0; ეუპენი — ტუბიცე 1:1; ანტვერპენი — დენდერი 3:0

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XIV ტური

**მარიტიმუ 1:4 ბელენენსეში**
0:1 სილასი (8), 0:2 ჟ. პედრუ (38), 0:3 ელისეუ (59), 0:4 ჟ. პედრუ (63პ), 1:4 ლიპატინი (67)

**ბენფიკა 3:0 სეტუბალი**
1:0 ნუნუ გომეში (13), 2:0 სიმაო (62), 3:0 ნუნუ ასისი (86)

**სპორტინგი 1:0 აკადემიკა**
1:0 ლიდსონი (26)

**ამადორა 1:0 ავეში**
1:0 ე. სილვა (8)

**ნავალი 2:1 ლეირია**
0:1 პ. სეზარი (2), 1:1 ლიტო (70), 2:1 ორესტესი (73)

**ბეირა მარი 1:1 ნასიონალი**
0:1 ამარო (65), 1:1 ჟარდელი (69პ)

**პორტუ 4:0 ფერეირა**
1:0 პეპე (24), 2:0 პოშტიგა (42), 3:0 პეპე (68), 4:0 ლუჩო გონსალესი (86)

**ბრაგა — ბოავიშტა**
*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 14 | 12 | 1 | 1 | 32:8 | 37 |
| სპორტინგი | 14 | 10 | 2 | 2 | 22:9 | 32 |
| ბენფიკა | 13 | 8 | 2 | 3 | 26:13 | 26 |
| ბრაგა | 13 | 7 | 2 | 4 | 19:17 | 23 |
| მარიტიმუ | 14 | 7 | 1 | 6 | 16:17 | 22 |
| ლეირია | 14 | 6 | 3 | 5 | 13:15 | 21 |
| ნასიონალი | 14 | 6 | 2 | 6 | 21:16 | 20 |
| ბელენენსეში | 13 | 6 | 2 | 5 | 15:10 | 20 |
| ნავალი | 14 | 5 | 5 | 4 | 12:12 | 20 |
| ფერეირა | 14 | 4 | 6 | 4 | 14:19 | 18 |
| ბოავიშტა | 13 | 4 | 3 | 6 | 15:17 | 15 |
| ამადორა | 14 | 4 | 3 | 7 | 9:17 | 15 |
| აკადემიკა | 14 | 3 | 4 | 7 | 18:22 | 13 |
| სეტუბალი | 14 | 2 | 3 | 9 | 8:22 | 9 |
| ავეში | 14 | 2 | 2 | 10 | 10:21 | 8 |
| ბეირა მარი | 14 | 1 | 5 | 8 | 15:30 | 8 |

### II დივიზიონი. XIV ტური

ფიერენსე — პენაფიელი 0:0; პორტიმონესე — ჟილ ვისენტე 1:1; ტროფენსე — ვიზელა 1:1; ეშტორილი — ვარზიმი 2:1; ლეიშოში — მოსკავიდი 4:0; სანტა კლარა — შავეში 0:0; გიმარაეში — გონდომარი 0:1; რიუ ავე — ოლიანენსე 1:1

# სიკვდილი ტბაში




**ტურინში,** „ვინოვოს" საწვრთნელ ცენტრში ტრაგედია დატრიალდა — დაიღუპა „იუვენტუსის" ახალგაზრდული გუნდის ორი ფეხბურთელი, ალესიო ფერამოსკა და რიკარდო ნერი. დაღუპვის მიზეზს ოფიციალურად მაინც გამოძიება დაადგენს, თუმცა მეტ-ნაკლები სიზუსტით ყველაფერი ნათელია: საწვრთნელ ცენტრში არის ხელოვნური ტბა სიგრძით 50, სიგანით 30 ხოლო სიღრმით 5 მეტრი. როგორც ჩანს ფერამოსკამ და ნერიმ ამ ტბაში ჩაცვენილი ბურთების ამოღება მოიწადინეს. ტბასთან მისაახლოვებლად ისინი ღობეზე გადაძვრნენ, მაგრამ უშუალოდ წყალზე გადაფარებულმა ხელოვნურმა ზედაპირმა ვერ გაუძლო და ისინი ამ საფარს ქვეშ მოექცნენ.

წარმოშობით ფლორენციელი რიკარდო ნერი მეკარე გახლდათ, ის 17 წლისა მეორე დღეს, შაბათს, 16 დეკემბერს უნდა გამხდარიყო. ალესიო ფერამოსკა ტურინელი იყო, „ვინოვოს" საწვრთნელ ცენტრთან ახლოს ცხოვრობდა. მამამისი ლუჩო სამოყვარულო კლუბ „მირაფიორის" ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ და სწორედ ამ კლუბში გადადგა ალესიომ პირველი ნაბიჯები.

ტრაგედია პარასკევს დატრიალდა, როდესაც დიდი „იუვენტუსი" „სტადიო ოლიმპიკოზე" იმყოფებოდა სერია B-ს კალენდარული მატჩის ჩასატარებლად — „ჩეზენასთვის" უნდა ემასპინძლა. ცნობამ „ბებერი ქალბატონის" ფეხბურთელებს თამაშის დაწყებამდე წუთებით ადრე, გასახდელში მოუსწრო.

„როდესაც შევიტყვეთ რა მოხდა, ლაპარაკის უნარი წაგვერთვა" — წერს „იუვეს" ოფიციალურ ვებგვერდზე ალესანდრო დელ პიერო. შეხვედრა, ბუნებრივია, არ შედგა.

დელ პიერო: „მინდა გამოვხატო ჩემი დიდი მწუხარება და დაღუპულთა ოჯახებს მივუსამძიმრო. ვუსამძიმრებ მათ თანაგუნდელ ბიჭებსაც. ჩვენ ყველამ, რამდენიმე დღის წინ, ერთიანი საშობაო საღამო მოვაწყეთ".

„იუვენტუსის" ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი კი ახლო წარსულში ცნობილი მცველი ჩირო ფერარა გახლავთ.

„ეს ჩემს ცხოვრებაში [illegible] დღეა. მე ამ ბიჭებს კარგად ვიცნობდი და ძალიან უცნაური გრძნობა მეუფლება ამიერიდან ჩემს შორიახლოს რომ ველარ ვნახავ. გთხოვთ, ნუღარ მალაპარაკებთ, ახლა მაგის თავი არ მაქვს" — უთხრა მან ჟურნალისტებს.

„იუვენტუსის" მეკარეთა მწვრთნელი, 90-იან წლებში „იუვეს" მეკარე მიქელანჯელო რამპულა: „სისულელეა, აბსურდული ტრაგედია... თუ წარმოიდგენ ამ წელიწადს რა ამბები დაატყდა „იუვენტუსს" შეიძლება გაგიჟდე. ნერიმ შარშან „სკუდეტო ალიევის" მოპოვებაში უდიდესი როლი ითამაშა. მე მასში დიდ მომავალს ვხედავდი და მომავალი სეზონიდან სავარჯიშოდ დიდ გუნდთან ერთად გაყვანა მინდოდა. ის ჯანლუიჯი ბუფონთან ერთად ვარჯიშისთვის უკვე მზად იქნებოდა".

ხოლო იმისათვის, რომ იურიდიულად ყველაფერი გამართულად ფეხოს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ადგილობრივმა პოლიციამ გამოძიება დაიწყო. როგორც „იუვეს" ადვოკატები ამბობენ ფორმალობა მოითხოვს რომ დაკითხონ ადმინისტრატორი ჟან კლოდ ბლანი, მწვრთნელი მაურიციო სკინალია, მეკარეთა მეორე მწვრთნელი ლორენცო ფრიზონი, საწვრთნელ ცენტრზე პასუხისმგებელნი რენატო ოპეცი და ალესანდრო სორბონე.

**პაპუნა კედია**

# მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 2006
## იაპონია. 10–17 დეკემბერი

# რაიკარდმა ბარსელონა საკუთარ თავზე აიღო

### ფინალი

**ინტერნასიონალი (ბრაზილია) 1:0 ბარსელონა (ესპანეთი)**
1:0 ადრიანუ (81)
**ინტერნასიონალი:** კლემერი, სეარია, ინდიო, ფაბიანო ელერი, რუბენს კარდოსო, ედინიო, ველინგტონ მონტეირო, იარლეი, ალექსი (ფაბიან ვარგასი 46), ფერნანდაო (ადრიანუ 75), ალეშანდრე პატო (ლუიშ ადრიანო 60)
მწვრთნელი: აბელ ბრაგა
**ბარსელონა:** ვალდესი, ძამბროტა (ბელეტი 46), პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი, მოტა (ხავი 58), ინიესტა, ჟიული, დეკუ, რონალდინიო, გუდიონსენი (ესკერო 87)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: ინდიო, მოტა, ადრიანუ
მსაჯი: კარლოს ბატრესი (გვატემალა)
60 000 მაყურებელი

### მატჩი მე-3 ადგილისთვის

**ალ აჰლი (ეგვიპტე) 2:1 ამერიკა (მექსიკა)**
1:0 აბუტრიკა (42), 1:1 კაბანასი (59), 2:1 აბუტრიკა (79)

### მატჩი მე-5 ადგილისთვის

**ოკლენდ სიტი (ახალი ზელანდია) 0:3 იეონბუკ მოტორსი (ს. კორეა)**
0:1 ჰ. ს. ლი (17), 0:2 ჰ. ბ. კიმი (31), 0:3 ზეკარლო (73პ)



AFP ოპტიკიდან

„ინტერნასიონალის" კაპიტანი ფერნანდაო თასით ხარობს

**თამაშის** დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა ადრიანომ გამარჯვების გოლი გაიტანა — „ინტერმა" საკონტინენტთაშორისო თასი მოიპოვა...

გაუგებარია რამე? ადრიანომ გოლი გაიტანა და „ინტერმა" მოიგო — ყველაფერი ლოგიკურია, უბრალოდ... მილანელები საკონტინენტთაშორისო თასზე რომ არ გამოდიოდნენ?

მერედა, ვინ თქვა, რომ მილანელებზე ვლაპარაკობთ? გუშინ, ტოკიოში საკონტინენტთაშორისო თასი ქალაქ პორტუ ალეგრეს „ინტერნასიონალმა" მოიპოვა. ბრაზილიურმა გუნდმა ფინალში „ბარსელონა" დაამარცხა.

კატალონიელთა სამწუხაროდ ის უპირატესობა, რომელიც მათ 67 ათასი მაყურებლის წინაშე მთელი მატჩის განმავლობაში ჰქონდათ, ტაბლოზე ანთებულ ციფრებში არანაირად არ აისახა. 82-ე წუთზე იარლეის მშვენიერი პასი ადრიანუმ მიიღო და ცბიერი დარტყმით მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა.

„გუშინაც ვამბობდი რომ „ბარსელონას" შიში არ გვმართებდა — განაცხადა „ინტერის" მწვრთნელმა აბელ ბრაგამ თამაშის შემდეგ — ფეხბურთელები 15 წუთით ჩავკეტეთ ოთახში და დღევანდელი მატჩისთვის საბრძოლოდ განვაწყეთ. ამაზე მეტი სიამოვნება წარმოუდგენელია. ალბათ, მხოლოდ ამავე შედეგის გაისადაც გამეორება ან ბრაზილიის ნაკრების სათავეში ჩადგომა და მსოფლიოს ჩემპიონობა გადააჭარბებს დღევანდელ გრძნობას".

„სიხარულით მეცხრე ცაზე ვარ — ეს კი გამარჯვების გოლის ავტორის ადრიანუს სიტყვებია — მე მოედანზე შესვლასაც არ ველოდი, შესვლასა და გოლის გატანაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია".

„ბარსელონას" საუკეთესო შანსი პირველ ტაიმში რონალდინიომ გაუშვა ხელიდან.

„დღეს გუნდი არ დამარცხებულა, დღეს მე დავმარცხდი, მწვრთნელი — გაილაშქრა საკუთარი თავის წინააღმდეგ „ბარსას" თავკაცმა ფრანკ რაიკარდმა — პასუხისმგებლობა მთლიანად ჩემზეა, თუმცა ერთი თამაშის წაგება სამყაროს დასასრულს არ უდრის".

**პაპუნა კედია**

# ბარტეზი ტრიბუნაზე იჯდა

**საფრანგეთი**

I დივიზიონი. XVIII ტური

**ნანსი 2:0 მარსელი**
1:0 გავანონი (42), 2:0 კიმი (71)

**ლე მანი 2:0 ტულუზი**
1:0 ბასა (31), 2:0 რომარიკი (77)

**მონაკო 3:0 სოშო**
1:0 ლეკო (6), 2:0 მენეზი (58), 3:0 ი. ტურე (88)

**ნანტი 0:0 ბორდო**

**რენი 1:1 ტრუა**
0:1 გილიოტი (5), 1:1 ბრიანი (71)

**სენტ ეტიენი 3:0 ვალანსიენი**
1:0 ილანი (36), 2:0 ფეინდუნო (79), 3:0 ლანდრინი (82)

**სედანი 2:0 ლილი**
1:0 პუიოლი (28), 2:0 მარინი (31)

**პსჟ 0:0 ნიცა**

**ოსერი 2:1 ლორიანი**
0:1 გინაკი (13), 1:1 აკალე (21), 2:1 ილენი (53)

**ლანსი 0:4 ლიონი**
0:1 ჟუნინიო (22), 0:2 მალუდა (34), 0:3 კრისი (50), 0:4 ჟუნინიო (61)



AFP მონაკოდან

აფოლაბის „სოშოს" კოლერის „მონაკომ" იოლად მოუგო

**წარმატებულ** სვლას აგრძელებს „სენტ ეტიენი". „მწვანეებმა" ამჯერად საკუთარ კედლებში იოლად სძლიეს „ვალანსიენს". ეს ივან ჰაშეკის შეგირდების მიჯრით მეექვსე საშინაო გამარჯვება იყო, „ვალანსიენი" კი ამ სეზონში გასვლაზე ჯერაც მოუგებელია.

„სენტ ეტიენი" ბრაზილიელი ილანის გოლით დაწინაურდა. მეორე ილანისვე პასით პასკალ ფეინდუნომ გაიტანა, წერტილი კი ფეინდუნოს აქტიურობის შემდეგ კრისტოფ ლანდრინმა დასვა.

ბოლო ადგილზე მყოფმა „სედანმა" შინ „ლილი" დაშოკა და ცოტა გამოისწორა მდგომარეობა. სედანელები ისევ ცხრილის ფსკერზე რჩებიან, მაგრამ ამ მოგებით გასავარდნი ზონიდან ამოსასვლელად შვიდის მაგივრად უკვე სამიოთხი ქულა სჭირდებათ. მასპინძლები 28-ე წუთზე ნიკოლას მარინის პასით გრეგორი პუიოლმა დააწინაურა. მეორე კი იმავე პუიოლის გადაცემით თავად მარინმა გაიტანა. კლოდ პუელის შეგირდები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ერთიც ვერ გაქვითეს.

ისევ მოიგო „მონაკომ", რომელმაც საკუთარ კედლებში იოლად სძლია „სოშოს". „ლუი II-ს" ბინადრები მე-6 წუთზე გავიდნენ წინ, იერკო ლეკომ გაელ გივეს პასით გაიტანა. მასპინძლები მთელი მატჩის მანძილზე ფლობდნენ უპირატესობას და კიდევ ორჯერ იხეირეს. თავი ჟერემი მენეზმა და იაია ტურემ გამოიჩინეს. სხვათა შორის, „სოშოს" აქამდე ზედიზედ ცხრა მატჩი არ წაეგო.

„ნანტისა" და „ოსერის" შეხვედრა უგოლოდ კი დასრულდა, მაგრამ საინტერესო ის გახლავთ, რომ ამ მატჩს ფაბიენ ბარტეზი დაესწრო, რომელიც მომავალ მატჩში ალბათ ნანტელთა კარის დარაჯი იქნება.

„იგი ოფიციალურად ჯერ ჩვენი წევრი არ არის, მაგრამ ვფიქრობ, უახლოეს დღეებში ყველაფერი გაირკვევა, ბარტეზის [illegible] რთელის დამატება ჩვენთვის დიდი სტიმული იქნება" — [illegible] ნტის" პრეზიდენტ[illegible] ლონმა.

რუსილონი კი უარყოფს ამ ინფორმაციას, მაგრამ ფრანგული პრესა აქტიურად ამტკიცებს, რომ „ნანტს" ამიერიდან ფაბიენ ბარტეზის მეგობარი და მისი ყოფილი თანაგუნდელი ლორან ბლანი უთავკაცებს.

**გიორგი ძაძამაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 18 | 16 | 1 | 1 | 39:11 | 49 |
| ლანსი | 18 | 9 | 5 | 4 | 26:19 | 32 |
| სენტ ეტიენი | 18 | 9 | 4 | 5 | 30:21 | 31 |
| ლილი | 18 | 8 | 6 | 4 | 26:18 | 30 |
| სოშო | 18 | 8 | 6 | 4 | 21:19 | 30 |
| ნანსი | 18 | 8 | 5 | 5 | 16:13 | 29 |
| მარსელი | 18 | 8 | 3 | 7 | 23:18 | 27 |
| ბორდო | 18 | 8 | 2 | 8 | 20:22 | 26 |
| ლე მანი | 18 | 5 | 9 | 4 | 21:21 | 24 |
| რენი | 18 | 6 | 6 | 6 | 16:16 | 24 |
| ტულუზი | 17 | 7 | 3 | 7 | 20:21 | 24 |
| ლორიანი | 18 | 6 | 5 | 7 | 19:22 | 23 |
| ოსერი | 18 | 5 | 7 | 6 | 19:23 | 22 |
| მონაკო | 18 | 5 | 4 | 9 | 23:21 | 19 |
| პსჟ | 17 | 4 | 6 | 7 | 17:23 | 18 |
| ვალანსიენი | 18 | 5 | 3 | 10 | 14:27 | 18 |
| ნიცა | 18 | 3 | 7 | 8 | 14:19 | 16 |
| ტრუა | 18 | 3 | 7 | 8 | 19:27 | 16 |
| ნანტი | 18 | 2 | 8 | 8 | 12:23 | 14 |
| სედანი | 18 | 2 | 7 | 9 | 21:32 | 13 |

# ბრაჰიმის ქულა

**შოტლანდია**

პრემიერლიგა. XIX ტური

**ფოლკირკი 2:1 ჰიბერნიანი**
1:0 მარტისი (14ს.კ.), 2:0 კრეიგი (21), 2:1 ფლეტჩერი (56)

**ჰართსი 0:1 აბერდინი**
0:1 ლოველი (87)

**ინვერნესი 3:4 კილმარნოკი**
1:0 დოდსი (6), 1:1 ნეისმიტი (29), 1:2 ნიში (35), 2:2 დოდსი (39), 3:2 დარგო (45პ), 3:3 ნიში (50), 3:4 ნეისმიტი (68პ)

**მოზერუელი 2:3 დანდი იუნ.**
0:1 სამუელი (29), 0:2 მაკკრეკენი (45), 1:2 ფორანი (62პ), 2:2 რეინოლდსი (68), 2:3 ჰანტი (79)

**სენტ მირენი 0:0 დანფერმლაინი**

**რეინჯერსი 1:1 სელტიკი**
0:1 გრავესენი (38), ჰემდანი (89)




**ბრაჰიმ ჰემდანის** ბრწყინვალე გოლმა „რეინჯერსი" „ოლდ ფირმში" მარცხისგან იხსნა. ანგარიში კი ტომას გრავესენმა გახსნა პირველი ტაიმის მიწურულს. მასპინძლები კარგად აგორებდნენ ბურთს და საგოლე მომენტებიც ბევრი ჰქონდათ, მაგრამ მაინც თამაშის მიწურულამდე მიიყვანეს საქმე. გრავესენმა ასე გაიტანა: ნაკამურას ჩაწოდებული მცველებმა ვერ მოიგერიეს და ბურთი დანიელს მიუვიდა, რომელმაც საკმაოდ მახვილი კუთხიდან შეაგდო მაკგრეგორის კარში. ხოლო ალჟირელმა ჰემდანმა საჯარიმოს ხაზთან მოიგდო მეტოქის გადმოგდებული ბურთი და კარში შეჭედა.

მეორე ადგილისთვის ბრძოლას აგრძელებს „აბერდინი", რომელმაც შაბათს უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვა სტუმრად „ჰართსთან" შეხვედრაში. მატჩის ერთადერთი გოლი 87-ე წუთზე გავიდა, სტივი ლოველმა სკოტ სევერინის დარტყმულს დაამატა. „აბერდინის" ამ გამარჯვებას არალოგიკურს ნამდვილად ვერ დავარქმევთ, რადგან იქამდე სახიფათო მომენტები უფრო მასპინძელთა კართან იქნებოდა.

საერთოდ, გასული კვირა „ჰართსისთვის" ძალიან მძიმე გამოდგა. გუნდი ჯერ უკვე ყოფილმა კაპიტანმა სტივენ პრესლიმ დატოვა, ხელმძღვანელობასთან უთანხმოების მერე, შემდეგ კი ვალდას ივანაუსკასის შეგირდებმა ეს პრინციპული მატჩიც წააგეს, რითაც მეორე ადგილზე მათი გასვლის შანსი კიდევ უფრო მიზერული გახადეს. „აბერდინი" კი თავის ისტორიაში პირველად მიიწევს ნაბიჯ-ნაბიჯ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურის მოპოვებისკენ.

**ძოძი ძანდელაძი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 19 | 15 | 3 | 1 | 37:14 | 48 |
| აბერდინი | 19 | 10 | 4 | 5 | 25:15 | 34 |
| რეინჯერსი | 19 | 9 | 5 | 5 | 30:18 | 32 |
| კილმარნოკი | 19 | 8 | 5 | 6 | 29:31 | 29 |
| ჰართსი | 19 | 7 | 6 | 6 | 27:20 | 27 |
| ჰიბერნიანი | 19 | 7 | 5 | 7 | 33:24 | 26 |
| ფოლკირკი | 19 | 7 | 3 | 9 | 24:26 | 24 |
| დანდი იუნ. | 19 | 6 | 5 | 8 | 22:33 | 23 |
| ინვერნესი | 19 | 4 | 8 | 7 | 20:27 | 20 |
| სტ. მირენი | 19 | 4 | 7 | 8 | 17:24 | 19 |
| მოზერუელი | 19 | 5 | 3 | 11 | 24:36 | 18 |
| დანფერმლაინი | 19 | 3 | 4 | 12 | 13:33 | 13 |

I დივიზიონი. XVIII ტური

კლაიდი — დანდი 2:1; ჰამილტონი — სენტ ჯონსტონი 2:2; პარტიკი — ლივინგსტონი 2:3; ქუინი — ერდრი 1:1; როსი — გრეტნა 0:1

II დივიზიონი. XVII ტური

ბრეჩინი — მორტონი 2:3; ფორფარი — პიტერჰედი 2:3; რეითი — ეარი 1:0; სტირლინგი — კოუდენბითი 1:0; სტრანრარი — ალოა 2:2

III დივიზიონი. XVII ტური

დამბარტონი — ისტ ფაიფი 2:1; ელგინი — არბროთი 0:4; მონტროუზი — ბერვიკი 0:1; ქუინზ პარკი — ისტ სტირლინგი 1:3; სტენჰაუზმური — ალბიონი 3:2

# ევროპამ ფიფას კანავარო დაასწრო

**ევროპულმა** სააგენტოებმა ფიფას ერთი დღით „დაასწრეს" და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გამოაცხადეს. მათი ცნობით, ფიფას გამოკითხვაში „ოქროს ბურთის" მფლობელმა, იტალიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" მცველმა ფაბიო კანავარომ იმარჯვა. ფიფა მსოფლიოს საუკეთესოს ვინაობას ოფიციალურად დღეს გამოაცხადებს, თუმცა რამდენიმე ევროპულმა სააგენტომ გამარჯვებულის ვინაობის გაგების გარდა „იმდენიც მოახერხა", რომ ლაურეატების ქულებიც დათვალა: კანავარო 498, ზინედინ ზიდანი 454, რონალდინიო 380.



# იუვე კლოზეში ტრეზეგეს გადაიხდის

**მიროსლავ კლოზემ** იტალიურ „ტუტოსპორტთან" ინტერვიუში ტურინის „იუვენტუსში" გადასვლის სურვილი გამოთქვა. „ბრემენის „ვერდერის" უფროსობას უკვე განვუცხადე, რომ ამ კლუბში და საერთოდ ბუნდესლიგაში კარიერის გაგრძელებას არ ვაპირებ" — აღნიშნა გასული მუნდიალის მთავარმეგოლემ. კლოზე „იუვეზე" ფიქრობს, კლუბზე, რომელიც გერმანელზე ზაფხულის შემდეგ ნადირობს.

„უკვე 28 წლის ვარ და შემიძლია ჩემს თავს ბუნდესლიგის დატოვებით უფლება მივცე" — თქვა მირო კლოზემ „ტუტოსპორტთან". როგორც იტალიური გაზეთები წერენ, „მუსიკოსთა" მეგოლეს „იუვენტუსში" ბურთაობა ძალიან სურს და ამ მიზნის მისაღწევად მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე გამოსვლაზეც უარს იტყვის. „რა გაეწყობა, შეიძლება, სამომავლოდ ლიგაზე თამაში არ მომიწიოს, მაგრამ ამას კატასტროფად არ ვთვლი. მთავარი აქ სატრანსფერო ოპერაციის იღბლიანად დაგვირგვინებაა" — განაცხადა გერმანელმა. ჩანს, კლოზე გუნდის გამოცვლაზე სერიოზულად ფიქრობს, რაშიც ტურინელებიც ხელს უწყობენ — „იუვეს" აგენტურას მიროს გადმობირებაზე მუშაობა ზაფხულის შემდეგ არ შეუწყვეტია.

ისიც ცხადია, „ბრემენის" თავკაცობა გუნდის ლიდერთან ასე იოლად განშორებას არ მოინდომებს და წარმოშობით პოლონელ თავდამსხმელს კონტრაქტის გახანგრძლივებას შესთავაზებს (მოქმედი ხელშეკრულებით, მიროსლავს 2008 წლამდე უწევს „ვეზენშტადიონზე" ბურთაობა). თუ ფორვარდი კონტრაქტის განახლებაზე უარს იტყვის, ბრემენელები უკვე მის სარფიანად გაყიდვაზე იფიქრებენ — 2008-ში კლოზე „ვერდერიდან" თავისუფლად წავა და „მუსიკოსებმაც" მისი გასხვისებით ხელის მოთბობა იქამდე უნდა მოასწრონ.

„ტუტოსპორტის" ვერსიით, „იუვენტუსი" კლოზეში იმ ოცი მილიონი ევროს გადახდას აპირებს, რომელიც ფრანგულმა „ლიონმა" იტალიურ გრანდს დავიდ ტრეზეგეს სანაცვლოდ უნდა შესთავაზოს. შეიძლება სატრანსფერო ომში მიუნხენის „ბაიერნიც" ჩაება, მაგრამ მედიის ცნობით, მირო „იუვენტუსში" გადასვლის მომხრეა.

**ლადო ხომერიკი**

# დაარტყა, დაარტყა, დაარტყა...

**„დანდის"** ფეხბურთელმა ენდი მაკლარენმა ერთ თამაშში სამი წითელი ბარათი მიიღო გასულ შაბათს, სქოთების მეორე დივიზიონის თამაშში.

„დანდიმ" 1:2 წააგო „კლაიდთან". „დანდი იუნაიტედის", „კილმარნოკისა" და „რედინგის" ყოფილმა თავდამსხმელმა კი თავისი პირველი წითელი 87-ე წუთზე დაიმსახურა, რახან მეტოქე ედი მელოუნს დაარტყა. გაძევებულ მაკლარენს მეტოქე მაიკლ მაკგოვენი მინდვრის კიდეზე შემოეყარა და იმასაც სთხლიშა. ასისტენტმა ეს ამბავი რეფერ დუგ მაკდონალდს მოახსენა და მანაც მაკლარენი მინდორზე იხმო მეორე წითლისთვის. ოღონდ ფეხბურთელი უკვე გვირაბში შევიდა და გასახდელიდან ველარ გამოიყვანეს. თამაშის შემდეგ მსაჯმა ის თავის ოთახში დაიბარა და მეორე წითელი აუფრიალა. მაკდონალდს ეს ამბავი ძალიან ეწყინა და სამსაჯოს კარს წიხლი დასცხო, რის გამოც მესამეც მიიღო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბარსელონას სევილიამ მოუგო

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი
### XV ტური

**მალიორკა 1:2 რასინგი**
1:0 იანკოვიჩი (16), 1:1 რუბენ გონსალესი (63), 1:2 ბალბოა (89)
მალიორკა: პრატცი, ექტორი, ნუნიესი, ბალესტეროსი, ნავარო, ხონასი, ბასინასი (ვიქტორი 71), ხორდი ლოპესი, იანკოვიჩი, არანგო, ტრისტანი (კომე 78)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
რასინგი: ტონო, პინილოსი (კრისტიან ალვარესი 84), რუბენი, გარაი, ლუის ფერნანდესი, სკალონი, ვიტოლო, კოლსა (ბალბოა 46), სერანო (მომო 89), მუნიტისი, ჟიგიჩი
მწვრთნელი: მიგელ ანხელ პორტუგალი
მსაჯი: პერეს ლიმა
გაფრთხილება: ტრისტანი, ხონასი, პინილოსი, ლუის ფერნანდესი, მუნიტისი, სკალონი
12 000 მაყურებელი

**სარაგოსა 0:1 ვალენსია**
0:1 ანგულო (41)
სარაგოსა: სესარი, დიოგო, სერხიო ფერნანდესი, გაბრიელ მილიტო, ხუანფრანი, სელადესი (ოსკარ გონსალესი 86), ზაპატერი, დალესანდრო (ლაფიტა 68), სერხიო გარსია (ევერტონი 68), აიმარი, დიეგო მელიტო
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ვალენსია: ბუტელე, მიგელი, ალბიოლი, ნავარო, კურო ტორესი, სილვა (უგო ვიანა 90), ალბელდა, ბარახა, ვისენტე (მორიენტესი 73), ანგულო ვილია (ხოაკინი 79)
მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი
გაფრთხილება: სერხიო ფერნანდესი, ნავარო, კურო ტორესი, ბუტელე, ბარახა, ხოაკინი
მსაჯი: პერეს ბურული
22 000 მაყურებელი

**დეპორტივო 0:2 ბილბაო**
0:1, 0:2 ხავი მარტინესი (8, 90)
დეპორტივო: ავატე, პაბლო, ალბელოა (ლაგო 70), ხუანმა, კაპდევილა, რიდრიგესი, დე გუსმანი (ადრიანი 52), კრისტიანი, ვერდუ, რიკი (ესტოიანოფი 62), არისმენდი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ბილბაო: არანსუბია, ესპოზიტო, ლუის პრიეტო, სარიეგი, კასასი, მურილიო, მარტინესი, ირაოლა, იესტე (ამორებიეტა 83), გაბილონდო (გარმენდია 67), ურსაისი (ადურისი 54)
მწვრთნელი: მანე
გაფრთხილება: ხუანმა, მარტინესი, როდრიგესი
მსაჯი: ალვარეს ისკიერდო
12 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 0:1 რეალი**
0:1 ვან ნისტელროი (49)
ესპანიოლი: კამენი, ტორეიხონი, ხარკე, მოისესი, ჩიკა, საბალეტა, დე ლა პენია, მოა (კორო 74), რუფეტე (პანდიანი 57), ლუის გარსია, ტამუდო
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
რეალი: კასილიასი, მ. სალგადო, რ. კარლოსი, ს. რამოსი, კანავარო, ემერსონი, გუტი, რაული, რობინიო (მეხია 55), რეიესი (დიარა 71), ვან ნისტელროი (ბრავო 85)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: მოისესი, საბალეტა, რობინიო, კანავარო, კანავარო, რ. კარლოსი, მ. სალგადო
გაძევება: კანავარო (53)
მსაჯი: პერეს ლასა
33 502 მაყურებელი

**სოსიედადი 3:2 ხიმნასტიკი**
0:1 ლიერა (17), 0:2 მინგო (48), 1:2 რ. კასტრო (50ს.კ.), 2:2 ხუანიტო (54), 3:2 რივასი (60)
სოსიედადი: ბრავო, მ. გონსალესი, ხუანიტო, აიტორი, ხერარდო, რივასი (გარიტანო 86), ხესული (ფელიჩე 89), არანბურუ, ხ. პრიეტო, კოვაჩევიჩი (აგირეჩე 81), გარი
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ხიმნასტიკი: პერესი, კასერესი, მინგო, ლიერა, კუელარი, დ. გარსია (რუსი 61), მორალესი, დიასი (გილი 69), ხენერლო, ირურსუნი (პინილია 69), რ. კასტრო
მწვრთნელი: პაკო ფლორესი
გაფრთხილება: ხესული, ფელიჩე, ხენერლო, ირურსუნი, რ. კასტრო, დ. გარსია, რუსი, პინილია, ლიერა
მსაჯი: პინო სამორანო
22 588 მაყურებელი

**ლევანტე 1:1 სელტა**
0:1 ბაიანო (1), 1:1 ალვარო (51)
ლევანტე: მოლინა, მანოლო, ალექსისი, ალვარო, რუბიალესი (რობერი 46), ეტიენი, რიგა, ბერსონი, ტომაზი, კურტისი, ნინო (ლუინდულა 70)
მწვრთნელი: ხუან რამონ ლოპეს კარო
სელტა: პინტო, ლეკი, ანხელი, ფლასენტე, კონტრერასი (ვილა 76), ტამასი, გ. ლოპესი (ნუნიესი 60), ნენე, კანობიო (ხორხე 60), ირინეი, ბაიანო
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: ალექსისი, ბაიანო, ვილა, ანხელი, ტამასი
მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი
12 532 მაყურებელი

**ვილიარეალი 1:4 ოსასუნა**
0:1 ვებო (13), 0:2 ნეკუნამი (42), 0:3 დ. ლოპესი (55პ), 1:3 კანი (61), 1:4 ხუანფრანი (69)
ვილიარეალი: ბარბოსა, არუაბარენა, კ. ალვარესი, ფუენტესი, ხოსემი, ხოსიკო, რიკელმე, კანი, სომოცა (ხოსემარი 52), ფორლანი, ფრანკო
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
ოსასუნა: რიკარდო, მ. ფლანიო, კუელარი, ხ. ფლანიო, კორალესი, ნეკუნამი, რ. გარსია, ხუანფრანი (ხუანლუ 82), დ. ლოპესი (მუნიოსი 59), ფონტი (პუნიალი 70), ვებო
მწვრთნელი: ხოსე ანხელ სიგანდა
გაფრთხილება: სომოცა, კ. ალვარესი, ფონტი, ხუანლუ, ბარბოსა, რიკელმე
მსაჯი: კლოს გომესი
17 480 მაყურებელი

**უელვა 1:3 სევილია**
0:1 ლ. ფაბიანო (10პ), 1:1 ხ. ვასკესი (18), 1:2 კანუტი (35), 1:3 ხ. ნავასი (53)
უელვა: ვალეხო, მ. სუარესი (როსუ 70), მერინო, ბაუტისტა, კასორლა, ხ. ვასკესი, ვიკეირა, ბეტო, აიტორი (ხუანმა 58), პონიოლი, უჩე (ხ. გერერო 58)
მწვრთნელი: გარსია ტორალი
სევილია: პალოპი, დავიდი, ესკუდე, ოსიო, დ. ალვეში, პოულსენი, რენატო, ხ. ნავასი (ჰინკელი 70), პუერტა, ლ. ფაბიანო (კეპა 76), კანუტი (მარტი 56)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: მერინო, ლ. ფაბიანო, ვიკეირა, ოსიო, მარტი, ოსიო, პალოპი, პუერტა
გაძევება: ოსიო (65)
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
20 096 მაყურებელი

**ატლეტიკო 1:0 ხეტაფე**
1:0 მანიშე (23)
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, სეიტარიდისი, ა. ლოპესი, ზე კასტრო, პაბლო, ლუკინი, გალეტი (პერნია 76), ხურადო (გაბი 79), მანიშე, ფ. ტორესი, აგერო (მისტა 66)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ხეტაფე: პატო, კონტრა, პარედესი, რ. პულიდო, ალექსისი, სელესტინი, რედონდო, ხ. კასკერო (პაუნოვიჩი 77), ალბერტო (სოუზა 59), მანუ, დ. გუისა (პაჩონი 73)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: გალეტი, პატო, სელესტინი, პარედესი
მსაჯი: ფერნანდეს ბარბალანი
30 000 მაყურებელი

**ბეტისი — ბარსელონა**
*24 იანვარს გაიმართება*


AFP ბარსელონიდან

ესპანიოლი — რეალი 0:1. გაწითლებული ფაბიო კანავარო

**სანამ** „ბარსელონა“ იაპონიიდან უტიტულოდ დაბრუნდებოდა, 18-მა ესპანურმა კლუბმა ერთმანეთში პრიმერას მორიგი ტური გაითამაშა. ისევ და ისევ „ბარსას“ უთამაშებლობის გამო ლიდერიც შეიცვალა და ცხრილს ახლა თავში „სევილია“ უდგას.

ხოლო სანამ სევილიელთა ამბავს ვიტყვით, „სოსიედადის“ გამარჯვებისა ვთქვათ, რაკი ამ გუნდმა სეზონში პირველ მოგებას 15 ტური შეალია და ამ მოგებამ ისიც მოუტანა, რომ ბოლო ადგილსაც დააღწია თავი.

არადა, ეს ისეთი გამარჯვება იყო, კაცი ძნელად იფიქრებდა. როგორი საქმეა: სანსებასტიანელები 50-ე წუთამდე ორი ბურთით აგებდნენ „ხიმნასტიკთან“, ორიოდ წუთში კაცნაკლულნიც დარჩნენ ხესულის გაძევების გამო და მაინც ეყოთ შემართება თამაშის შესაბრუნებლად.

და ერთიც: ამ მატჩში მსაჯმა ათჯერ ყვითელი და ერთხელ წითელი ბარათი ააფრიალა.

„სევილიამ“ კი ლიდერობა უელვაში მოგებით მოიპოვა. აქ ანგარიში ლუის ფაბიანომ გახსნა პენალტით, რომელიც ანტონიო პუერტას წაქცევას მოჰყვა. „რეკრეატივომ“ მალევე კი გაათანაბრა, მაგრამ საუკეთესო ფორმაში მყოფმა ფრედერიკ კანუტმა ისევ დააწინაურა „სევილია“ და ეს გოლი მისთვის მე-12 იყო ამ სეზონში. ამას ხესუს ნავასის მესამეც მოჰყვა და „სევილია“ „ბარსელონას“ დაბრუნებამდე ლიდერად იქცა.

„რეალმა“ „ესპანიოლთან“ გადასარევად ითამაშაო, ვერ ვიტყვით, თუმცა რუუდ ვან ნისტელროის კინკილა გოლი მოსაგებად ეყო. რაც მთავარია: მადრიდელებს „მონჟუიკზე“ სამი წელი ვერ მოეგოთ და ეს ამბავი, ცხადია, აღნიშვნის ღირსია. აქვე სათქმელია ფაბიო კანავაროს გაძევებაც გოლიდან ოთხ წუთში. იტალიელმა მცველმა, ვინაც დღეს ციურიხში ფიფას გალაზე უნდა წარდგეს და ეგებ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობაც ირგუნოს, ხელით თამაშისთვის გააძევეს.

„ოსასუნამ“ მიწასთან გაასწორა „ვილიარეალი“ მისსავე მოედანზე, რაც ბარე ორ გუნდს შეშურდებოდა. თანაც ეს პამპლონელთა მიჯრით მეოთხე გამარჯვებაა, რითაც ისინი ცხრილში გვარიანად დაბლა ყოფნის მერე შუაში მოკალათდნენ.

„დეპორტივოს“ აგერ, უკვე რვა ტურია, ვერ მოუგია. ამ ჯერზე ლაკორუნიელები „ბილბაოსთან“ დამარცხდნენ, რომელსაც თავის მხრივ ახალი მწვრთნელის, მანეს ხელმა არგო და ამ მოგებით გასავარდნ ზონასაც დააღწიეს თავი. ბილბაოელთა ორივე გოლი კი ხავი მარტინესმა გაიტანა.

„სანტანდერთან“ საშინაო მატჩის პირველი ტაიმის მოგების მერე, „მალიორკას“ რაღაც დაემართა და მეორე ტაიმი პირწმინდად წააგო. როგორც მეფსონენი იტყვიან, კუნძულზე ტაიმბოლი დაჯდა.

„სარაგოსა“ მთელი პირველი ტაიმი მედგრად ედგა „ვალენსიას“, იქითაც უტევდა, მაგრამ ძალა ალმართს ხნავსო და, ბოლომდე ვერ გაძლო — სტუმართა გამარჯვებისა მიგელ ანხელ ანგულომ შეაგდო.

„ბარსელონა“ და „ბეტისი“ კი 24 იანვარს ითამაშებენ.

**კოტე კეკელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 15 | 11 | 1 | 3 | 31:15 | 34 |
| ბარსელონა | 14 | 10 | 3 | 1 | 33:14 | 33 |
| რეალი | 15 | 10 | 2 | 3 | 26:11 | 32 |
| ატლეტიკო | 15 | 8 | 3 | 4 | 20:11 | 27 |
| სარაგოსა | 15 | 8 | 2 | 5 | 28:18 | 26 |
| ვალენსია | 15 | 7 | 3 | 5 | 20:14 | 24 |
| ხეტაფე | 15 | 6 | 4 | 5 | 11:10 | 22 |
| სელტა | 15 | 6 | 4 | 5 | 20:20 | 22 |
| უელვა | 15 | 7 | 1 | 7 | 23:24 | 22 |
| ვილიარეალი | 15 | 6 | 4 | 5 | 16:21 | 22 |
| ოსასუნა | 15 | 6 | 2 | 7 | 19:19 | 20 |
| ესპანიოლი | 15 | 4 | 7 | 4 | 14:16 | 19 |
| რასინგი | 15 | 4 | 6 | 5 | 14:19 | 18 |
| მალიორკა | 15 | 4 | 5 | 6 | 12:19 | 17 |
| დეპორტივო | 15 | 4 | 5 | 6 | 11:19 | 17 |
| ბილბაო | 15 | 3 | 5 | 7 | 18:26 | 14 |
| ლევანტე | 15 | 3 | 5 | 7 | 12:21 | 14 |
| ბეტისი | 14 | 2 | 4 | 8 | 14:19 | 10 |
| სოსიედადი | 15 | 1 | 6 | 8 | 10:22 | 9 |
| ხიმნასტიკი | 15 | 2 | 2 | 11 | 15:32 | 8 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კანუტი (სევილია) | 12 |
| რონალდინიო (ბარსელონა) | 11 |
| დ. მილიტო (სარაგოსა) | 11 |
| ვან ნისტელროი (რეალი) | 9 |

### XVI ტური
20 დეკემბერი

| | |
|---|---|
| ოსასუნა | ლევანტე |
| რასინგი | ვილიარეალი |
| ვალენსია | მალიორკა |
| ბილბაო | სარაგოსა |
| სევილია | დეპორტივო |
| რეალი | უელვა |
| ხეტაფე | ესპანიოლი |
| ბარსელონა | ატლეტიკო |
| ხიმნასტიკი | ბეტისი |
| სელტა | სოსიედადი |

### სეგუნდადივიზიონი
### XVII ტური

რეალი B — ვეცინდარიო 3:2; ვალიადოლიდი — კასტელიონი 1:0; სიუდად მურსია — ალბასეტე 2:1; ელჩე — მურსია 1:1; მალაგა — ტენერიფე 1:0; პოლი ეხიდო — ალავესი 5:2; ლას პალმასი — ნუმანსია 1:1; პონფერადინა — ალმერია 0:1; სალამანკა — სპორტინგი 0:1; ლორკა — კადისი 1:2; ხერესი — ერკულესი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალიადოლიდი | 17 | 10 | 4 | 3 | 27:13 | 34 |
| ხერესი | 17 | 8 | 5 | 4 | 23:15 | 29 |
| ალმერია | 17 | 8 | 4 | 5 | 27:19 | 28 |
| სპორტინგი | 17 | 9 | 1 | 7 | 23:17 | 28 |
| მურსია | 17 | 7 | 7 | 3 | 23:18 | 28 |
| სალამანკა | 17 | 8 | 3 | 6 | 26:20 | 27 |
| პოლი ეხიდო | 17 | 7 | 4 | 6 | 21:19 | 25 |
| რეალი B | 17 | 7 | 4 | 6 | 22:27 | 25 |
| ერკულესი | 17 | 7 | 3 | 7 | 19:16 | 24 |
| კადისი | 17 | 6 | 6 | 5 | 21:20 | 24 |
| სიუდად მურსია | 17 | 7 | 3 | 7 | 19:18 | 24 |
| მალაგა | 17 | 6 | 5 | 6 | 21:20 | 23 |
| ნუმანსია | 17 | 6 | 5 | 6 | 20:19 | 23 |
| ალბასეტე | 17 | 6 | 4 | 7 | 21:22 | 22 |
| კასტელიონი | 17 | 6 | 4 | 7 | 17:19 | 22 |
| ლას პალმასი | 17 | 5 | 6 | 6 | 21:22 | 21 |
| ტენერიფე | 17 | 6 | 3 | 8 | 13:19 | 21 |
| ალავესი | 17 | 5 | 6 | 6 | 16:24 | 21 |
| ელჩე | 17 | 4 | 6 | 7 | 19:23 | 18 |
| ლორკა | 17 | 4 | 6 | 7 | 14:22 | 18 |
| პონფერადინა | 17 | 4 | 5 | 8 | 16:20 | 17 |
| ვეცინდარიო | 17 | 3 | 2 | 12 | 15:32 | 11 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა ღოღრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge